

652
1978/3

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ





შემოწიერო ქეთაისო,
საგრძო და სამაისო!

ა კ ა კ 0

„ტოროსის“ მე ნომერი მძღვემბბ
ქვეთასის ღიამინატურულ დღეებს აზარაში

ბაგრატის ტაძარი




 ලිංගලරාත්‍යාලු-මහාච්චලුදී
 සාහෝධාලුවයාරු-අනුලැංජිලුවයා
 එළුණාලි පොදුපාඨමාව
 සෙසාරුත්වාලුව සාහෝතා
 මධ්‍යම්වාහිත කටයුතුවා ඇ
 අභාරුව හැඳුම්පිළුවාහිත
 මරුදානම

කුමූල

තාම අ ද උ 8 1958 අ ද උ 16

Hotels

6

1978

මොවුවාරි

වොවුවාරි

තැබෙන ආර්ථික

ඩ. රුජ්‍යාරුදී — පෙරමාවලුවාදීව ග්‍රින්, මින්මාගාලුවේ පුද්ගලික	3
ඩ. පෙරුපාරිඹාරි — තිශ්වරී සාලාම් මිනුවා ඡ්‍යාරාස!	10

කොටස, ප්‍රක්‍රියා

ඩ. ප්‍රියාන්‍යාරිභාරි — සාම් මධ්‍යාග්‍රී	14
ඩීමැක්රොඩා	
ඩ. ඩොජාරුදී — ඕනෑරු සාම්ප්‍රදාම ලුයේසි	17
ඩ. සාජ්‍යාරුදී — පානුව්‍යා ලුයේසි	18
ඩ. පෙරුම්ව — ලුයේසියා	19
ඩ. පෙරුම්ව — තුළුවුන්‍යාදීව ඊඩ්- ඩාම්පා තොරුවා ලුයේසි	20
ඩ. එංජිනේරුව — පොයාරුව මින්මාග්‍රී	21
ඩ. ප්‍රියාන්‍යාරිභාරි — එංජිනේරුව මින්මාග්‍රී	25
ඩ. ප්‍රියාන්‍යාරිභාරි — එංජිනේරුව මින්මාග්‍රී	26
ඩ. එංජිනේරුව — එංජිනේරුව මින්මාග්‍රී	27
ඩ. එංජිනේරුව — එංජිනේරුව මින්මාග්‍රී	28
ඩ. එංජිනේරුව — එංජිනේරුව මින්මාග්‍රී	29
ඩ. එංජිනේරුව — එංජිනේරුව මින්මාග්‍රී	30
ඩ. එංජිනේරුව — එංජිනේරුව මින්මාග්‍රී	33.

၃. နေပြည်တော် — လျှော့စွဲပို	34
၄. အာဇာဖွံ့ဖြိုးဝါယာ — *** ဖုန်းကြောင်းမှု အ-	35
ဆိုလ် အမှုချို့အာ လျှော့စွဲ	36
၅. ကလ္လာပါဒီဘွဲ့ — လျှော့စွဲပို	36
၆. ဆေးရေ — წိုင်းတွက်မြင်းမှု မြတ်စွာပုံ	37
၇. နိမ့်ဝါယာ — သာမဏီ လျှော့စွဲ	49
၈. အဆုံးဖွံ့ဖြိုးဝါယာ — လျှော့စွဲပို	50

နေပြည်တော်၊ မြတ်စွာပုံ

၈. မေးခွဲစာဖွံ့ဖြိုးဝါယာ — သိသာပြာ ဂုဏ်သွေး	
နေပြည်တော်!	51

နေပြည်တော်

၃. ဒာဇိုင်းဝါယာ — လေတာပြောင်း မာန်းနာ	
ဆရွား	56
၂၂. ဒာသပူဇွဲဝါယာ — စာမျက်နှာမြတ်စွာ	
ဖြောက်ရေးဝါယာ မြောက်လာမာရ	65
၉. အလာဒိုင်းဝါယာ — ဤစာ နှစ်ရှိရှင်း	
ဖော်ပြုခြင်း	69

နေပြည်တော် မြတ်စွာပုံ

၁. အကော်ဖွံ့ဖြိုးဝါယာ — နာမိန္ဒ ၆၀၆	76
၂. နာမိန္ဒဖွံ့ဖြိုးဝါယာ — ရှိသွေး လျှော့စွဲ	
အတာနိုင်း မြတ်စွာ	80
၃. နာမိန္ဒဝါယာ — စာဝင်းရှိရှင်း နေပြု-	
လွှာပိုင်း ၆၀၆	83
၄. ဒေဝါယာ — ဒာမိမာနိုင်း	87

စာတိုက် ၃၁ ပြုမြတ်စွာ

၁. မာလဲ့အဖွဲ့ဝင်းဝါယာ — မြေပြောင်း စာရ-	
တွေ့ဆုံး ဥျမှိုးကျား	91

ဖုန်းနာလ „ခြောက်စား“ ၁၉၇၈ ပြုပိုင်း	
နေပြည်တော် မြတ်စွာပုံ	94

လျှော့စွဲပို အဖြောက် ၂၀၂၀

စာတိုက်အဖွဲ့ဝင် ကျော်ကျော်: နာရိုက်မြတ်စွာပုံ အသွေးဖြတ်စွာပုံ၊ မာမိန္ဒ ဒာမိမာနိုင်း
(ဒ. မွ. မြတ်စွာပုံ၊ ဖွဲ့စွဲပုံ၊ နေပြည်တော် မြတ်စွာပုံ)。

აღმავლობის გზით, მომავარზე ფიქრი

ინტერვიუ
გიგანტითიანი

ნეგზე არ აშენდე

მთავრდება 1978 წელი, ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლების მესამე წელი. როგორი მაჩვენებლებით მთავრებს მას ქუთაისი — საქართველოს მეორე ინდუსტრიული და კულტურული ცენტრი?

ქუთაისი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია და ბუნებრივია, რომ მეოთხელებს მის ღლევანდელ დღესთან ერთად აინტერესებთ წარსულიცა და მომავალიც.

ამასთან დაკავშირებით „ჭორობის“ სპეციალური კორესპონდენტი ესტუმრა საქართველოს კა ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ნ. დ. რუხაძეს და გამართა ინტერვიუ, რომელსაც ვთვაზობთ მეოთხელებს.

— პატივცემულო ნუგზარ, პირველ რიგში მოგმართავთ როვორც ინუინერ-გეოლოგს და გთხოვთ მეითხველებს მოუთხროთ ამ მხრივ თქვენი ქალაქის წარსულზე.

— მეცნიერები დიდხანს ფიქრობდნენ, რომ თავისი ასაკით კავკასიის მთები შედარებით ახალგაზრდაა. ამ მხარის გეოლოგიური წარსულის ბევრმა მკვლევარმა ვერ შესძლო კავკასიაში აღმოეჩინა ცარცოვანი პერიოდის ნიშანწყალი. გადაუჭირდებლად შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ჩვენი ისტორიული წარსულის საფუძვლიანად მცოდნემ, მისმა მოჭირნახულემ პეტრე ჭაბუკიანმა. მან 1933 წელს სათაფლის გვირაბის კალთებზე აღმოაჩინა ნაკვალევი დინოზავრებისა, რომლებიც ცარცოვანი პერიოდის დასაწყისში ცხოვრობდნენ — 120 მილიონი წლის წინათ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა აღიარა დინოზავრთა ამ ნაკვალევის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა. აწ გადაშენებული გიგანტური ცხოველების ნაფეხურები მკვლევარებს ხაშუალებას აძლევს აღადგინონ ცარცოვან პერიოდში კავკასიის გეოლოგიური განვითარების ისტორია. სხვათა შორის სათაფლის

დინოზავრები ეყუთვნის წინათ უცნობ შვიდ სახეობას. ერთერთს ჭაბუკიანის სახელი ეწოდა.



პეტრე ჭაბუკიანი, რომელიც 90 წელს მიუახლოვდა, კვლევ გა-ტაცებით დაეძებს ბუნებისა და წარსულის მატერიალური კულტუ-რის ძეირფას ძეგლებს. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ, ქუთაისიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით, სათაფლიაში აღმო-აჩინა კარსტული გამოქვაბული. მნელია ამ მიწისქვეშა სასახლე-გვირაბის უბადლო სილამაზის აღწერა. სტალაქტიტების საოცარი შეზრდანი ქმნიან რთულ სკულპტურულ კომპოზიციებს, ხან ჭალზე რომ ჰყიდია ქათქათა სანთლებივით, ხან მინიატურულ ტაძრებს. ჰეგანან, ხან კიდევ ბროლის გამოქვაბულების ილუზიებს ქმნიან. საჭირო იყო ასეულ ათასობით წელი, რომ მიწისქვეშა წყალს ასეთი კოლოსალური სამუშაო შეესრულებინა.

— სანამ დღევანდელი რესპუბლიკის ცხოვრების სასიკეთო ფე-რისცვალებაში ქუთაისის წვლილზე ვისაუბრებდეთ, მინდა გვით-ხოთ, რას წარმოადგენდა ქალაქი ჩვენი საუკუნის დასაწყისში?

— ქუთაისი დღესაც ამაყობს ისეთი შესანიშნავი. მატერიალუ-რი კულტურის ძეგლებით, როგორიცაა გეგუთი, ბაგრატის ტაძარი, გელათი, „ოქროს ჩარდახი“... ბევრი სახელმოხვევილი საზოგადო მოლვაშე და მეცნიერი აღიზარდა ქართულ და კლასიკურ გიმნაზი-ებში, წმინდა ნინოს და სასულიერო სასწავლებლებში...

ქუთაისის სიამაყეა მესხიშვილის სახელობის თეატრი. ილია ჭიათუაძისა და აკაკი წერეთლის ესთეტიკურ პრინციპებზე აღზრდი-ლმა ქუთაისის სცენის ოსტატთა პირველმა თაობამ ჩვენი თეატრი იმ თავითვე გახადა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრიბუნად.

რესეტის პირველი რევოლუციის წლებში ლადო მესხიშვილმა ქუთაისის თეატრი აქცია მშრომელთა განთავისუფლების ერთ-ერთ მედროშედ.

ნიშანდობლივია: ძველ წერილბურჟუაზიულ ხელოსნურ ქალა-ქში ახალი ელვარებით ამოგიზგიზდა ის ცეცხლი, რომელიც იქ და-ანთო იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა.

რევოლუციურმა ქუთაისმა თავისი გამარჯვება იზეიმა 1921 წლის 11 მარტს, როცა ქალაქში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

— პირველმა ხუთწლედებმა რა ნიშანდობლივი სიახლენი მისცა ქუთაისს ახალი ცხოვრების გარიურავზე?

— ეს იყო 1922 წელს. დიდმა რუსმა ხალხმა ქართველ თანამო-ძმეებს ლენინის ინიციტებით მოსკოვიდან გამოუგზავნა ძეირფასი საჩუქარი — მაუდის ფაბრიკის მოწყობილობა, რომელიც პირველი

სოციალისტური საწარმო იყო ქუთაისში. გაზეთი „მუშა და გლეხი“ მოწინავე სტატიაში წერდა: „ეს დღე დაუკიწყარი იქნება ქუთაის სის მაზრის მშრომელებისათვის, და არა მარტო მაზრისა, მთელი საქართველოსი“.

მაუდის ფაბრიკას შემდეგ მოჰყვა რიონის პიდროელექტროსა-დგური, ტყავფეხსაცმლის კომბინატი, სამკერვალო ფაბრიკა, ძაფ-სალები ფაბრიკა, საკონსერვო ქარხანა, ლითოფონის ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში რესპუბლიკუში ერთ-ერთი პირველი შეიქმნა ქუთაისის სამწერლო ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დია ჩიანელი. წლების მანძილზე ქუთაის-ბათუმის თეატრს ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

1933 წელს ქუთაისში იხსნება სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე მრავალი სახელმოხვეჭილი მოქალაქე აღუზარდა ჩვენს სამშობლოს. მწყობრში ჩადგა ახალი კინო-თეატრები, სკოლები, სასწავლებლები, კულტურის კერები, სპორტული ბაზები. ქალაქი თანდათანობით ხდებოდა საქართველოს მრეწველობის და კულტურის მეორე ცენტრი.

— ომისშემდგომ წლებში როგორ გამოიკვეთა ქუთაისის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები?

— ქუთაისის ინდუსტრიულ განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მძიმე მრეწველობის დარგები. მძლავრი სავტომობილო, ელექტრომექანიკური, სატრაქტორო ქარხების აგება ამის მეზით დადასტურებაა.

მძიმე მრეწველობის ობიექტებს მიემატა მსუბუქი და კვების მრეწველობის ისეთი წამყვანი საწარმოები, როგორიცაა საკონდიტრო ფაბრიკა, სამკერვალო გაერთიანება „გელათი“, ბამბეულის საქსოვი გაერთიანება, ავეჯის ფაბრიკა და მრავალი სხვა. მწყობრშია მძლავრი სახლმშენებელი, კომბინატი, რომელიც ყოველწლიურად აგებს 75 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ბინას. საინტერეგისო მუშაობას ეწევა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო. სადაც ავტომატური მართვის ორიგინალურ მოწყობილობებს ქმნიან.

— უკანასკნელ წლებში რა გაკეთდა ქალაქში უველავე ლირსშე-სანიშნავი და რას ფიქრობთ მომავლისთვის?

— ეს კითხვა ბევრის მომცველია, მაგრამ შემიძლია ძირითად-ზე გიპასუხოთ.

ერთ-ერთი უველავე ლირსშესანიშნავი მოვლენა იყო ნ. მუსხე-

ლიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც და-
ინუინრო კადრების შესანიშნავ გერად იქცა. აქ აღზრდილი მათოთ
კვალიფიციური სპეციალისტები ჩვენი საწარმოების სამუშაოებით შევსებას წარმოადგენენ.

ქუთაისში გადმოვიდა „საქვენახშირის“ კომბინატი, შეიქმნა
ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაგეგმვის ინსტიტუ-
ტის ფილიალი, გაიხსნა ტურისტული სასტუმრო „ხვამლი“, ხარის-
ხისა და ტექნიკის სახლები, საორღანო-საკონცერტო დარბაზი, ავ-
ტოსადგური, უნივერსამი, პროფექნიკური სასწავლებლები, სკო-
ლები და სხვ.

ქუთაისის სახელოვანი მუშათა კლასი, რომელიც თავის რიგებ-
ში ათეულ ათასობით მშრომელს აერთიანებს, სასახელოდ ასრულებს
დედაქალაქის პირველი მაისის რაიონის მშრომელებთან ერთად ნა-
კისრ ვალდებულებებს. მათ 7 ოქტომბრისათვის — სსრ კავშირის
ახალი კონსტიტუციის პირველი წლისთვის შეასრულეს ხუთ-
წლედის სამი წლის სახელმწიფო გეგმა და ნაკისრი ვალდებულება.

ახორციელებს რა სკპ 25-ე ყრილობის ისტორიულ გადაწყვე-
ტილებებს, ქუთაისის მრეწველობაშ ახალი გამარჯვება მოიპოვა —
10 ნოემბრისათვის შეასრულა პროდუქციის წარმოების მეთვე ხუთ-
წლედის დირექტორებით გათვალისწინებული სამი წლის დავალება.
მდ პერიოდში წარმოების მოცულობის ზრდის ტემპია შეადგინა 21,8,
პროცენტი, ნაცელად გათვალისწინებული 16,1 პროცენტისა. ხუთ-
წლედის განვლილ პერიოდში — 2 წლიწადა და 10 თვეში გეგმის
გადამეტებით გამოშვებულია 52 მილიონი მანეთის სამრეწველო
პროდუქცია.

წლეულს ჩვენთვის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვ-
ლენას წარმოადგენდა „ქუთაისის დოის“ ჩატარება მოსკოვში.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ჯერ კიდევ 1974
წლის სექტემბერში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენ-
ცია, რომელშიც მონაწილეობა მოიღეს სსრ კავშირის სახელმწიფო
სტანდარტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანმა სპე-
ციალისტებმა. კონფერენციაზე მიღებული რეკომენდაციები საფუ-
ძვლად დაედო ხარისხის საქალაქო შტაბის, ქალაქის სამრეწველო
საწარმოთა, პარტიული და სამეურნეო ორგანოების შემდგომ მუშაო-
ბას. სისტემატურად ტარდებოდა იდგილებზე ხარისხის საზოგადო-
ებრივი დათვალიერება, შევისწავლეთ მომხმარებელთა შენიშვნები
და სურვილები, პუნქტების მიხედვით დავაწესეთ კონტროლი 31-ე
საქალაქო პარტიული კონფერენციის მიერ დამტკიცებული ხარის-
ხის მართვის კომბლექსური გეგმის განხორციელებაზე. განსაკუთრე-

შული ყურადღება მივაჭიერ აგრეთვე სკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწოდებული სარატოვის, იაროსლავლის, კრემენჩიცის და ლოვის პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემების შემცირების დებით გამოყენებას. ეკონომიკური განათლების 576 სკოლასა და სემინარში მცირდინეობდა 12.500 მსმენელი.

გატარებული ლონისძიებების შედეგად მივაღწიეთ თვალსაჩინო წარმატებას: ქუთაისის მარკის 140 სახის პროდუქციის აქცის ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, მისი ხევდრითი წილი საერთო პროდუქციაში 20 პროცენტით მეტია, რაც სამჯერ აღმატება 1976 წლის მაჩვენებელს.

ქუთაისი ღირსეულად აგრძელებს თავის მდიდარ ლიტერატურულ-კულტურულ ტრადიციებს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა უკანასკნელ წლებში, როცა ინტელექტუალური ცხოვრების პოზიტიური ძვრები ქალაქისა და რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა.

ახალგაზრდა პოეტთა ფესტივალმა, გარსებისა და ფირფიტებისა, პათანატომთა, ფარმაციოლოგთა, ახალგაზრდა ფიზიკოსთა საკავშირო სიმპოზიუმებმა, რუსული მუსიკის ფესტივალმა, მხატვრის კვირეულმა, საბჭოთა ლიტერატურის, ფალიაშვილის, გალაკტიონის, მაიაკოვსკის დღეებმა თავისი მასშტაბურობით და დონით ცხადპყვეს, რომ ეფემერულ მყუდროებაში მყოფა ქალაქის მშრომელთა ზერბრივ კრიტიკულებს ახალი ელვარება და მძლავრი პულსაცია მიეცა.

საერთო სამსახურში ჩადგა ლიტერატურული აღმანახი „განთიადი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ფილიალი, სიმფონიური ორკესტრი, საესტრადო ანსამბლი „კოცონი“ და სხვა შემოქმედებითი კოლექტივები.

ქუთაისში გამოცოცხლდა თეატრალური ცხოვრებაც; მესხიშვილის, ოპერისა და ბალეტის, თოვინების თეატრები უკეთ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს, სპექტაკლებს ემჩნევა სწორი რეჟისორული გადაწყვეტა, სცენიური სახეების დახვეწია.

გააქტიურდნენ ჩვენი მხატვრები. შარშან მათ ინტენსიურად და მონდომებით, პროფესიული ინტერესით მიიღეს მონაწილეობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ეს ნათლად დაადასტურა საშემოდგომო გამოფენამ.

ქუთაისელი მწერლები თავიანთ სიტყვას ამბობენ ქართულ მწერლობაში. ისინი პრაქტიკულად ახორციელებენ ცხოვრებისეულ დევიზს — „მწერლობა ხუთწლედის მხარდამხარ“. მათ დიდი სამამულო ომის თემაზე გამოაქვეყნეს მრავალი მხატვრული ნარკევი და დოკუმენტური მოთხრობა, ხოლო ახლახან — კრებული „ვარს-

კვლავებით მოფენილი მიწა“, რომელიც ჩვენი სოციალისტური ფე-
ფლისადმია მიძღვნილი.

ჩვენს მწერლებს დამყარებული აქვთ კავშირი საბჭოთა კულტურული
ხაელ მწერლებთან. მათთან შეხვედრები დიდად უწყობს ხელს ინ-
ტერნაციონალური მეგობრობის განმტკიცებას, პროფესიული ოსტა-
ტობის ამაღლებას. სწორედ ამ პოზიციებიდან შეგვიძლია შევაფა-
სოთ ქუთაისში ახლახან ჩატარებული საბჭოთა ლიტერატურის დღე-
ები, რომელშიც უცხოელმა მწერლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა აფხაზეთისა და
აჭარის ლიტერატურული დღეები.

შეიძლებოდა ჩამოგვეთვალა სხვა არა ერთი ღონისძიება, რომე-
ლმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქალაქის კულტურული ცხო-
ვრების აღმავლობას, მაგრამ ვფიქრობთ ესეც კმარა.

— დასასრულ მინდა გიოთხოთ, რას ფიქრობთ ქალაქის შემდ-
გომი კეთილმოწყობისათვის, მისი იერსახის გაუმჯობესებისათვის?

— ეს პრობლემა ყველაზე მტკიცნეულად და ყოველდღიურ
საზრუნავად მიგვაჩინა. ქუთაისი, როგორც ზემოთ ვთქვით, წარმო-
ადგენდა წვრილბურულაზიულ ქალაქს, მისი განაშენიანება მიმდინა-
რეობდა არქიტექტურული დაგეგმვის გარეშე და ეს, ბუნებრივია,
სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის ამა თუ იმ მიკრორაიონის, უბნის,
კუთხის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობის საქმეში.

მიუხედავად ამისა ყველა შესაძლებლობას ვიყენებთ როგორც
ცენტრის, ისე გარეუბნების გამშვნერებისათვის. დავამთავრეთ
ქალაქის ცენტრში პასაუის, დასავლეთის მხრიდან ქალაქში შემოსა-
სვლელი არქიტექტურული კომპოზიციის, კიკვიძის მოედანზე შად-
რევნების კომპლექსის, ლენინის პროსპექტზე საცურაო აუზის მშე-
ნებლობა; კიროვის ქუჩაზე ერთ-ერთი სკვერი დაამშვენა გამოჩენი-
ლი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის ძეგლმა, პირველი მაყურებელი
მიიღო ორდარბაზიანმა კინოთვატრმა „საქართველომ“, საექსპლოა-
ტაციონ გადაეცა ახალი ხიდი. ყველაფერი ეს გვახარებს ქუთათუ-
რებს, მაგრამ მომავალში უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი.

ქუთაისი თავისი არქიტექტურული ფაქტურით და რელიეფით
იძლენად თავისებური ქალაქია. რომ მასთან შეხება ძალზე სათუთ
მიდგომას მოითხოვს.

დღეს ქუთაისი ახალშენებლობათა ხარაჩოებშია. შენდება
საავტომობილო, ელექტრომექანიკური, სატრაქტორო, და რეზინის
ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნების ახალი კორპუსები, ბავშვთა საა-
ვადმყოფო, დიდების მემორიალი, სამართლის სახლი, პიონერთა და

მოსწავლეთა სასახლე, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი.



ახალი საცხოვრებელი მიქრორაიონები.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ქალაქში ორი ახალი — ურუკის არხისა და ავტოქარხნის რაიონების შექმნაზე. ისინი სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განხორციელებასთან ერთად, დიდ ზრუნვას გამოიჩენენ ქალაქის კეთილმოწყობისადმი, დარაზმავენ მშრომელებს საქართველოს ძველთაძველი, მაგრამ მუდამ ახალგა-ზრდა ქუთაისის შემდგომი გაღამაზება-გამშვენიერებისათვის.

ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია 15 ათასამდე კომუნისტის ითვლის. იგი მტკიცედ დარაზმული ხვდება თავის მორიგ 32-ე კონ-ფერენციას, რომელიც შეაჭამებს განვლილ მუშაობას და დასახავს მომავლის კონკრეტულ პროგრამას.

ქუთაისი დიდი წარსულისა და დიდი მომავლის ქალაქია.

დღევანდელობის ნათელ ფონზე მოჩანს მისი დიდებული ხე-ლინდელი დღე.



ჩავით კვიცაგიძე

ქუთაისს გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

საყოველთაოდ ცნობილია მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციები.

ქუთაისი სავსებით სამართლიანადაა მიჩნეული და აღიარებული ქართული პოეზიის აკვნად.

ქუთაიში გელათის მადლთან ერთად ეზიარნენ ლექსის ჯადოს და მერე აქედან გაუსწორდს თვალი პოეზიის ყველაზე მაღალ მწვერვალებს ბესიქმა. აკავიმ, გალაკტიონმა...

ძნელია დაასახელო ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც სისხლხორცეულად არ იყოს დაკავშირებული საქართველოს მეორე ქალაქთან.

ზემოთ სამი დიდი პოეტი, ქართული პოეზიის საში მშვენება ვახსენება.

ახლა დავით კლდიაშვილი!

ახლა ნიკო ლორთქიფანიძე!

კონსტანტინე გამსახურდია, სერგო კლდიაშვილი, ბესარიონ ულენტი, ალექსანდრე ქუთათელი, სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე...

ახლა ტერენტი გრანელი!

ახლა ლადო ასათიანი!

ზაქარია ფალიაშვილი, ლადო მესხიშვილი, დავით კაკაბაძე, ია-კობ ნიკოლაძე...

ამ საუკუნის ოციანი წლებიდან არსებობდა ქუთაიში ქართველ სიმბოლისტთა — ცისფერყანწეველთა ლიტერატურული მიმღინარეობა, რომელშიც შედიოდნენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ნიკოლო მიწიშვილი და სხვ.

მერე და მერე ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების უკაველ ეტაპზე უზრდიდა ქუთაისი მშობლიურ კულტურას ძეგლი პოეტებსა და მწერლებს, რომლებიც ერთბაშად ქართველები საქართველოს დოკტორობის უზრადლებას.

საერთოდ ქართველებს და მთ უმეტეს ჩვენ — ქუთათურებს გვჩვევია წარსულით, დიდი ტრადიციებით თავის მოწონება, წელის გამაგრება.

რატომაც არა!

დიახაც უნდა მოვიშველიოთ და ვიმაყოთ წარსულით, მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს დღე-დღევანდელი, ჩვენი გამრჯე ხალხის საგმირო საქმენი, ჩვენი ლიტერატურის უსაშველოდ ფართო ასპარეზი.

ამ მეტად მოკლე ექსკურსით, რომ იტყვიან, თვალის ერთი გადაკვრითაც იგრძნობს მკითხველი თუ რა მძღვრი ლიტერატურული ცხოვრება ბობქრობდა ქუთაისში, იგრძნობს, თუ რაოდნენ რთულია და საძნელო საუკუნეებში ნაძერწი უიშვიათესი ტრადიციების შენარჩუნება, იგრძნობს, თუ რა მძიმე ტვირთი და პასუხისმგებლობა აკისრია თანამედროვე ქუთათურ მწერლობას, რადგან ასეთ ტრადიციას მაშინ აქვს ფასი, როცა იგი მტკიცდება და ვითარდება. ჩვენ, მწერალთა მომლენო თაობები ყოველნაირად ვცდილობთ გავალრმაოთ და წინ წარმატებით შორეულ თუ ახლო წინაპართა გაფითა და რუდუნებით შექმნილი, ნაწილობრივ ნაწილობრივ სასახელო და საამაყო ტრადიციები.

ქუთაისში 1923 წლიდან მუშაობს რესპუბლიკაში ერთ-ერთი უძველესი სამწერლო ორგანიზაცია.

მკითხველი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს გიორგი სამხარაძის, სერგო ფხავების, სულ ახლანან გარდაცვლილი მწერლების ანთრია სინაურის, არჩილ გურჯიძის, კოსტა მეგელის შემოქმედებას.

კარგად იცნობს ოტია იოსელიანის, ლევან სანიკიძის, რუთა ბერიძის, ლილი ნუცუბიძის, სიმონ არველაძის, ზურაბ ქუხიანიძის, დომენტი ახობაძის, შოთა ნიუარაძის, დავით ხუროძის, სერგო ჭევიშვილის, შალვა ცანავას და სხვათა პოეტურ თუ პროზაულ ქმნილებებს.

არაერთხელ აღნიშნულა და მაღლიერებით მოხსენიებულა საქართველოს მწერალთა კატალის ქუთაისის განყოფილება იმითაც, რომ აქ ბოლო წლებში აღიზარდა მაღალნიჭიერი ახალგაზრდობა, რომლის ერთი ნაწილი დღეს აჭარის სტუმარია.

უკვე მოელ/რესპუბლიკაში იცნობენ ჩვენს ახალგაზრდა პოე-

ტებს დოლო ჭუმბურიძეს, ცირა შალაშვილს, ავთანდილ ყუმა შვილს, ზაალ ებანიძეს; პრობაგიოსებს ლეილა მესხს, თეიმურაზ ლანჩა- ვას, რევაზ ნაჟყებიას; კრიტიკოს ავთანდილ ნიკოლეიშვილი ართ- სხვებს.

საინტერესოდ წარმართავს მუშაობას ჩვენი განყოფილება, რო- მელიც სადღეისოდ ყოველმხრივ შეიარაღებული შემოქმედებითი ორგანიზაციაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყ- ვეტილებით უკვე მეხუთე წელია გამოდის და მკითხველთა სიყვა- რულით სარგებლობს საქართველოს მწერალთა კავშირისა და ქუ- თაისის განყოფილების მხატვრული ორგანო, ორთვიური უურნალი „განთიადი“, რომელსაც რამდენიმე წელი თავკაცობდა ცნობილი მწერალი გურამ ფანჯივიძე, ამჟამად „განთიადის“ მთავარი რედაქ- ტორია გამოჩენილი ბელეტრისტი კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის დიდი მონადომებითა და მეცადინეობით, გამომცემლობა „საბჭოთ საქართველოს“ სრული მხარდაჭერით მუშაობას შეუდგა გამომცემლობის ფილიალი, რომე- ლიც თავისი საინტერესო საქმიანობით უკვე იქცევს ყურადღებას, რაც იმის საწინდარია. რომ უახლოეს დროში კიდევ უფრო გაიშლე- ბა და გაფართოვდება მისი ცხოვრება და ასპარეზი.

მთელ ქართულ მწერლობასთან ერთად ჩვენი მწერლებიც ერთ- სულოვნად უჭირენ მხარს რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატის გაჯანსაღებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრა- ლური კომიტეტის მიერ გაჩაღებულ უშედეგათო ბრძოლას, ცდილო- ბენ უშუალო მონაწილეობა მიიღონ ამ ბრძოლაში, იყვნენ სულ წინა ხაზზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მხატვრული ნარკვევი ლიტერატურის ის მოქნილი ჟანრია, რომელიც სადღეისოდ უნდა მოიმარჯვოს მწერა- ლმა.

ქალაქის ხელმძღვანელობის დახმარებით მწერლები სისტემა- ტურად იგზავნებიან შემოქმედებითს მივლინებებში, რის შედეგად იქმნება საკმაოდ საინტერესო ნაწარმოებები იმ აღმაინებზე, რომ- ლებიც თავიანთი ვმირული შრომით უზრუნველყოფენ მეათე ხუ- თწლების დავალებათა დროულ განაღდებას.

მასი გაზაფხულის გვირგვინია, ყველაზე ლამაზი თვეა და ალ- ბათ ამიტომაც უწოდა დიდმა აკაკიმ ქუთაისს საგარდო და სამაისო.

ჩვენც მაისი შევარჩიეთ აქარის მწერლების, ჩვენი კოლეგების, ქართული მხატვრული სიტყვის აღიარებული ოსტატების საწვევად.

სამი დღის მანძილზე ჩვეული სითბოთი და სიყვარულით ჰასპი
ნძლობდა ქუთაისი ძეირფას სტუმრებს. ისინი ახლო გაეცენენ ქარ-
თველ ავტომშენებელთა შრომას, იყვნენ ქალაქის მსხვილ სამართლებულების
ებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. „ოქროს ჩარლახში“
გავმართეთ გულახლილი საუბარი იმ პრობლემებზე, რომლებიც სა-
დღეისოდ დგას შემოქმედებითი ორგანიზაციების წინაშე.

ყველგან დიდი სიყვარულით ეგებებოდნენ სასურველ სტუმ-
რებს, თავის მხრივ აჭარაში მომუშავე მწერლები გატაცებით უკით-
ხავდნენ ქუთათურებს თავიანთ ახალ ნაწარმოებებს.

ლექსის ქალაქს მოსწონდა ლექსის კაცები, რომლებმაც მსმენე-
ლი არა მარტო პოეტური სტრიქონებით, მაღალი კულტურითაც
მოხიბლეს.

დღეს ქუთათურ მწერალთა ერთი ჯგუფი საბჭოთა აჭარის სტუ-
მარია.

საიმერეთოს გულიდან ჩამოგიტანეთ მშრომელთა კეთილი სა-
ლამი და უზომო სიყვარული.

ვდგავართ უშვევნიერესი ცის ქვეშ, უძველეს ქართულ მიწაზე
და ქუდმოხდილნი გესალმებით, ძეირფასო მეგობრები! გესალმებით
და გილოცავთ დედასაქართულოსთან დაბრუნების ასი წლისთვავს.

ვესალმებით ყველა ჩვენს თანამოსაგრეს, მწერალს, მხატვარს,
მსახიობს, მუსიკოსს, ხელოვან მეცნიერებს.

ვდგავართ აჭარის გმირ მშრომელებს და ვამბობთ: — თქვენ-
თან ერთად გვიხარია და ვვემაყება უთვალავი წარმატებანი ასე
თვალხილულად რომ ამჩნევია თქვენი მჩქეფარე ცხოვრების ყოველ
სფეროს.

ვდგავართ ქუდმოხდილნი. ვესალმებით მზიურ აჭარას!



ზეგან კუხინიძე

ს ა მ ი მ გ ზ გ რ ი

(ზიგნიდან „ვარსკვლავიზე მონაღირიდი“)

გზაზე სამი კაცი მიდიოდა.

სოფელში სტუმრად ყოფილიყვნენ და გვიან ბრუნდებოდნენ; დილა-ადრიან პატარა რკინიგზის სადგურიდან ქალაქისკენ მიმავალ მატარებლი-სთვის უნდა მიესწროთ.

უმთვარო და უვარსკელავო ღამე იყო. რომ იტყვიან, თვალთან თითს ვერ მიიტანდით. ტყედ მიმავალნი ძლივს მიიკვლევდნენ გზას. სიბნელე მძიმედ და ავად დამხობოდა ხის ტოტებსა და ტყეში გაკაფულ ვიწრო ბილიკს. ჯიბის ფარანი არ გააჩნდათ და არც ჩირალები მოეძევებოდათ. ალოოთი ფრთხილად მინდობოდნენ ხეებს შორის გაწოლილ სიცარიელეს — გზას. ხანდახან ქვასაც წამოკრავდნენ ფეხს და შუა გზაზე დაგდებულ ხმელ ტოტებსაც წაეყრებოდნენ; როდესაც მათზე გადაივლიდნენ, ტოტე-ბის მტვრევის ჭახანი თოფების გასროლასავით ისმოდა ღამის სიბნელეში.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოწოლილიყო. უმთვარო ღამეში ღამურებს რა უნდა, ხოლო ღამის ფრინველების ჩამიჩუმიც არ ისმოდა. პატარა მდინარეც გაყუჩებლიყო, თითქოს სიბნელის შეეშინდათ, ხევში ჩაკარგულიყო და გამჭრალიყო.

გზაზე სამი კაცი მიდიოდა.

ერთი ბრმა იყო.

მეორე — ყრუ-მუნჯი.

მესამე — უხელო.

ბრმა ხელებს აცეცებდა, თითქოს ღამის კაბის კალთებს თითებს უფა-თურებდა. ყრუ-მუნჯს ხელები მკერდზე დაეკრიფა და ფართოდ გალებუ-

ლი თვალებით ღამის გაბურლვას ცდილობდა. უხელო წინ მიუძღვდა მათ
და გზადაგზა ომახიანი შეძახილებით ამხნევებდა.



სარკოცულება

გზაზე სამი კაცი მიდიოდა.

შოსწყინდათ უბრად სიარული და სიჩუმე უხელომ დაარტყმისას მომდევნობა

— ეს რა კუნაპეტი ღამე წამოგვეწია, ერთი ვარსკვლავი მაინც ჭია-
ტებდეს ცაზე, მოვარეს ვინდა დაეხებს. ციცინათელები მაინც სად გადა-
იყარგნენ...

— თუ მოვინდომე, გავცრი შავად გაწოლილ ღრუბლებს, და ცად
ვარსკვლავებს მიმოვაბნევ, ვით ოქროს ქვიშეს. — ეს ბრძამ თქვა.

— რაღას აყოვნებ, — შეუძახა უხელომ, — ერთი ვარსკვლავის გა-
შოჩენაც კი ბეღდნერება იქნება ჩვენთვები.

— ჰო, ვარსკვლავნო, მარადისობის მიუწვდომელო ცივო უიმციმო,
ერთმაც კი წყნარად რომ იჭიატოს, მისი სინათლე შორეული და ფერმა-
მკრთალი ღამეულ მგზავრებს ჩირალდნად მოვეჩვენება.

ცაზე ერთ ადგილს ღრუბელი გაიცრიცა და ცისკრის ვარსკვლავმა
გამოანათა. მერე სხვა ვარსკვლავიც გამოჩნდა მორცხვად და მალე ცა
მთლიანად მოიჭედა ვარსკვლავებით.

— თუ მოვინდომე, — განაგრძო ბრძამ, — გზის პირებზე მკვდარ
ჩიტებივით დაყრილ ხმელ ფოთლებს სულს შევუბერავ და მათ ფრთების
ქვეშ ჩაძინებულ ციცინათელებს თბილ ღადარივით გამოვაღვიძებ. მერე
კი, მერე ავხვეტავ პეშვით და ნაპერწკლებით დავკენკავ ლობეს.

თითქოს ბრძამის სიტყვებს ელოდაო, ნიავმა დაუბერა, ფოთლები ააფ-
რიალა, მათ ქვეშ განაბული ციცინათელები გუნდ-გუნდად წამოიშალნენ
და მგზავრებს წინ გაუძლენენ.

— დიდება შენდა სიტყვის ძალავ, დიდება შენდა! — შეუძახა უხელომ.
გზაზე სამი კაცი მიდიოდა.

ღამე თანდათან გაიცრიცა. განთიადმაც მოატანა.

— უკვე თენდება და ვარსკვლავებს ფერი უკრთხებათ: უძრო ცაში,
ვით ლურჯ ტბაში, წვრილ კენჭებივით იძირებიან. ციცინათელებს აკლდე-
ბათ ძალა და ულიმლამოდ ეღებიან ბუჩქებს და ფოთლებს... ყველაფერს
ამას კარგად ვხედავ, ვხედავ ზოგიერთ თვალზე ილუსტრაციებს უკეთ და ნათლად...
ავერ მზის სხივმაც გაიელვა ოქროს ფუნჯივით...

— თუ მოვინდომე... — თქვა უხელომ და ამომავალ მზეს შეპლალადა,
— მათხოვე, მზეო, შენი ოქროს ფუნჯი, სულ ცოტა ხნით მათხოვე და
სასწაულს მოვახდენ.

მზის პირებელი სხივი ცას მოსწყდა და უხელოს სახელოში შეუძრა.

უხელომ სახელო იიქნია და მზის სხივი ფუნჯივით მოიმარჯვა... ჯერ
გზისპირებს გადაავლო. იმშამსვე, ზურმუხხტისფრად აბიბინდა ბალახი.
მერე ბუჩქებს შეახო და მათ ტოტებზე სხვადასხვა ფერის ყვავილები

დასხდნენ. ხეებსაც გადასწვდა უხელო. მათი ფოთლები ზოგი მუჟანედ ზოგიც წითლად შეიღება და ბოლოს ცრსკენ ამართა მზის სხივის ფუნჯი. ცა ღია ლურჯად შეფერმერთალდა, ფუნჯის გარდისფრად და ამასობაში მზეც ამოიწვერა. უხელომ ოქროს ფუნჯი მზეს დაუბრუნა და თქვა:

— მადლობელი ვარ მნათობო, შენის წყალობით ყველას თავის ფერი დავუბრუნე!

— დიდება შენდა! დიდება შენდა! დიდება შენდა ჭადოსნურო ფერი ნო ბუნების! — შესძახა ბრმამ.

შრიალებდა ტყე, ბიბინებდა ბალახი, ათასფრად ანათებდნენ ბუჩქები. გზაზე სამი კაცი მიდიოდა.

— ამ სილამაზის შემხედვარეს, ასეთი მზის და ზეცის პატრონს, რა დაგვრჩენია სიმღერის გარდა! — თქვა ბრმამ და მუნჯი მხარი გაპკრა.

მუნჯი მკერდზე ხელებდა კულილი შეპყურებდა ბუნების საოცრებას. ბრმის ნათქვამს მიხვდა და ხელებით ანიშნა, მაგ საქმე მე მომანდვეო.

თითების ფათურით გზის პირს აყელყელავებული გვირილა მოწყვიტა, ხელები დირიჟორივით გაიშვირა და გვირილა მომარჯვებული მარჯვენა ხელი ცისკენ აიქნია.

ბუჩქებიდან ტოროლები ამოცვიდნენ, წკრიალით მალლა აიჭრნენ და ცაზე პატარა ეუვნებივით დაეკიდნენ.

შერე მარცხენა ხელი აიქნია მუნჯმა და შაშვების ჭიშვახით გაიცსო ტყე.

ისევ წინ გაიშვირა ორივე ხელი და თითები ფრინველის ფრთებივით ააფათქუნა.

რაც კი ტყეში ფრინველი იყო, ყველა ერთად აჭიქურდა. მათ შორიდან მდინარემაც მისცა ბანი და სახეგაბადრული, თვალებგაბრწყინებული მუნჯის ხელების მოძრაობაზე ერთი სიმღერა შემოსძახეს, სიმღერა ბუნების სილამაზის უკვდავებისა.

— დიდება შენდა! დიდება შენდა ბუნების ხმებო, ყრუს რომ აფხაზლებ, მუნჯს რომ ტკბილად ალაპარაჟებ! — შესძახა ბრმამ.

გზაზე სამი კაცი მიდიოდა: ბრმა, ყრუ-მუნჯი და უხელო.

ბრმა პოეტი იყო.

ყრუ-მუნჯი — მუსიკოსი.

უხელო — მხატვარი.



ილჩენს სამშობლო

კუძღვი ვარძიის ჰესის მშენებლებს

აჯამეთიდაა მოვუხმობ მუხებს, —
 შემოესივნონ გეგუთის ციხეს;
 სული ჩაპეტრონ ჩამკვდარ დარბაზებს...
 სახლთუხუცესი უნდა აზავდეს —
 გაშალეთ სუფრა,
 დავითი ილხენს!
 შეატყობინეთ სადადინოს,
 ქართვლისკენ მაცნემ სწრაფად იაროს,
 მომხდური უმალ გავატიალეთ,
 შემოეჭარეთ გეგუთის ციხეს.
 ომების შემდეგ დავითი ილხენს.
 აფრინეთ კაცი სვანეთის მთებში, —
 შემოგვაწონ ლილეოს ეშხი,
 გუშინ ხმალი რომ ეჭირათ ხელში,
 დღეს ზემითა გეგუთის ციხეს, —
 მეფეთა მეფე დავითი ილხენს.
 ამცნეთ პატრონის მძებნელ დესპანებს,
 მეფე სიუხვეს მხოლოდ დღეს ავლენს,
 ვის ავნებს ან ვის უნათესავებს,
 დაადასტურებს გეგუთის ციხე,
 დღეს გამარჯვების ეშხით რომ ილხენს.
 ამცნეთ ყოველთა, მაშრიყს და მაღრიბს,
 რომნის ესტუმრონ ზღვიდან თუ მაღლით,
 შემოეჭარონ გეგუთის ციხეს, —
 აყვავებული სამშობლო ილხენს.



ბ ა თ უ მ ზ ი

შუდამ ისმის ტალღის შფოთვა,
ისმის ზვირთის დგაფუნი,
მას ყურს უგდებს, მასთან ერთად
არ იძინებს ბათუმი.

არ იძინებს, ქვეყნის სუნთქვას,
მაჯისცემას აყურებს...
ცას ჰყილია მილეული
მთვარე, როგორც საყურე.
აიშალნენ ფრთათეთრები,

ფიქრი გაიყოლიეს,
კენჭებს ვესვრი ნება-ნება
მონავარდე თოლიებს.

გეგონება წყალი იწვის,
კიდურს ბოლი რომ ასდის,
ნაპირისკენ უხმაუროდ
მოტორტმანობს ხომალდი.

მე ვეხვევი პალმის ტოტებს,
სანაპიროს დავიარ...
უჱ, რამდენი გლისერია,
უჱ. რამდენი ნავია.

თვეალს იტაცებს ეს კენჭები,
წყალში ნათამაშები,
ლურჯ ტალღებში შეერივნენ
მზით დამწვარი ბავშვები.

მიყვარს ზღვასთან საუბარი,
სულ უსიტყვო და ჩუმი...
ჩემთან ერთად არ იძინებს
ჩვენი მწვანე ბათუმი.

ალუმართავს ქრხნებს მილი,
კვამლი უბოლებიათ,
იზრდებიან, იშლებიან,
ლაუვარდებში ღნებიან.

ციტრუსებით დაუხატავს
ხალხს წალკოტი, ედემი
აივნებზე ღუღუნებენ,
ღუღუნებენ მტრედები.

შუდამ ისმის საოცნებო
ზღვის ფშვინვა და დგაფუნი,
როგორც ვარდი, იფურჩენება
ჩვენი ბალი-ბათუმი.



* * *

ვიღაცა ცდილობს ჩამდახოს ყურში
დაწმული სიტყვა სასოწარკვეთის:
„წყლული, რომელიც გტკიოდა გუშინ,
სიღრმეში დარჩა ამოსაკვეთი.
ამ ქვეყნაზე პატიოსნებამ
ფარვანის მოკლე სიცოცხლე იცის
და ვისაც სწამდა, მათი ოცნება
ახლაც უჩინარ კოცონზე იწვის“.
ვიღაც უპირებს გაცამტვერებას
სიკეთის ხეზე ამოყრილ გირჩებს,
იმედის კერპთან გადამტერებას,
ურცხვი ლიმილით ვიღაცა მირჩევს.
ფარისევლობის მორგებულ ნიღბით
დადის ამ ქვეყნად ამაყად ვიღაც...
ნუთუ ბოლომდე ჩემს გვერდით ივლის
და ვერ შეამჩნევს ვერავინ ნიღაბს?

* * *

რა ვქნათ, გვენანვის —
გვიან და გვიან
ჭაბუკურ ხილვებს რომ ვეთხოვებით...
ინგრევა რალაც ძველი
და ნიავს
სულში შემოჰყავს ხმა ბეთჲოვენის.



ԾԱՇԼՈՂՈ ԵՐԱՋԱԾՈ

ԺԱՌԱՎԱՐ ԱՐՄԵՆԻԱ

ԵՇՈՐԱԾ ԸԱՎԵՐԾԵԱՎ ՄԱՆԵՐ ԾՈՂԱԿԱՎ
 ԾԵԼԵՑՈՆԵԲՈՍ ԵՆՄԻՐԵԱՎ ՀԱՅԱՖՈՆ
 ԾԱ ՀՐԱՎԱ ՄԵՐԿՈՎԱ, ՄԵ ՎՐԵԿԱՎ ՄԱՇԻՆ,
 ԱՆ ՎՐԵԿԱՎ, ՀՐԱՎԱ ՎՈՂՐՃԵՆԾ ԳՅԻՆՑԵԿԱՎԱՆ
 ԾԱՌՈՒԾ ԳԱՎԱԼԵՅ ՄԻԵՒՐՈՒԼ ՍԱՐԿՄԵԼՍ
 ԾԱ ՑՈՒԼՈՍ ՄԱՆԳՈՎԱ ՄԱՆԱԼՎԵ ՔԻՐԵԲԱ,
 ՈՎԵՆԵԲԱ ՏԵԽԵՑԵՍ ՄԵՐԿԵԼՈՎՈՒԹ ԿԵՆԿԱՎԵՏ,
 ԸԵԺՏՈՍ ՏՐԻՐՈՎԵՆՏԱՎ ԱՋՐԵՐԵՆ ՎԵՆԵԲԱ.
 ՄԱԳՐԱՄ ԾԼԵՍ ԻԵՄԻ ՏՄԱԼՈ ԱՐ ՄԸՐԵՐՈՍ,
 ՏՐԻՐՈՎԵՆՏԱՎ ՏՈՒԹԾ ՎԵԼԱՌ ԳԱԴԱՎԵԾԾԵ:
 Ա. ԾԵԼԵՑՈՆԵՆ ԵՆՄԵՐՈ ԾԵՎՐՈ
 ԳԱԴԱՄԼՈՂՈԱ ԾԱ ԵՍ ՄԱԴԱՌԾԵԾԵՏ.
 ՀՐԱՎԱԾ ԾԱՎՈԾԵՆԵԲ?

ՏԱԿ ԾԱՎՈԾԵՆԵԲ?
 ԻՆ ԱՐ ՈԼԵՑԵԲ ԾՈՎԵԲՈ ԿԱՐՄՈԼՆ?
 ՄԵՍԱՅԼԵՑԵԲՈԱ ՄԱՆԱԼՎՐՈ ՄԻՆԾՈՒՐԾ
 ՄԱՐԱԳՈՍԵՆՑՈՅ ԱՄԵԼԵՆԵԼ ԾԱՄՈԼՆ.
 ԵՏ ԳԱՎՈՎԻՌԵԲԱ ԾՄԵԼՈՎՈ ՄԱՎՏԵՏԵՏ,
 ՎԱԾԿՈՒՅ, ՏՎԱԼԵՑԵՌՄՈՎ ԵՆՄԼՈ ԳԱՄՄԼՈԱ:
 ԾՐՈ ՄՈՎԱ, ՏԵՎԵՑԵՈՎ ԾԱՄԼՈԱ ԱՏԵ,
 ՈՒ ԻԵՄԻ ԵՆՄԵՐԾԱՎ ԱՏԵ ԾԱՄԼՈԱՆ?..



თეიმურაზ ღანჩევა

სიყვარული

- იმშობიარა, — თქვა და სველი ხელები ქურთუქს შეაწმინდა.
- ვინ? — გაქირვებით იყითხა დამხდურმა.
- მიწამ იმშობიარა.
- ახირებული კაცი ხარ, თომა!
- ერთი შირცვალიც არ დაკარგულა, დროზე მოგვისწრო დალოცვილმა. შარშან იყო და გვალვამ იმძლავრა. დამარცხებული გლადიატორის გლეხი, თუ უამინდობამ დაჯაბნა.
- ხალილი მოგიტანა ევამ.
- ბიჭი თუ ახლდა თნ?
- არ სცილდება მდინარეს, თურმე.
- მზეს აგროვებს ალბათ, მდინარე უყვარდა ნენეს.
- დედობას ვუწევო, — ევამ.
- დედის ნაცვლობა შეუძლებელია.
- ხომ შეიძლება მასავით უყვარდეს?
- მშობიარობას გადაპყვა ნენე.
- ჰო, მართლა, რიყეში ცხენებია გამოსადენი, თუთრი ფაშატის იშვ-დი აქვს ივდითს. მარულა იწყება ხვალ.
- გავა გაუსუქდა ფაშატს.
- მზე ჩადის, მიმწუხრისს მოგვესწრო მაინც.
- ჩვეულებრივად ამოვა ხვალ.
- მაშინ არ ამოვიდა მხოლოდ, უმზეო დღეს დაიბადა ბიჭი.
- ვაჩნები თუ მოიტანა ევამ?
- თოფი თანა აქვსო ვაკი, — გვითხრა.
- თხმელიანებში იხვები მომრავლდნენ, ნადირობს კუნა.

— მზეს ესვრისო ყოველ დილით. მზე არ იყოო მაშინ... უმჭეოდ ძაღლდათ დედაჩემი.

— ჯოლამ დაგვიტოვა თევზი, ბლომად ამოჟყოლია ბაღჭენისა და კარდალა ჩამოდგა დამხვდურმა.

— ურწმუნოს უკტენია ჭუსტანისთვის.

— ურწმუნო ჭუსტანია თვითონ, ხატი ჩამოუხსნია სამლოცველაში.

— არ სწამდა ხატი, შვილი შევავედრე და არ მისმინაო.

— გლეხი კაცის ხატი მიწაა, ძმაო, ლოცვა-ვედრებით ვის მოუყვანია პტერი, გვის აუვსია კოდი, სანთლების მაგივრად გული იწვება კაცის.

— ეს, ურწმუნოს ურწმუნო ვერას დააკლებს, — შუბლი მოიჩრდილა დამხვდურმა. ქორი დასტრიალებდა კარავს. გაშეშდებოდა, მერე კამარას შეჰკრავდა და ქვასავით წამოვიდოდა ქვევით.

ფრინველს ახედა ომამ, წვერი მოიქექა, — სივრცეები უყვარდა საწყალს, კეთილი სულები ეტანებიან სივრცეს, — ერთხელ კიდევ გაიხსენა ცოლი.

— მიწამ დაიტოვა, მე ვარო ღმერთი, — ამინიხვნება დამხვდურმა.

— გლეხის ღმერთი მიწაა, მართლაც, უღმერთოდ კი ვგიგნით, — თქვა და რიყისკენ მიანიშნა მოსაუბრეს.

ცხენები ტორავდნენ ქვიშას, ფაფარი აშლოდა ფაშატს, უმალ გამოარჩია თეთრი ბედაური.

* * *

ფეხს ქვეშ აშრიალდა მიწა. სანაპიროზე აწრიალდა რაღაც, ორი დასიცხული პირამიდა შეტოკდა და ალიმართა.

— ცა დაგიჩრდილე, — იხუმრა ვაუმა.

— შუბლი მოიჩრდილა ქალმა.

ცად ეჩვენა ქალის თვალები ვაჟს.

— ცა გაგიყვია, თითი დააჭირა ცხვირზე.

— ცაც იყოფა ორად, — გაილიმა ქალმა.

— შეუძლებელია.

— ერთ ცაში ფრინველები დაქრიან, ხოლო იქ, მეორე ცაში ოცნებით თუ იფრენს კაცი.

ცხელი სილა მოაგროვა ვაუმა. ტანზე დაიყარა. შუბლზე ხელი გადაუსვა ქალმა.

სანაპიროზე წერო დაფრინდა.

— ყოველდღე აქაა, — მიანიშნა ვაუმა.

— ერთად დავფრინავთ, — მკლავებზე წამოიწა ქალი. სილაზე გრძელი ფეხები, ლამაზი, მაღალი ყელი და თხელი სწორი ცხვირი დარჩა.

წერომ ფრთები შემართა, კისერი გასჭიმა და იქაურობა მოუთვალისებრი.



— ერთად ავტონომებით, — თქვა ქალმა.

— როგორ? — გაიკირვა ვაჟმა.

— მე ხშირად მიფრენია წეროებთან, მომივლია ცა და ხმელეთი.

მერე და არწივები... არწივები ემტერებიან. — წარბი შეიგმუნა ვაჟმა.

წერომ ფრთები შემართა.

თოფის სამიზნე დააჯდა თავზე ფრინველს.

— ვეღარ გაფრინდებით, — ჩახმახი დასხლიტა ბიჭმა.

სისხლმა შეღება წყალი. ცრემლები მოადგა ქალს.

— „ორი ცა“, — გაახსენდა ვაჟს. მაღლა აიხედა, მზე იღეოდა, ქალს დააკვირდა, მეორე ციდან წვიმას იწყებდა.

წყლის აღიდებამდე...

რაღაც გაითიქრა.

* * *

აქლოშინებული გარბოდა ვაჟი. ხორბლისფერ ტანზე ბოლი ასდიოდა. ტიტველ სხეულზე კუნთები უხტოდნენ დალლილს.

უცებ მიტყუპდა ორი ფეხი.

— ჩამო! — თოფი მიუღირა ცხენზე მჯდომს.

— მარტულა ხვალ, — გაეღიმა ივდითს.

ჩახმახი შემართა ვაჟმა. სიკვდილმა გაძოიხედა ორმაგი ჭუჭრუტანიდან. მძიმედ ჩამოეშვა მხედარი.

— დაეხსენ, ჯონი, — თვალები მოჭუტა თომაშ.

ნერვულად დაფვუნა ბელტი მარჯვენა ფეხმა.

— სად მიდიხარ მაინც?

— იქთ, — ხელი გაიშვირა ვაჟმა.

— შენი წინაპარი მიწას ებრძოდა, მიწაზე იდგა და ცას შეჰყურებდა,

— დაკოერილი ხელები გაიშვირა თომაშ. — მიწას უნდა მოვლა, მშობეა-რობას გადაჰყვა ნენე.

— უდედოდ დავრჩი მერე.

— ლუკმა არ მომიკლია შენთვის.

— სიყვარული ვერ მასწავლე მაინც.

— სიყვარულს არ სწავლობენ, ჯონი!

მეველემ ჩაიქროლა ცხენით, გაბმულად აჭიხვინდა ფაშატი. ქარივით მოახტა ვაჟი.



მიტოვებულ ეკლესიას ჰგავს სენთუ, — ჩურჩულებდა ქართული ეკლესია
— მე უნდა ავანთო სანთელი, — ფიქრობდა ვაჟი.

— ჩავაქრობ, — სისინებდა ქარი. ეკლესია უსანთლებოდაც ეკლესია,
— ჯიუტობდა ვაჟი.

— შეცდენილი ქალი ხატჩამოხსნილი ეკლესიაა, — ქირქილებდა ქარი.
— მე ვილოცებ მაინც, მე ვილოცებ მაინც...

გრძელდებოდა კაცისა და ცხენის ჩრდილი, გრძელდებოდა და თავის
ჩრდილს გაურბოდა ცხენი, მერე დაიჭიბვინა და მდინარის პირას დაასო
ტორი.

მკვდარი წერო თხმელის ბუჩქებში გაეჩხირა წყალს, სილაზე დარჩე-
ნილი ქალის მკერდის გამოსახულებას ჩვილივით ლოკავდა ტალღა.

სველ სილაზე აქა-იქ ეყარა პატარა ნაფეხურები, ისინი ვეება მორე-
ვთან თავდებოდნენ.

— აქ ჩავიდა მზეც, — თქვა და მოტრიალდა.

უკან თომა იდგა, ვეება დაკოურილი ხელებით.

— მიწას უნდა მოვლა, მიწას უნდა მოვლა, — სისინებდა ქარი.



ვ ი ნ ა პ რ ე ბ ი

ვუმზერ მშობლიურ ტინებს,
ცრემლმა მონამა თვალი...
ვიხსენებ კონსტანტინეს
და მეფეთ-მეფე დავითს.
მოწყენილობა სუფევს,
უქმია ყველა ღონეს...
რა გამოულეს უფალს
მორჩილს, მოშიშს და მონას.
მოვდივართ ასე ცრემლით,
ასეც მივდივართ, ჩემო!
და მეთორმეტის ხემი
აჩხევს მეოცის ჩელოს.

ხმა ნაღვლიანი მოდის,
სევდის ამიშლის ბაღებს;
აგერ გელათის ლოდიც,
ავსებს შენს მშვენარ სახეს.
შორს, ლავგარდებზე მოჭრილს
ჰგავს, მარმარილოს ფერი,
ელიას მჟაცრი კოშკი
და სულის საყუდელი...
მარადი ნათლით ნათობ,
მშვიდად მეუფევ, მშვიდად.
შენფერი ფრთები, ენატრობ,
ფრთები შენფერი გვინდა.

ბაბრათი, მიოცის მიშურული

ვინაც ჩაგაცვა ეს ქვის კაბა და აგამღერა,
იგი წავიდა ვარსკვლავეთში ცათა სამზერად...
სევდით მოსილი, საბრალისად დახრილი მხრებით,
დგხარ დღის გულზე და აგვისტოს მზეს ეფიცები;
ხანდიხან ასეც მეჩენება, ღმეულ ფონზე
ფრთებს გაშლი, ქალაქს შემოუსევ შენს ანგელოსებს;
ამ ერთი ღამით ღმერთი არის ჩვენი მფლობელი
და მოჩერებულებს შენი ღოცვა-საგალობელი...
უამი-რამ მნათიც დაქანდება ცალკერის ყელით
და გითრთის პავი ბროწეულის ყვავილისუერი.



Ժ Ծ Ր Ծ Ց Ո

Քորոեսի, քորոեսի, ընդպելտա ցարհեծոտ,
Սերեծո մթվանց და დაბლոծո Ծպօնոն,
Քորոեսի մდութարո չոխզեծոտ, արհզեծոտ,
ზամտարո աժրյ და ზագեշլո ցըօնո.

Քորոեսի, սառցա՛ր ծუնեծու յմնուլցիա,
Սանցետու մթվենցիա, ագցոլո նլաձրուլո,
յառև մօայվէ წառսուլու ՝ծառու-ծուլցիա«,
ցանմու մուրութեծու წյրուալա մայրուլո.

Քորոեսու նեցանչյ յոմբու დամլուլո,
նանցրեցմո օմնեծու յլամո օմպորա.
աեղան ծեյյաս կալու წամլուլո,
սագլազու լուգո კո շամտա սցլամ ցամպորա.

նանցրեցու գուլցո, ծելու დա մգումարո,
յլուգա ծեյյաս հիյուլո ամալու...
մատ նալուլագ յիշու շրուցիո սტումարո,
աեալո յըոյյու սպուլճա մամալո.

წասուլա մայլո գրո, զմնու დա սայացու,
նանցրեցո, ցարությ წառսուլու նմանեծոտ.
ծեյյաս սամեցու գլու մարտաց «սեզա յալո»,
քորոեսիյ ՝լուլցու «մղերուն սցանեծո.

1) Քորոեսի — գանցրեցլո ցուեց-սօմացիւ սցանետմո, եռոյել նյութունուն.



* * *

უნდა მეზიდა ქალობა ტვირთად —
ასეთი იყო მბრძანებლის ნება,
და მომეტანა შენს სახლში მზითვად
წუხილი, კრძალვა, ფიქრი და ვნება.

და რადგან გავჩნდი ამ ქვეყნად ქალად,
დაბადებიდან დამქონდა ორთოლვა,
და მომეკუთვნა ნიჭად და ვალად
მამულის, როგორც ოჯახის მოვლა.

* * *

რას არ ვფიქრობ, რას,
იქნებ მოვკვდე დღეს,
იქნებ ვძულვარ მას, —
ვინც თბილ ბინდში მხვევს...
არ წასულა ჯერ
სიყვარულის დრო,
ჩემი სულის მზეც
ლამაზ სიზმრებს გლოვს.

თეთრი ნისლის შრეს
შემოგრიოს სულ, —
გრგონებდეს შენ
და ტკიოდე სულს...
რას არ ვფიქრობ, რას.
იქნებ მოვკვდე დღეს.
იქნებ ვძულვარ მას.
ვინც თბილ ბინდში მხვევს...



Չ Ր Ա Տ Ճ Յ Ծ Ո

Էնադու Ցաղացավոլուն

Եյցենո Եցալուն լամանի Սյազօ
 Հանչեց մարծացօ շահենօրան, ան համար մուզօ,
 Վկոտեսլոնք մը Եյցեն մոխանցուլ Եցալունի,
 Ենուր Մմինճանենի մոխուրու Կոռացա շահալութ?
 Մա՛ Հաճ օլարեցա հյեմու մթերա նալզելնահյուզո,
 Պրայսյուս Սուպութլուս յև Սամաւորու Եռ անպալու,
 Հաճ առ շամշուրուց յը Սոմշուրու գագասահյուզո,
 Համ Շյամբուտա մանց այս Եյցենո Եցալունի,
 Վոն շամաւուրու մմուր նամերութալութօտ...
 Վոտ Քվարչուլուց կաջալուն գարուլա Ենցինու,
 Վոն Եպուրեցա շագրենուրու Սուլուս կովուրո
 Ըստ մեռհարցեցա սապունուրան սապունուշո.
 Եյցենո Եցալունիտ շամելունո
 Ըստու Ծյուրունու...!

Ճ Յ Ծ Ո

Վոն մուսու Շուլուն
 Տմահու Ըստ շարեթահու,
 Եյցենուն Հա Շուռու,
 Հա հինու արեսա,
 Շամարչու Շինուռուն,
 Ծուրենի Ըստութի,
 Մոխանու մոխարա
 Ըստ Շյունու շարեսա.

Գոտլուսցան շաբալա,
 Շյեսցենի Ըստեարա,
 Արց Սունեյցա աբալա,
 Արց Սաես առ պիհենս,
 Վոն Ըստուրունի
 Ամ Շունցենի, մոտեարուն,
 Վոն Ըստուրունի
 Ամ Քալուլ ալուհինի?



გ ა ხ ს ო ვ ს ?

გახსოვს? საღამოს ზღვა ვარდისფრად მიძინებული?
 გახსოვს სპეტაკი სანაპირო, ძვირფასო ჩემო?
 ვიდექთ თრი. ახალგაზრდობას
 ჰქონდა მარილის თუ ცრემლის გემო.
 დღეს სულ სხვა არის, მზის ნათებაშიც
 სხვა დაღლილობა შემოპარულა.
 ცისკენ კანკალით მიიწევს კვამლი
 და წარმავლობის საიდუმლო მიაქვს ფარულად.
 დღეს სულ სხვა არის, უგზო-უკვლოდ დავეხეტები
 და ფოთოლცვენის იმედით ვცხოვრობ;
 ძვირფასი სევდით მოოქროვილი
 მე შემოდგომა გამიგებს მხოლოდ.
 ო, რა ხანია მოუსავლეთს გაჰყვირა გემმა
 და მოგონებებს მივუბრუნდით, ძვირფასო ჩემო.
 წამით გამკრთალმა ბედნიერებამ
 დატოვა სუსხი და ცრემლის გემო.



შეტა ტანავა

ახალი ეკონომიკური საჭარან

დღეს ჩამაბარეს მანქანა.

— აბა, ყოჩალად! — დამკრა ბეჭიე ხელი უფროსმა ოსტატმა და მანიშნა, წაიყვანეთ.

გულისფანკელით მიუუახლოვდი მუქმწვანედ შეღებილ ახალთახალ თვითმცლელს. დილის მზის სხივებში სარკესავით ბზინავდა სუფთად გალაქული კაბინის კარები, ძარას თავსაბურავი.

რაღა დაგმალო და განუსაზღვრელი სიამოვნება ვიგრძენი, როცა ავდიოდი საფეხურზე, როცა შევეხე დერმანტინგადაკრულ საჯდომის რბილ ძგიდეს. მანქანა როგორ არ მინახას, მეორე კლასის მძღოლი ვარ, სანამ აქ, ქარხანაში გადმომიყენებინ მშენებლობაზე ვმუშაობდი, მაგრამ მთლად ცინცხალ, ხელუხლებელ მანქანაში და ისიც გამომცდადად არასოდეს ვმჯდარვარ.

ფრთხილად ჩავრთე გამშვები. ტკბილი ხმით, აი, ნამდვილი მტრედივით აღუღუნდა ძრავა. ნელა გადავდიოდი მიწაყრილებზე, თავისუფლად ვუვლიდი გვერდს თხრილს; ჯართის გორებს. ჩემმა მანქანამ შეუფერხებლად გაიარა მთელი წრე. საათის სიზუსტით მუშაობდა მისი ყოველი მექანიზმი. მეხუთე სიჩქარეშიც ვდადე, როგორც ისარი ისე გაფრინდა.

— აქვს რამე? — მკითხა ოსტატმა, როდესაც გადმოვედი კაბინიდან.

— არაფერი.

— კარგად მიდის?

— მეტცხალია, მწვანე მეტცხალი. — აღმომხდა აღტაცებულს.

— ახლა ეს წაიყვანე.

კვლავ მივუჯექი საჭეს.

მეორე მანქანაც მსუბუქად მიდიოდა, უცებ ჩემი ყურადღება
ზარომეტრმა მიიპყრო. იგი თანდათან იწევდა ქვევით.
„რა მიზეზია? აპა, ჰაერი ეპარება. უთუოდ სამუხრუჭეში“ უკუკულა-
ფიქრე. არ გავჩერებულვარ. სხვა ნაკლსაც ვეძებდი, მაგრამ ვერაფერი
აღმოვაჩინე.

...მართალი ვიყავი, ჰაერსადენი მილი იყო გაბზარული. გამოვცვა-
ლე. დღის ბოლომდე სამი მანქანა შევამოწმე, შემიძლია მეტი გავსინჯო,
შევეჩვევი.

* * *

დღეს შევხვდი ჩემს ნაცნობ კარისკაცს. არ ყოფილა ცუდი ადამია-
ნი. დილით მომესალმა, გამილიმა, ხოლო სალამოს, აქეთ გამოსვლისას
ქიდევაც დამელაპარაკა.

— შეეგუე? — მკითხა.

მე გაშინვე მივხვდი სამუშაოზე მელაპარაკებოდა.

— შევეგუე, — ვუპასუხე.

— სახალისო საქმეა. ჩემი ძმა მუშაობდა მანდ. ბავშვივით უხარო-
და ახალ მანქანაზე დაჯდომა. სულ ვერ გებულობდა დაღლას.

— ახლა სად არის შენი ძმა?

— გორკშია, კვალიფიკაციაზე.

— საიდან ხარ?

— ტყიბულიდან. შენ?

— აგერ ვცხოვრობ, გამოლმა, ფინურ სახლებთან.

— მეზობლები ვყოფილვართ. მეც მაქეთ მაქვს ბინა აღებული.

შენი საკუთარი სახლია?

— საკუთარი.

— ბევრი ხართ?

— მე და დედ-მამა.

— დელისერთა? არაუშავს... მოდი ჩვენთან, საერთო ბინაში, ჭად-
რაკს ხომ თამაშობ? ჰოდა, მოდი, ტურნირი გვაქვს. რა გქვია?

— ბადრი, შენ?

— შოთა.

ასე დავმეგობრდით ჩვენ.

ახლა შაბათი მძიმე დღე გათენდა ჩემთვის. გამოვიყვანე თუ არა
მანქანა, ვხედავ, რალაც ვერ არის რიგზე — ძრავაში კაკუნი ისმის. ვე-
ძიე, ძლივს მივაგენი. სარქველსა და ბიძგარას შორის დარღვეული იყო
ჰანძილი. მოვუშვი მარეგულირებელი ჭანჭიკი. წავედი. მაინც გაისმა კა-
კუნი. კიდევ მოვუშვი. არ უშეელა. გაბრაზებულმა ავიღე ქანჩი და მო-

გუჭირე. მაგრამ ამაოდ. ბოლოს, როგორც იქნა, გავასწორე მანძილზე შევაწყვეტინე კაკუნი. ამასობაში საათზე მეტი გავიდა. თურმე მრიცა, არ გაჩერდები? ღროის დაკარგვას აწი უყურე. ერთი მანქანა-იყვავის ტუმრე კიდევ, მერე კი... დაიწყო, დაიწყო და მერე როგორ (ეს სულ საამწყობო საამქროს ბრალია, თვის ბოლოა, ჩქარობენ), ბევრი ვიტრა-ლე, ვერაფრით ვერ მივაგენი საიდან მოჟონავდა წყალი.

სამუშაო ღრო მთავრდებოდა. მე კი ისევ ოფლში ვიწურებოდი, მინდოდა როგორმე მენახა ნაპრალი.

„რამდენი ხანია აქ ვდგავარ, რომ ვერ მოვნახო, რას იტყვიან ბიჭები? ესეც შენი მეორე კლასი“. — ვფიქრობდი გამწარებული.

— რა დაემართა? — მომესმა ზურგს უკან. მოვიხედე და დაბალი პირფართე ჭაბუკი რადიატორთან იდგა. მან სწრაფად მოაძრო საცობი, ჩაპყო ხელი შიგ.

— ტყუილად წვალობ, გამოსაცვლელია...

— რატომ?

— მილაკია გახეთქილი. — უცნობი გულმოდგინედ იმშრალებდა თითებს ჩვრით, კეთილად მიღიმოდა, — ნუ გაგიკირდება, რომ ვერ მიაგენი. ეს მხოლოდ აქ მუშაობის პერიოდში ვისწავლე მეც. წყალია, ხან სად იპოვის გზას და ხან სად.

თვალი გავაყოლე მიმავალს. ეს ბიჭი ამასწინათ კლუბში ვნახებონებს ესაუბრებოდა კინოს დაწყების წინ. იცინოდა, თავისუფლად ხუმრობდა, ცოტა არ იყოს, შემშურდა კიდეც.

— კოსტია! გადმოუხვიე აქეთ! — გავსძახე საამქროდან გამოსულ წუნდებელს.

კოსტია მომიახლოვდა.

— გამარჯობა.

— გაგიმარჯოს. ვინ არის ეს, ახლა რომ შეგხვდა კარებთან?

— არ იცნობ? ჩვენი ბორიაა, ყველაზე მოწინავე მძლოლ-გამომცდელი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, მეორე ცვლაშია და ამიტომ არ შეგხვდებოდა შენ. მაგას ქვეყანა იცნობს.

თვალშინ დამიდგა უცნობი ჭაბუკის გაბრწყინვებული სახე.

ნეტავ როდის ვიქნები მეც ასევე სახელოვანი?...



• • •

ქვეყნის გაჩენიდან მარჩენალ
 მიწას შენ გვიხნავ და გვითესავ, —
 დადაფვნა ეკადრება მარჯვენას
 შენსას, დამაშვრალო ქიტესავ.
 ახლაც შენ პკიდიხარ გუთანს,
 ხნულში მუხლებამდე ჩამდგარო;
 ნიავი გილიტინებს გელთან
 და კვალზე ოხშივარი ფართქვალობს.
 მზე ვიდრე ფერსათოო მოაბიჭებს
 და სოფელს გადაუსვამს მჩატე ხელს,
 ცოტა ხნით ღობეზე მოაბი ჭერ
 ხარები და ხემსი გატეხე.
 გალანდვით გახედე ნაჯაფარ
 თითებში მოქცეულ ზედაშეს, —
 ქე არის საჭირო ხანდახან,
 რომ მკერძოზე პერანგი შეგაშრეს.
 შენი „ურმულით“ და „პამოხით“
 გზები რომ არა ერთხელ მორწყავი,
 სოფლის სატკივარი გამოვთქვით
 და თავი მოვიტანე ცოცხალი.
 ქვეყნის გაჩენიდან მარჩენალ
 მიწას შენ გვიხნავ და გვითესავ, —
 დადაფვნა ეკადრება მარჯვენას
 შენსას, დამაშვრალო ქიტესავ.



მ თ ე ბ ი

აქეთ მთები,
იქეთ მთები,
მთების იქით
მთები კიდევ,
ამ მთებისთვის
ვიფერფლებით,
ამ მთებისთვის
ვკვდებით კიდეც.
მზეზე გამოაბრწყინებენ
კალთებს შორის
გაშლილ მდელოს,
მთები კი არ ამძიმებენ,
ამშვენებენ საქართველოს!

საღამო ზღვასთან

ზღვა და ზღვისფერი საღამო,
ზღვა და ზღვისფერი ფიქრი,
მზის ოქროსფერი დალალი
ჟელზე მეხვევა თითქმის.
ზღვა და საღამო ზღვისფერი,
მე, შენ და დიდი ფიქრი,
და თითქოს სულში გვიცერის,

და ცისფერია თითქმის.
ახლა რომ წვიმაშ მოგვისწროს,
ფიქრის მარილი გადნეს,
ამ ზღვამ იკითხოს, თორემ ჩვენ
შევეფარებით საღმე.
ზღვა და ზღვისფერი საღამო,
ზღვა და ზღვისფერი ფიქრი.



* * *

Պարունակութեան առաջին ամեյքազա
Միշել ճա հեմին
ամուսինութեան
զոնց զոյս առաջ,
անդա զոնց պահա զպոտոլոպազո
գումուլու մերե.
Կեմունան ուսց սասացոլոնո
հանճեն սակլեցի,
մոմենաթիւ պահ տամաშո
ճա համուտրոնճո
առամունու սոմալլեմդե,
մաշրամ զեր Շեշել —
առամունեցի
սաշեց քյոնճատ
պահ նոլեցիտ
ճա ուսց մլուր Շեմեցոճա
մե հեմու տազո —
գամոմեցունա.



გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

ოცნება ისევ ანათებს კელაპტარს
და მზე კალთაში უზით ჩინარებს.
გაგუებამდე რომ მომენატრა,
მისთვის მოვარდა ფერთა მდინარე.

ახლა ამ წუთის ნამდვილი ტყვე ვარ,
მზედ ირეკლება წვეთის ციმციმი,
დიდხანს ვდარაჯობ ანთებულ ტყემალს,
რომ სულში დამრჩეს თეთრი სიცილი.

* * *

თენდება, მოდის სინათლის ტალღა,
ამალლებული ცის საჩუქარი,
მამულის მზის ქვეშ დავდივარ ლალად...
შენთან შეხვედრას, დღეო, ვიჩქარი.
შენი წარსული რამ გამინელოს,
გახსოვს ცრემლებით როგორ
გალბობდნენ?
გადარჩენილო თეთრო ფრინველო,
მოფრინდი ჩემთან და მიგალობე.



დეილა გესხი

ტინათ გებნობა

ამბროსიმ ხომ ახველა და ახველა, წაიღო ყურები. მანქანის შორეული გუგუნიც ესმოდა ქალს, ესმოდა და არც ესმოდა. ოდნავ რომ მინელფებოდა გუგუნი და სადღაც, ხევში დაიკარგებოდა ხმები, დამშვიდდებოდა, დაუწყნარდებოდა ყურთასმენა. ცოტაც და... ხელახლა აქოთქოთდებოდა ძრავა: სტევნით გასხლტებოდა ქვები. გაწვალდა ქალი.

საოცარი წინათგრძნობა ჰქონდა, ერთს რომ მიანიშნებდა გული, არ შეიძლებოდა არ ამხდარიყ; სანაშენო უშობელმა ჭიშკართან მობლავდება რომ დაავითანა, გული მიგრძნობს საძებნელი გამიხდებაო, დაიჩემა და. ასრულდა კიდეც. ისე გაწვა სიბნელე ორლობეში, ისე მიჩუმდა სოფელი, საღლაც ბუჩქებში მიმალულ პირუტყვს ერთხელაც არ წამოუწევიათავი, არ შეხმიანებია პატრონს.

მერე, კრიგად რომ დაღამდა და ბინდი ჩამოწვა ხევში, იყალრა ჭრიქის ანთება, დაუყვა ჭალას. თბილი, დათენთილი ხმით გასძახოდა სერს: „დი-იდო, გიშერა! დი-ი-დო!“ თავისკენ უხმობდა. შენც არ მომიკვდე, არ დაადგა მის პოვნას საშველი. ბოლოს, მოძალებულმა ქარმა ჭრაჭი რომ ჩაუქრო, მოცვისა და კუნელის ბუჩქნარიც საშიშად ააშრიალა, ძალაგა-მოცლილმა იყადრა შინ მობრუნება.

დაღლილსა და გასავათებულს ერთი წაძინება ყველაფერს ერჩია, მაგრამ გული არ აძლევდა საშველს, დროდადრო მწარედ უკვნესდა, მოახლოებულ უბედურებას ატყობინებდა. ამიტომ იყო, შალით წელგაქრულმა, ერთხანს სამზადში იფუსფუსა, იწრიალა... მერე, ამბროსიმ რომ წამოიწყო ხელება და გაუთავებელი ხლუჭნით გულ-მუცელი ჩაინგრია, ოდას მიაშურა, კამისა და ძირტქბილასფესვებით დამზადებული წმიალი ასვა ქმარს. ბუხრის ახლო თბილ ქვეშაგებში დააწვინა, თხის ქონით დაუზილა ბანჯგველიანი ვულ-მკერდი. ცოტა შვება რომ იგრძნო ავადმყოფე და გუ-

ლისცემაც დაუამდა, თვითონაც იქვე, ქმრის ფეხებთან გაუხდელად შეწყვ...
რცხილის შეშა ტკაცუნობდა ბუხარში, ხალისობდა, ნაპერის ლიტერატურაშის
როდა...

სითბომ და სიმყუდროვეემ მოთენთა ქალი, ძალა გამოაჭირდა მომართებულ
დახუჭული თვალზილულად ხედავდა ოღმართზე ამობობლებულ მანქანას...
შარაზე, უბელო ცხენივით გატრილ კაშკაშა შუქს...

გერასიმე ჩინჩალაძის ეზოსთან გუგუნებს, გზისპირის ნალია უდგათ,
ამ დილის, მაღაზიიდან რომ ბრუნდებოლდა, შეამჩნია, მუხუდოს ბულული
ქუჩაში გადმოეტანა ქარს. ღობე-ყორეს მოსდებოლა ჩენჩი. ნამეტანად
წელმძიმე ქალია ქსენია, სამი ბიჭი დაურბის ეზოში, დაესაქმებიან ბავშვე-
ბი, ისინი ჩაზიდავდნენ თავიდ. კაცის დაბრუნებას უცდის ალბათ... ვაი,
ჩემი ბრალი! ამბროსისათვის რომ მეცადა, კარგი დახლი დამიდგებოდა.
ომიდან დაბრუნებული სამი წელი რძენაწყენ ბალლივით დადიოდა, ისე
იყო ძალაგამოცლილი. ჩემს თავზე გადაიარა ყველა საქმემ, საქალო იყო
თუ საკაცო...

ქარმა დაისისინა საკვამურში, კვამლი და ნაცარი შეაფრქვია სახეში.
...იქცევა ქვეყანა, მეოთხე დღეა უბერავს. არ იქნა და არ ჩაითქვა
სული.

მიაყურა.

ჩამოუხვიეს. ნეტავი ვისთან მიდიან?! შუკის თავში დიმიტრი ჩიხლა-
ძე ცხოვრობს, მერე ოქროპირა მელაძე და ბოლოს ჩვენ...

სახლის ასაშენებელი მასალა რომ მოაგროვეს, ძველ ფუძეზე დარჩენა
არ ისურვა ამბროსიმ. შეიძულა იქაურობა. ოთხი ძმიდან მარტო დაბრუნ-
და, ინვალიდი.

შვილების მოთქმაში ამოძრა დედამთილს სული. ბოსტნის კვალში
ჩამუხლული ჩასტიროდა მიწას. უხმოდ მიატოვეს იქაურობა. არავის გაუ-
წილებია. წყალგალმა ცხოვრობდნენ მაშინ, — სამზეურას ფერდზე, ხე-
ხილით გავსებული ეზო და რვასი ძირი ცოლიყაური დატოვეს. კოლმეუ-
რნეობამ ბალი გააშენა შიგ. ღელისპირი უფრო მოსახმარია, დაიჩემა ამ-
ბროსიმ, ღელისპირი რა შუაში იყო, ძველი, მამა-პაპური წყარო მოჩუბ-
ჩუხებდა ეზოში. ახლაც ესმის მისი ჩერიალი...

ნათლია-მირონობის გარდა ოქროპირა მელაძესთან ძველი ძმაკაცობა
და ნაომარი წლები იკავშირებდა ამბროსის. ამიტომ მიაშურა ამ კუთხეს.
სამოსახლო ადგილიც ოქროპირაშ შეურჩია. თვითონევე ჩაყრევინა ვაზი,
გაუშენა ხეხილი. გულალალი ქალი იყო ცხონებული ანეტა, „შენ შემო-
გევლეო“ — გეტყოდა, „შენი ჭირიმეო“. რაც უნდა ანთებული ყოფილი-
ყავი, დაცხრებოდი უმალ. კუკურასთვის იკლავდა თავს. ეგონა, თუ დასახ-
ლკარებული არ დავტოვე, ყისმათს ვერ ეწევა და ცხოვრებაში ფონს ვერ
გავაო. შეცდა. როგორც ქუხდა, ისე როდი წვიმდა თურმე. ხეხერა ბატ-

კანივით ბიჭი იყო კუკურა, მოუქნელი და დონდლო. საშუალო სკოლა არმ დაამთავრა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიაკითხა. იმ წელს ჟაც ჩაი მოკრიფა ანეტამ, კუკურას მიათვალა, აქაოდა, პლანტაციებზე მუშაობით თაქს იქლავსო. ჩაირიცხა. არ გასულა დიდი დრო და... ხილის მიმღებ პუნქტში დაიწყო მუშაობა, რაც ტყემალი და ვაშლი მოისხა ჩვენს მხარეში, ყველა კუკურამ ჩაიბარა. თავის დროზე უხდიდა ხალხს ფულს. პირიანი კაცია, ამბობდნენ.

ერთ დღეს არც აცივა, არც აცხელა ბიჭმა და ცოლი უნდა შევირთოო, განაცხადა რიხით. ვინ ეტყოდა უარს, შვილიშვილის ნატვრაში სული ხდებოდა ანეტას. სიკვდილის გარდა ნაადრევი ყველაფერი კარგიაო, და-ეთანხმა ოქროპირა. საცოლეს სანახვად თავაღერილ სასიძოს, ვასასიც გაცყვა თან. ჩაიცვა და დაიხურა კუკურამ, მოირთო და მოიკაზმა ვასასი. მსუბუქი მანქანა იქირავეს და ისე მიადგნენ სამოყვროს.

მელას უთქვამს; ჩემს დამჭერ ძალს ერთი შეხედვით ვიცნობო; ქალის შეცნობა როგორ გამიჭირდებაო, ფიქრობდა ვასასი. გამოეგებათ სა-დედოფლო. მთვარესავით გოგო იყო, ფერი არ აკლდა და ხორცი. სიტყვა კარგი ჰქონდა და პასუხი. ვერც მშობლებს დაუწუნებდი. სხვა რა ექნა? ხარი არ იყო, უღელში შეება და მუხლის ძალა მოესინჯა.

მაგრამ ანეტას ჩინგურიყით აწყობილი ოჯახი თანდათან რომ აირია, რაღა დასამალი იყო.

ქმრის ოჯახზე შემწყრალმა რძალშა ქალაქისაკენ იპრუნა პირი. ამას ისიც დაემატა, რომ მოულოდნელად რევიზია დაესხა კუკურას, დალუქეს საწყობი, მოიძიეს ქვითრები... საწონის ნაცვლად ჯადოსნური ხელსაწყო ედგა თურმე. ას კილოს ნაცვლად ორმოცდაათს აჩვენებდა. არა, კი უკვირდათ მეზობლებს, ქუთაისში რა ხე ედგათ ასეთი, რომ ორი ტონა ტყე-მალი მარტო სიმამრმა ჩაიბარა, ხოლო ცოლისძმებსა და ცოლისდებს ვინ მოთვლის. შეიქმნა გამოძიება, დაკითხვა (პიტნის წვეთებით აბრუნებდნენ ანეტას), რომ ელოდნენ. არიქა, დაიჭირეს კუკურა, გააციმდირესო, დატ-რიალდა ცოლისძმა, მიაფუჩეჩა საქმე, მიმაღა, მიჩქმალა, მერე ქალაქში გადაიყვანა საცხოვრებლად, მთარიდა მეზობლების ცნობისმოყვარე თვალებს. მოკლეთ, ასე იყო თუ ისე, სოფელში კუკურას „ტყემალა“ შეარქ-ვეს.

ანეტას დასაფლავებას კუკურას ცოლისძმაც ესწრებოდა, გიდელივით ეკიდა მუცელი. ცხვრის ქურქიანი ცოლი ახლდა თან, არღნის ჩიტს მიუგა-ვდა სახე. ცალკე გაუწყვეს მაგიდა. ცხვირაბზუებული იჯდა ის ქალი: მეავეს პილატი ეძალებაო, სულგუნს მარილი აკლიაო, ვეღია აუდიოდნენ საყვედურებს.

ხუთასკაციანი „სეფა“ გაშალა კუკურამ. სასახელოდ უნდა გავასვენო დედაქემიო, დაიჩემა. ვინ ეტყოდა უარს. თუ სადმე სამოყვროდ ფეხი და-

უდგა კუკურას, ყველა მოიპატიება. ქალები ველარ აუდიოდნენ თევზეშის რეცხვის, ლობიოსა და ბრინჯის გატან-გამოტანას. ზუთხი დამტკიცირულია ბაქოდან ჩამოზიდეს.

ბათუმისა და ოჩამჩირეში ნამუშევარი კაცი იყო ოქროპირა, ხიზილა-ლის მონატრება იცისო, ანეტამ იცოდა თქმა. შამის პირის გემო არასდოროს უძებნია კუკურას. სამეზობლო ლობე აანგრიეს იმ დღეს. სიგრძივ გაჭიმეს „სეფა“. ღვინით გაბრუებულმა კაცებმა ბოსტნის კვალი წაუბილწეს ვასასის. გათენებას არ უცადა. ძირ-ძირა ათხარა პრასი და წიწმატი, ქინძი და ოხრახუში. ახლად ამოწვერილი ხახვიც მიაყოლა ზედ. ბელტა-ბელტა ისროდა მიწას. ნაბოსტნარს დაამგვანა იქაურობა.

ზუილით აწვებოდა ქარი, აჭრიალებდა ანჯამებს.

ჭირისუფლად იჯდა მეზობლის ოჯახში, ხმამალლა დასტიროდა ანეტას. ვის უტოვებ შენს ნასიმწარევ ოჯახსო — ჩასძახოდა მალი-მალ.

კუკურას ცოლი არ იღებდა ხმას. დედო ბატივით დაეღო პირი და უშმოდ ფლუკუნებდა. გაფუებულ თეძრებს ძლივს ატევდა სკამზე.

ანეტას დასაფლავების შემდეგ, ლამით, თავკაცებმა ხუთი თასი მანეთი ნაღდი ფული ჩაუთვალეს კუკურას — გადასახურავი შემოვიდაო. ფულს სიაც მიაყოლეს — საერთო რვეული გაევსოთ ჩამოწიწიკებული გვარებითა და სახელებით. უხმოდ აიღო კუკურამ ფული, ერთხანს ხელში ატრიალა, მერე სხვების დასანახავად თუ თავმოსაწონად უთხრა ოქროპირას — „ეს ფული შენთან იყოს მამაჩემო“. მოუწონეს მეზობლებმა. კუთხიდან კუთხეში გახმაურდა მისი ნათქვამი. სდუმდა ოქროპირა. რა უნდა ეთქვა?! ნათქვამია, დათვი საძალლე რომ გახდაო, მისი საქმე წახდაო. ასე დაემართა მასაც.

შვილი გაისტუმრა თუ არა, უწმინდური და უსიამო რამ საგანი, ფული ხელიდან გაიშორა, ამბროსის ჩააბარა. ოცდახუთი წელი კოლმეურ-ნეობაში ბუღალტრად მუშაობდა ამბროსი, ვინ მოთვლის, რამდენ ფულს გაუვლია მის ხელში, მაგრამ მობარებულის შენახვა მაინც არ ეამა...

ქმარს მიაყურა ვასასიმ, მშვიდად სუნთქავდა. წამოდგა. ბჟეარში მინავლებული ცეცხლი შეაღვიძა. ჩინჩხლები გაყარა რცხილამ. ატეხა ტკაცა-ტკუცი.

რა დრო დადგა? წვეთ-წვეთი წყალი ქვას გახვრეტავსო, ნათქვამია. ერთს მეორემ მიბაძა, მეორეს — მესამემ და ასე... გუშინწინ ვარდენა სეფისკვერაბის დედინაცვალი დაასაფლავეს. „ვოლგის“ ფული შემოუვიდაო, იცინოდნენ მეზობლები. მთავრობა კრძალავს, მაინც არ იშლიან. რა მოუვიდა ამ ხალხს?

რაც უფრო დიდხანი დასცუროდა აგიზგიზებულ ნაკვერჩხალს, ამჩნევდა, წითელ-ყვითელი ლაქები, ყებდნენ ლიცლიცს. გაფართოვდებოდა

ჭითელი ლაქა, დაფარავდა თეთრს, ახლა თეთრი იმძლავრებდა, და



განუწყვეტლივ... სისუსტე იგრძნო.

ქარი სისინებდა ლაფაროში... შვილი გახსენდა...

საკუთრებული
შესტაციურება

თვალები მომექქა ჭიშკრისაკენ. ისე დავასაფლავეთ უბეღური აწე-
ტა, სამძიმრის დეპეშის მეტს ვერაფერს ველირსეთ მისგან. მაგის ღირსი
იყო? თვის კუჟურაში არ არჩევდა, ციმბირში რკინიგზა გავვყავსო, იწე-
რება, ხიდებს ვაშენებთო. კი, ბატონო, აშენოს, ვინ უშლის, მაგრამ... ისე
მიგვაბარებენ მიწას, შვილის კურცხალი არ ჩაგვყვებაო, — დაუჩემებია
ამბროსის, და რა ვუთხრა?

არც რძალს სცალია ჩვენთვის. დღედაღმა საავადმყოფოშია. ერ-
თი თვის წინ კოწია „ტყლიპიანი“ ჩამოვარდა ხიდან, კისერში ითქვამდა
სულს. მოვარდა ნაზიკო — კოწიას ცოლი, მიშველე, რძალთან წერილი
მიმიწერეო, მომეხმაროსო. როგორ დავამადლებდი, მივწერე, ეს კაცი
ჩვენებურია, აბა შენ იციოთქო. თან გადაყვა, თექვსმეტი წლის ბიჭვით
ამჩატებული დააბრუნა კოწია. ნაზიკოს ენას რა მოლლის. დღედაღმა
მისი სახელი აკერია პირზე, ლოცავს.

ნათქვამია, თხის პატრონს აღარც თხის კუდიო, ასეა ჩვენი საქმეც.
ამბროსი ახელებს და ახველებს, მის მორჩენას არ დააღვა საშველი.
ყოველ შეებულებას რძალი ჩვენთან ატარებს. უყვარს აქაურობა. რათ
გრძლა მერე. იმ დალოცვილ მეზობლებს, მაშინ გახსენდებათ საღ აქვთ
ღვიძლი და ტყლიპი, ფუფუ და გულბოყვი, დაღალეს ქალი. ესაა
ცხოვრება?

ახალი ცოლ-ქარი იყვნენ, დიპლომიც ახალი აღებული ჰქონდათ...
ერთ სალაშოს, შემოალო ჩემმა ბიჭმა ჭიშკარი. არა. რაცხა სხვანაირად
რომ უცინოდა სახე, კი ვიაზრეთ, მაგრამ ვერაფერს მივხვდით. რძალი
მოგიყვანეთო, შეგვაგება კარგი სამახარებლოსავით. მაღალი გოგო
მიყო, გრძელეკანება. ნამეტანი გამხდარი მეჩვენა. მივიღე, მოვაფერე. მო-
რცხვი გამოდგა. უჭმელი... უთქმელიც. ძუძუს მონაწყვეტ თიკანივით
რცხვი გამოდგა. უჭმელი... უთქმელიც. ძუძუს მონაწყვეტ თიკანივით
დამდევდა უჟან, ძროხის მოწველა ვასწავლე, ყველის ამოყვანაც. მერე
მიზეზობა დაეწყო და ჩამწარდა იქ ყოთნა. პრასის მწნილის მეტი არა-
ფერი ჩაუდევს პირში. ცხონებულმა ანეტამ ძირა-ძირა ათხარა ბოსტანში
პრასი, წითელ ბოლოკთან ერთად დაამჟავა. დალოცვილი ხელი ჰქონდა,
გემრიელი, მაღის მომცემი. მერე შვილიშვილი გამიჩნდა... თვალხატულა
ბიჭი, ენაცვალოს ბებია. პოდა, რომ ვიფიქრეთ მე და ჩემმა კაცმა, ქა-
ლაქისკენ პირს არ იზამსო, შენც არ მომიკვდე!

კალვ მინდა ვისწავლოო, წითელ დიპლომზე ჰქონდა ინსტიტუტი
დამთავრებული, რაფერ მეთქვა უარი. შვილიშვილი ჩვენ დავიტოვეთ.
მერე დაიცა ჩემმა რძალმა იგი... ოისერტაცია... კუკურაც ესწრებოდა,
ამბროსიც, ოქროპირაც. მე და ანეტამ გავუმზადეთ კეცის ხაჭაპურები,

რძიანი სულგუნები. ამბროსი და ოქროპირა ერთ წელიწადს იგულიშვილებდა ნენ იქაურ ამბები. ერთმა ჭალარა პროფესორმა მხარზე ხელი გადაწყვისა თურმე ჩემს კაცს, უთხრა: საამაყო ჭალიშვილი გყავთ ჟურნალისა— მაყო; ის პროფესორი გვერდით ეჯდა ამბროსის და უკანი ულუნწა— ულუნწა... სვამდა ჩვენს ცოლიკაურს...

ფიქრი გაუწყდა. ქმარს მოხედა. ხერინავდა.

რა უდარდელი ხალხია ეს კაცები. ერთი თუ მიდეს ბალიშზე თავი, მორჩა, არაღერს დაეძებენ, ალარც პირუტყვის დარდი აქვთ და ილარც..

მერე გუშინდელი თუ გუშინწინდელი ღამე გაახსენდა. ბოლო დროს უძრობა დასხემდა. თავისი დაუნებურად ანეტას სახე დაუდგება თვალწინ. ცოცხალი და მოძრავი კი არა, ცივი, ბაგშეკრული, დალლილივით შძინარი. მერე თანდათან ქრება მოლანდება და ეჩვენება, ანეტა კი არ მომკვდარა, არამედ თვითონ, ეს მისი სხეულია, ასე უმოძრაო და უსიცოცხლო... აპა, უკანასკნელად შემოატარეს ეზოს, ჭიშკარს გაცდნენ, შვილმა ვერ ჩამოუსწრო. ცოდვაა, შვილის თვალშეუვლებელი დედის დასაფლავება... გესმით? ცოდვაა... შეაჩერეთ!

აგრე პროცესის ამბროსიც მიყვება. მიაჩინაუნებს მტკიცან ფეხს. შეიბრალეთ ბერიკაცი... დააბრუნეთ უკან... კერიასთან დასვით, ერთი ჭიქა ღვინო შეასვით, ცოლის შესანდობარი ათქმევინეთ. მოიცა, ამბროსის გვერდით, მაღალი ბიჭი მოჩანს... იცნო, მისი ხეითო ბიჭი იყო, მისი შვილიშვილი. სტუდენტია უკვე... ბიჭს — შავკაბიანი ქალი უდგას გვერდით, ესეც რძალი, ცრემლებისაგან აფოროუებია სახე... ანლაც ტირის. ნამეტანი გულთბილი ქალია. რაფერ დასტიროდა ანეტას... მოიცა... პორძიკ-ბორძიკით, ქანავ-ქანავით რომ მოლოდავს, სულ ბოლოში, ვინა? ანეტა? არა, იმას არ ეხერხებოდა ხმამაღალი მოთქმა და ვიში... მაში? ვასასი. თავად დასტირის საკუთარ თავს? არ იცის. არაფერი არ იცის, ვერც ვერაფერს ამჩნევს, მხოლოდ გრძნობს, სამარეში ჩაშეცტულ კუბოს გულიც თან ჩაატანა. მოგონებებიც გააყოლა, ტკბილ-მწარე მოგონებები. ახლა მიწის გორჩხები თუ აცვივა კუბოს და მისი ბრახაბრუხი გონებას ურევს, ეს მოჩვენებაა მხოლოდ... საჭიროა გაინძრეს, წამოდგეს, თუნდაც კარი გამოაღოს და გვერდება ყოველივე. პო, ასე სჯობს. აივანზე გავა, მოაჭირსაც გადაეყრდნობა, ეზოს გახედავს, ცავ ჰაერს ჩაისუნთქავს, შევბას იგრძნობს, ერთხელაც არ გაიხედავს ანეტას ეზოსკენ. ეშინია, საღმე ჩრდილებში არ გაებლანდოს მისი კოპლიანი კაბა; ცალფა ჭიშკართან, დაფნის ბუჩქებს შორის, ეგებ ჭრელი თავშალი გაქროეს და... გული ვერ გაუძლებს ამდენს... მოკვდება იმ წუთს. ამიტომაც არ გაიხედავს იქეთ, არ დააყურა-

დებს მეზობლის სახლ-კარს, არც იმას შეამოწმებს, ძინავს ოქროპი-
რას, თუ ფიქრისაგან გაბურბუსალებული, ისევ ისე ჩორკნის საუკმენ-
ლერძს, სამზადის წინ...

ისტორიული
გიგანტთა ერა

* * *

წამოდგომა დააპირა.

უცებ ფხუჭუნი ჩაესმა. ბუხრის პირას კატა ჩაცუცეულიყო,
კულს არხევდა, მოვარდისფერო თათებს წამდაუწმო ილოკავდა, დაუი-
ნებით შესცემოდა პატრონს. აღამიანივით ეჭვი და გაგულისება-
ედგა ფართოდ დაჭყეტილ თვალებში. კულიანს ჰევსო, გაუელვა ვა-
სასის, ცხელ საკეცეს წავლო ხელი. „თხუ“ დაიძახა კატამ და მორ-
ნაცულა ადგილი. ახლა მეორე მხრიდან დაუსკუპდა ურცხვად. შეში-
ნავობს დაწვდია ქალი. ესროლა.

— ამ დროს იყო ზედ ჭიშკართან აგუგუნდა მანქანა. გულმა სიხარუ-
ლით გაკვესა. მანქანის უდროო გუგუნი შვილის ჩამოსვლად ეჭმანა.
მაყურა. მსუბუქი მანქანის წყნარი გუგუნი ტკბილ მელოდისავით
ჩეგმა.

— დაიგვიანა ძახილმა. აღარც ნაბიჯების ხმა ჩაწვდენია. კუკურა მო-
ვიდა, ალბათო, გაიფიქრა.

დედამისის სიცოცხლეში, ძმაკაცებით დატვირთული მოადგებოდა
ჭიშკარს. შეიქმნებოდა ქათმების კრიახი, ცომის ზელვა. დაუძახებ-
ჭიშკარს. გაღადაკითხავდა მეზობელს, საქმეში წაუკრავდა ხელს. ახლა გა-
ლად გადააკითხავდა მეზობელს, საქმეში წაუკრავდა ხელს. ახლა გა-
მოცარიელებულია მისი სახლ-კარი, ოქროპირა დაღოლავს ძლივ-ძლი-
ვობით და ხანდახან ცხელ კერძს თუ გადაუტანს, იმაზედაც ბუზღუ-
ნებს, ნუ წუხდები, არ მინდაო...

ქათმება წყალი დალია და ცას შეხედაო, გაციებული კერა
დახვდება ბიჭს, ცოდოა.

წამოდგომა გაუჭირდა. მანქანის გუგუნი თანდათან ჩასცილდა
სამეზობლო მიზნას და შორს, ჭალებისაენ აიღო გეზი. ერთი ფიქრით
გაიკერდა ვასასიმ, იქეთ სად მიდისო, მერე ბუხრის მიღწი მოსისინე
ქარს. თანდათან ძროხის ბლავილი რომ შეერთა, შექრთა, აწრიალდა.

წამით, უშობლის ქუთქუთა კისერთან გაელვებულმა პირბასრმა
დანამ გაანათა იქაურობა.

— ვაი, ჩემს თავს! — შეიცხადა ქალმა.

წამოგარდა, თავსაფრით შეითუთნა თავ-პირი. შალით გაიკრა წე-
ლი, ამბროსის საბიჯგი ჭოხი მოიმარჩვა.

კარი გამოალო, გაიხედა. როცა უკუნმა ლამემ თვალის იერი წაარ-
თვა, რატომლაც შედგა, შეჩევითდა.

მეტი მონღომებით გახედა სივრცეს. შორს, მთის კალთებზე ნა-
თურები ციმციმებდნენ. შუა ღამის ძილს მისცემოდა სოფელი. სადღაც
ძალი ყეფდა.

ცას ახედა. თანდათან შეაჩვია მზერა. ღრუბლის სქელი ნაწარულებე-
ბი დასავლეთისაკენ მიქონდა ქარს. აქა-იქ ნათელი მოძალებოდა ცას.

მეტი რაღა უნდოდა. ორმოცი წელია ყოველდღე დაბობდას ამ
გზაზე. ჭალა და ვენახი, საკაფი და სათიბი, ყველა ხე იცის, ყველა
ბუჩქი. ბრძანასავით უსინათლო და უხილველი იპოვნის ძროხის აღ-
გილსამყოფელს, ოღონდ ერთხელ კიდევ ჩაწვდეს ბლავილი. „დიიღ
გიშერა“ ეტყვის და მორჩა, დამყოლ ბალივით თვინიერი გახდება
პირუტყვი.

რიკულებიანი აივანი ფეხაკრეფით გაიარა. კიბეს ჩაჰყა, ჭრაჭის
წამოლება არც უფიქრია, ქარი დამიქრობსო.

* * *

ნაბიჯს აუჩქარა, ჭერ ღელის პირს გაჰყა, მერე ეკალ-ბარდებში
გამტვრა, ცოტაც და... ოფლისა და შარდის უსიამო სუნმა შეულიტინა
ნესტოებში.

ნაღვლიანი და გასაცოდავებული ეჩვენა პირუტყვი.

— დიდო, გიშერა.

არ იძვროდა.

— რა მოვივიდა, შე საცოდავო, ფეხი იღრძვე?

ნეშოში ჩაერგო თავი. ზურგი აჩვენა პატრონს. ხელი მოუფოთია-
ლა ვასასიმ ჭერ ფერდზე, მერე ზურგზე და ბოლოს კისერზე. სველი,
ოფლიანი სხეული უძიგნივებდა. ყოველი ნაკვთი უკრთოდა. შუბლსა
და რქებზე ჩაყოლა თითები...

შეკრთა ქალი. გამხმარ ფოთლებში ხბო სხმარტალებდა. უძალო
ფეხებს ებჯინებოდა, დგებოდა, წვალობდა, იქცეოდა.

— მოუგია! — ლოყაზე ხელი იტკიცა ქალმა, — ასე უპატრონოდ,
მარტოდ-მარტო...

პირუტყვის ოხშივარადენილ სხეულს მიეკრა ქალი.

— მუუ... — მოხედა ძროხამ.

უნდა წავიყვანო, სითბო ჭირდება. სად არ ვეძებე... ჭალის პირი,
გაღმა სერი, შემოვატყავე ყველაფერი, ღელისპირი არც მიფიქრია.
სახლისკენ წამოსულა. ვეღარ მოაღწიო ალბათ. გაგიჭირდა? ხბოს გა-
დაეფარა ვასასი, ქარს მოარიდა, შალი მოიძრო წელზე ასე შემოახვია.
სველი და სლიბიანი იყო ახალშობილის სხეული, ხელ კარგ ასხლტე-
ბოდა, ფეხზე წამოდგომა გაუჭირდა.

— რა ვქნა? ვინაა ჩემი მშველელი. ხელახლა ეცა ხბოს. გორც იქნა წამოსწია, ფეხზეც გაიმართა, მაგრამ ნაბიჯის გადატევის/ ურუკულუა გაუჭირდა.

ხელიდან უსხლტებოდა, უსრიალებდა ცხოველის ჟულუსტების/ სხეული.

გოღორს მოვიტან, გადაწყვიტა ბოლოს. შალში გაფუთნა ხბო, ნე- შო და მშრალი ფიჩი გადაქექა.

— ახლავე მოვალ! — დაუბარა.

— მუუ... — უპასუხა პირუტყვმა.

ერთხანს ლელე-ლელე იარა, მერე მოკლედ მოვჭრიო და ჭალის- კენ გადაინაცვლა. ჭალას საურმე გზა გასდევდა. რაც ძალა და ონე- ჟენდა გარბოდა. ცივი ჭარი უბეში უძვრებოდა, კაბის კალთას უფრიალებდა.

აღმართში ნავალ ცხენივით გაქაფული მიიწევდა. სოფელს რომ მიაღწია და თავი სამშვიდობოს დაიგულა... წამით შედგა. თვალს არ დაუჭრა, მხარი ხომ არ მეცვალაო, გაიფიქრა. თხმელის ბუჩქებთან და მანქანა იდგა. გაოცდა. მანქანაში სინათლე ხან აინთებოდა, ხანაც ჩაქრებოდა. „ვინ არიან?“ მიახლოებას, ძეგვნარში გადასვლა ამჭობინა, ტოტები გადასწია და გაჭვრიტა.

მანქანაში სამი ბიჭი იქდა. შუქი წამდაუწემ ქრებოდა. აინთებოდა, ოღნავად გმოთაჩენდა მათ სახეებს, ჩაცმულობას. მაშინვე ჩაქრებოდა.

ერთიანად აკანკალებულ, აძიგიგებულ ქალს ვერ გადაწყვიტა, გადაედგა ნაბიჯი, სააშეარაოზეც გამოეყვანა საკუთარი თავი, თუ გა- ნეგრძო თვალთვალი.

ასანთს გაპკრეს. სუსტმა ალმა ვაჟის სახე გაანათა. ხეირიანად ვერც მოასწორ მიის დანახვა, რომ რატომლაც ეცნო უცნობის თავდა- ხრილი ჭდომა, არც გრძელებული ქუდის დანახვა გახარებია დიდათ. კეხიანი ცხვირი და გადაბმული წარბებიც ნაცნობი ეჩვენა.

• შებარბაცდა. ფიჩი ჩაემსხვრა ფეხქვეშ. უცებ მანქანის კარი გაიღო და გადმოვიდნენ. ხმები მოქონდა ქარს.

— გამომართვი.

— რომელია?

— თექვსმეტკალიბრიანი.

ხრინწიანი, უხეში ხმა ჰქონდათ.

— ძალაყინი არ დაგავიწყდეთ.

მიიმაღწენ.

გაოგნებელი ქალი ვერ გარკვეულიყო, ვინ იყვნენ, ან სად მიდიო- რდნენ. ბნელ ღამეში, უცხო ადამიანებს თუ აჩრდილებს შორის ახე-

ტებულ ქალს უნებლიერ შიში თავბრუს ახვევდა, ძალას  გრძნობდა, ამბროსი რომ ამბროსი იყო, ცხრა თოჯში გამოჟურირული კაცი, იმასაც კი აუთოროლდებოდა გული, თორემ ვასასის? პირუ უაფარდა, უძალო ქალს?.. ეგებ საღმე სიბნელეში არიან ჩასაფრებული და უდროო დროს ახეტებულ ბერიქალს ძალაყინი ხეთქონ თავში... გვერდზე გახედვა გაუძნელდა.

მწარეა სიცოცხლე. სამი დღის სიცოცხლისათვის მეფემ ლეკვის ხორცი ჭამაო, ნათქვამია.

რა გემართება ვასასი? სად მეფე და სად?..

იჩქარე! როგორმე ჭიშკარამდე მიაღწიე და მერე ქმარს მიაწვდენ ხმას!.. მაგრამ, მე შენ გეტყვი აწონ-დაწონის, ფხიზელი თვალით გასჭკრეტს ყოველივეს... შენც არ მომიკვდე, დენთივით იფეთქებს. დაწოლის წინ თხის ქონით დაუზილა გულ-მკერდი... რას გაუძლებს ამ სუსს... იმ წუთში მოკვდება. მერე რა სიცივეა ამ დასაწვავში, ათი წლის გაცილებულ ცოლ-ქმარს შეარიგებს ასეთი ღამე.

არსად ჩამიჩუმი არ ისმოდა.

წუთით ინანა, უტკივარი სატკივრად რად გავიხადეო; მივსწოლოდი ქმარს საფერხელში და როგორმე გამეჩიჩებინა ეს გრძელი ღამე, ძროხა თუ ვერ მოაგნებდა ჭიშკარს, ჭირსაც წაულია, ჩემი გადასაყოლია ყველაფერი...

ცხელის შეშინებული, ცივსაც უბერავდაო, გაითიქრა ბოლოს, აგრე ჭიშკარი, მოესულვარ და ეგააო. ეზოში ჩასვლა ვერ გაბედა. ლობეს ეკრა და გაჭვრიტა. ჯერ თავის სახლ-კარი შეათვალიერა, მერე ოქროპირას ოდისკენ გააპარა მზერა. სუნთქვა შეეკრა.

ელეგტროფარნის გრძელი შუქი აღმა-დაღმა დაჰყვებოდა კედელს. ხან გაერთხმებოდა, ხან... ქურდები!

ოქროპირას პალატაში ძინავს, მაინც არ არის დალაგებული ჭიუაზე, გადარევენ ბერიყაცს, რა ვენა?

ჩრდილ-ჩრდილ გასდია ლობეს. მთვარეულივით გაუჩინარდა კარში. მშვიდი ძილით ძინავდა ამბროსის.

„სხვისი ფული.“ გაუელვა წამით.

კარადის ქვედა უჭრა გამოაღო. კანაფვასკვნილი დასტა უბეში იტაცა. „სად დავმალო?“ მიიხედ-მოიხედა, ჯერ საწოლის ქვეშ შეიხედა, მერე კედელზე, დედამთილის სურათს დაატანა მზერა. „რა ვენა დედა ბატონო?“ — შეთხოვა უფროსს. მოხუცის ცივი, ფიქრიანი თვალები რაღაცას საყვედურობდნენ.

უხმოდ გამოვარდა გარეთ. ტვინარეულსა და გრძნობააშლილს არაფრის გარჩევის თავი არ ჰქონდა.

სამზადის მძაშურა.

ჩამერალი ცეცხლის მოტკბო სუნი იდგა. ერთი სული ჰქონდა, შანამ დამტიმებულ უბეს გაინთვისუფლებდა.

საპირის კუთხეში ჩარიღელების გროვა ეყარა. საიმედო ეჩვენა, დაიკუზა, კრუხივით გადაქექა, წუნწუხით ატლიზნილ მიწაზე მისამართის შევრა დადო. ზედ ფუჩეჩი და ჩარიღელები მიაყარა. როცა წამოწია და წელში გაიმართა, რატომდაც თავი გაიმართლა: მობარებული მგელმა შეინახაო.

იქვე ჩამოჭდა. ერთხანს უბრად იყო, არც არაფერზე ფიქრობდა და არც არავინ ახსოვდა. ოდნავ რომ ჩაითქვა სული, მომეჩვენაო, გაიფიქრა. ქარმა გამაბრუა უძინარი და რა არ წარმოვიდგინეო.

ცეცხლი შეალვიძა, გალიგებული თითები შეითბო.

„ხუთი ათასი შემოვიდა“. ვინ თქვა ეს? ჰო... იოსება მასშავლებელმა. აგერ იმ კუთხეში იჯდა. სიას ოვითონ წერდა. დიმიტრია ჩიხლაძე ფულს იბარებდა. ჩემოდანში ინახვდნენ. ათ მანეთზე ნაკლები არავის გადაუხურავსო, ასე თქვა იოსებამ. მერე ის ფული დაოვლილი და ქალალში გახვეული კუკურას ჩააბარეს. კუკურამ მამამისს...

ვინ იყო ამ დროს იქ? რა ახსოვს. მოიცა რძალი იჯდა კერიის ჭლო, გვერდით ბიჭი ატუზოდა, მისი ბიჭი. ბეჭვის ქუდი ეხურა. ვაი შვილო! ეგებ დამღუპა ვინმეგ. წელს ჩირიცხა ინსტიტუტში. ახალი ამხანაგები გაიჩინა. ალალმართალ ბიჭებს ეძებენ უნამუსოები... დედა-მისი დღე და ლამ საავადმყოფოშია, მამამისს არასოდეს ცალია... ვაი-მე შვილო!..

* * *

ერთხანს უაზროდ შესჩერებოდა მიხურულ კარს, მერე საპირის კუთხეში დახვავებულ ჩარიღელებს მოხედა და...

— ოქროპირა მმაო! შენ მოგიკვდა ჩემი თავი!


სამეზობლო ცალფა ჭიშარს მიასკდა. ლობეს ლანდივით აეკრა, უკანა მხრიდან მოუარა. მოხურულში ანეტას ჭრელი უშობელი იცოხილა. ირველივ სიმშვიდე იყო.

ფანჯარაში მკრთალი სინათლე გამოდიოდა.

ოდნავ გვერდზე გახრილიყო ფარდა. გაჭვრიტა. ქარისაგან გაფიცხებულ თვალის უპეებში ცრემლის გუბე ედგა. სახელოთი ამოიწმინდა... მამავაცის საცვლები იატაქზე ეყარა. სარკე, წვერის გასაპარსად რომ ხმარობდა ოქროპირა, მაგიდის ფეხებთან დამსხვრეული ეგდო.


ოთახში სინათლე ხან აინთებოდა, ხანაც ჩაქრებოდა. კედელთან საწოლზე, ოქროპირა იწვა.

ოთახში უცნობები მიმოდიოდნენ. ერთი გრძელი, აწოწილი ბიჭი

ოქროპირას ადგა თავზე, ფარანს ანათებდა, მეორე, უფრო  თავგირკა, კარადაში იქექებოდა, მესამე არ ჩანდა.

„გარეთ დარაჯობს“ — გაუელვა ვასასი.

უძრავი ცალი

მხრებში ოდნავ მოხრილმა გრძელმა და აწოწილმა  ჰიქეშა საცლე-
ბის გროვას ფეხი წაკრა, დაიხარა, ოქროპირას მკლავზე მოქახა და
ჩაგდლული ხმით ჰეითხა:

— სად შეინახე? — ნაცრისფერი კეპკა თვალებში ჩამოფატოდა
უცნობს, სახე ვერ დაუნახა.

ოქროპირა სდუმდა.

— ჩაარტყი, მაგის... — შეიგინა მეორემ.

უცებ კარი გაიღო. ბეჭვის ქუდიანმა თავი შემოყო.

— იჩქარეთ! — წაისისინა.

თვალებად იქცა ვასასი. არა! მის შვილიშვილთან არაფერი ჰქონდა
საერთო, უცხო და გარეშე იყო... მაგრამ კედლიდან გამოჭრილმა
უხეშმა ხმებმა, თითქოს მიაჩუმა, გადაფარა ყველა სიხარული.

— თქვი! — რევოლვერის ტარი კისერში ჩაარტყეს ოქროპირას.

— წადი თქვენი!..

— იგინება, მე ამის... — გაცოფდნენ.

„მოკლავენ“ — დაიზაფრა ქალი.

როგორც ტყის ხანდარი გადადის ტოტიდან ტოტზე, ხიდან ხეზე,
სულ უფრო მწვავედ, მძვინვარედ ედება ყველაფერს, ასე თანდათან,
ერთმანეთის მიყოლებით ქალის სხეულს მოედო მოუთმენლობისა და
თავშეუკავებლობის ტალღა. ერთიც ამოიხრიალა და... მოქნეული მუჭი
ფანგარას თხლიშა. მინა გატყდა. მკლავი გაეჭრა.

იღროვა ქარმა, ეცა ფანგარას, აირია ყველაფერი, იატაჭზე გაწვა
შუქი.

ნელ-ნელა დაიხია უკან. ერთბაშად გადაევლო ღობეს. როცა სამ-
შვიდობოს დაიგულა თავი, მთელი ხმით იყვირა:

— მიშველეთ! — მოუმატა ხმას — მი-შვე-ლეთ!

გარბოლა.

ქალის შემზარავი ხმა ერთბაშად მოედო სოფელს, გახმაურდა...

აყელდა ძალლები, აჭრიალდა კარები, გახშირდა სტვენა, ხმაურა...

— მოვდივარ!.. მოვდივარ!.. — იცნო დიმიტრია ჩიხლაძის ხმა.

* * *

— მუუ... — შეზმულვა ძროხამ.

— „გიშერა“... — ჩაიჩურჩულა, ჩაიკეცა და ახალშობილის თბილი
უსუსური სხეული მკერდში ჩაიკრა.

„ჭოროხი“ გზას ულოცავს

გოჩა ჩიტიძემ შლეულს უაღო ქუთაისის კლ. ფულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედა-გოგიური ინსტიტუტის პარები. იგი თავისმეტი წლისაა.

ლექსებს გავავობილანდე ჭირს.

გაატვრულ-ლიტერატურულ ორგანიზი იგიც-დება პირველად.



გოჩა ჩიტიძე

ს ა ნ ა მ ?

სანამ? — ვეკითხები ჩემს თავს,

სანამ? — გაპკივიან ხმები;

სანამ? — ყიყლდება სისხლი,

ყალყაზე დადგებიან თმები.

სანამ? — ვეკითხები ჩემს თავს,

ჩუმად! — შემომიტევს იგიც,

ხშირად მებადება ღამით

ჩემთვის უჩვეულო ფიქრი:

— გზაა ეკლიანი, ვიწრო,

თავი მომაბეზრე ისევ,

ჯერ რა გაგივლია ბიჭო,

გზა წინ გასათელი გიდევს.

კიდევ? რალას იტყვი კიდევ?

კვლავაც გამამხნევე ფიქრო,

ვიცი, მოკვდავი ვარ, მაგრამ

მითხარ უკვდავი ვარ ვითომ.

სანამ? — არ შორდება ფიქრებს,

თვალს არ ეკარება რული...

სანამ?

მანამ იძგერს მკერდქვეშ

ოხრადლასარჩენი გული.





„ჭოროქი“ გზას ულოცვეს

ინდურული
გიგანტები

თემურ ახალგამიშ ჭლულს ჯარჩენებით და-
ამთავრა ჟურნალს ალ. ფულუკიძის სახელმგბის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

ზერს ლექსებს, მოთხრობებს,
მისი ლიპსი პირველად გამოიდის სამზოობები.

თემურ ახალგამიში

* * *

ღლეს ქარქაშიდან გამოიხსნეს
ძველი ხანგალი
მუზეუმში გადასატანად,
ჩაჰყვითლებოდა კბილებივით უხმარი პირი
და მეჩვენება, როგორც ლომი გისოსებს იქით,
ხანგალი თავის სიჭაბუკეს
უანგისფრად ტირის...

* * *

როცა წევხარ და
სიგარეტის ფთილის ფერია ირგვლივ ყოველი
საგულდაგულოდ გამოგმანულ შუქნაკლ ოთახში,
როცა არა ჭახს, —
„სოინარის“ დუდუკებს უსმენ მაგნიტოფონით,
რატომ გვინია,
რომ შენს ოთახს აღარ აქვს ზღუდე,
რომ კედლები სადღაც დაინთქენ,
რომ შენ მიფრინავ სადღაც უკან,
ოღონდ არა ძირს, —
სულ მაღლა, მაღლა?!

გივი მავისაშვილი

ცხვრა გბაძებაზდეს, ნები!

ვაჟა ფშაველამ ასე მიმართა ქუთაისსა
და იმერეთს:
ლარ-ხმალო საქართველოსავ,
სხვაცა უბაძავდეს, ნებაო!

გადახედე საუკუნეებს და გასაგები გახდება გენიალური პოეტის
სიტყვები, გადაშალე ისტორის გაცრეცილი ფურცლები, მოინახულე
კიდლებდაქებილული და ხავსით დატოტვილი ბაგრატის ტაძარი, მიუხედა-
ვად უამთასელისა, კვლავ ძალუმად რომ სუნთქვას ღიღების გარდასულ
დღეთა ფილტვებით; ყური მიუგდე ფასის მთის ფირალს — მდინარე რი-
ონს, სიპი ლოდების ვიწროებში რომ მოყელყელობს და ტალღების ფო-
ცხით ცინცხლავს თავის ნაპირებს, — და შენს წინაშე მთელი სიცხადით
წარმოსდგება იმერეთის ლეჩაქშეურცხვენელი, ლამაზი, მამულისათვის
თავდადებულ ქართველ გმირთა მკერდიდან მოხეთქილ სისხლში განბანი-
ლი ქუთაისი.

ქუთაისი თავის ნახმლევ გულმკერდზე წარსულის მრავლისმომცველ
მოვლენებს იტევს: მის ქვითკირით შედუღაბებულ გალავნებში, ციხეთა-
შორის ბილიკებზე დინჯად დადიოდა მეფე ბაგრატ მესამე, — შვილი
ქართველთა მეფე გურგენის, შვილობილი ტაო-კლარჯეთის მფლობელის
დაით კურაპალატისა, ქვეყნის ბედის გამო მუდამ ხმალამოწვდილი, ალ-
ბათ, თავისი ტაძარ-ციხის კედლებიდან გადასცემიდა ქაფებული რიო-
ნის ტალღებს. გიუ მდინარე მარადიული ძალისა და ენერგიის სიმბოლოდ
ექნებოდა დასახული საქვეყნო საქმეებით გულანთებულ მამულიშვილს.

აქ, ბაგრატიონთა ნაშიერნი, მეფეები — გიორგი პირველი, ბაგრატ
შეოთხე, გორგი მეორე ბრძნული გონებით უძლვებოდნენ სახელმწიფო

დარბაზს — საქართველოს სამეფოს უმაღლეს სათათბიროს დამტკიცებულ ქართველ ხალხთან ერთად მედვარი შრომითა და ორლესული მასწავლით ჰედინენ ქვეყნის მომავალს. აქ, ქართველი ერის სიამაყე, ჟიგურდებულის და ლირსება მეფე დავით მეოთხე, აღმაშენებლად წიდებული, აწყობდა გეგმებს საქართველოს დიდი ბურჯის — თბილისის განსათავისუფლებლად, თბილისის არაბთა საამიროს დასაცემად, თურქ-სელჩუკების ბატონობისაგან ქართველი ხალხის დასახსნელად, სახავდა სახელმწიფოს ერთოანობისა და სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის სტრატეგიას.

და მეფე თამარი...

ქართველი ხალხის სიბრძნისა და სათნოების განსახიერება. განა გულგრილად აუვლიდა ვინმე გვერდს ქართველ მეფეთა ტრადიციულ სამკვიდრებელს, ბაგრატიონთა საცხოვრისს? ქუთაისი ადრე ხომ სამეფოს საჭურჭლეც იყო, ხელოსნური ქალაქი, გარეშე ქვეყნებთან სავაჭრო თუ ეკონომიკური ურთიერთობის ციტადელი — ხელოსნებით, ამწერებით, აბჯარისახმულ სპათა მიერ ახმაურებული ქუჩებით, დიდგვაროვანთა ქარვასლებით, სრასასახლეებით, გლეხეკაცთა ჩუქურთმიანი ოდებით.

და განა გვერდს აუვლიდა ქუთაისს სამეფო კარის მეურიშლეთუხუცესი, გამგებელი სამეფო ხაზინისა, შოთა რუსთაველი?

ვინ იცის, რამდენჯერ გაუხარნია აქ ქართული გენის ალამდარს, სიტყვის მადლი და ძალა ზენიტზე რომ აიყვანა! დიდი შოთა მოინახულებდა, აღბათ, ქუთაისის შემოგარენს — სათაფლიას, თამარ მეფის საშემოდგომო რეზიდენციას — გეგუთის ციხეს, მიაშურებდა ცოდნის დიდებულ ნავსაყუდარს — გელათის აკადემიას...

ერთმანეთის მიჭრით გაფრინდნენ წლები. საუკუნოვანი სისხლის წვიმებით დაღარულ ჩვენს მიწა-წყალზე მოიშალა მონლოლ-ხვარაზმელთა, თურქ-სპარსთა თუ სხვა ჭურის დამპყრობთა ლაშქრების ნატერფალები. სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას მტლედ დაედო ქართველი ვაჟკაცების სიცოცხლე. დავით აღმაშენებლის, დემეტრე პირველისა და გიორგი შესამის გვერდით გელათის მიწამ მიიბარა ლაშა-გიორგის, ვახტანგ მეოთხისა და სხვა მეფეთა ძვლები.

ინებ თამარიც...

ქართველი ხალხი, რომელმაც ააგო მცხეთის ჭარი და სევტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი და ვარძია, გამოკვეთა სამთავისის და ნიკორწმინდის ჩუქურთმები, გამოჭედა ანჩისხატი, შექმნა ყინწვისის ანგელოზი. და... „ვენებისტყაოსანი“, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს თავისი ისტორიულ განვითარების გზაზე.

გულსავსე, კალთაბარაქიანი, ხელგაშლილი და სიყვარულით გამზარდი ხვდებოდა ეს უძველესი ქალაქი სტუმარს. განიერდებოდნენ ქუჩე-

ში, ურიალებდნენ ჭაღრები და ცაცხვები, ტანს ისწორებდნენ ამაყი ნაძვები და ალვის ხეები, ფართო გზაზე გამოდიოდნენ სტუმრის შესახვედრად / ქუჩები, მისი შესახვევები, ჩიხები, თავს შეიყრიდნენ მოედნებზე ფარული ლისფანცქალით ელოდნენ, რომელ მათგანს გაულიმებდა ბედა ~~შემდეგ~~ საღლიადებდნენ ბინას ილია და აკაკი, ლესია უკრაინკა და მაქსიმ გორგი, ვლა-ლიმერ მაიაკოვსკი და ანა ანტონოვსკაია...

ქუჩები, ეს დაულალავი მასპინძლები, თუ დღემდე სათუთად ინახავენ ჩვენი ეროვნული კულტურის მოამაგეთა სახელებს, ასევე პატივითა და სიყვარულით მოიხსენიებენ სამოყვროდ მოსულ ყველა სტუმარს. ვისაც ქუთაისში ფეხი შემოუდგამს, ერთი ქუთაისური ღამე გაუტეხია, რიონის დუდუნი სმენია, მერცხლებივით აჭიჭივებულ ალიონს შეგებებია, — გან-შორების შემდეგ ტკბილ მოგონებად თან გაჰყოლია სავარდო და სამაისო ქუთაისის ოვალწარმტაცი ბუნება, ეროვნული კოლორიტი.

როგორ შეიძლება დაგავიწყდეს სათაფლის მშვენიერება, უამთა სი-ავის უტყვე მოწამე ბაგრატის ტაძარი, უქიმერიონი, ოქროს ნაჩარდახალი, რიონის სანაბირო და ქალაქის ცენტრალური ბალი, ოდესლიც „ბულვარ-დაღ“ წოდებული, ხან იმერული ენამახვილობით „გულვარდაღ“ მონათ-ლული, რომელიც დასვენების და გართობის ადგილი კი არ იყო, არამედ შე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან, ბალის გაშენების დღიდან პროგრესულ შეხედულებათა, რევოლუციურ იდეათა გავრცელების ერთ-ერთი მთავა-რი ასპარეზი ხდებოდა.

ქუთაისის მარადმწვანე წალკოტის პანორამა წარუშლელ შთაბეჭდი-ლებას ტოვებდა რუს და უცხოელ მოგზაურებზე.

გაზაფხულზე იასამნებითა და ვარდებით გადაფიცქულ ბულვარში შეინიშნებოდა ხალხმრავლობა. იყო ახალგაზრდობა, მათ შორის ორდა-ლეგებზე ჩამოსული სტუდენტობა, რომელთაც ხალხში ცარიზმის საწი-ნალმდევრ მღელვარე საპროტესტო მოწოდებები შემოჰქმდათ.

რესეტის პირველი რევოლუციის წინ, 1903 წლის 1 მაისს, ამიერკავ-კასიის პროლეტარიატის საყვაელთაო გაფიცვისადმი სოლიდარობის ნიშ-ნად ქუთაისის ბულვარში გაიმართა პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელ-მაც შეშის ზარი დასცა მთელი გუბერნიის გაბატონებული კლასების წა-რმომადგენლებს, ცარიზმის დამქაშებს.

ქუთაისის ქუჩებს კარგად ახსოვს მთავრობის საწინააღმდევო დემონ-სტრაცია 1905 წლის 14 ოქტომბერს, პოლიციის თავდასხმა და უდანაშა-ულო ადამიანთა სისხლისლვრა; ახსოვს 19-20 ოქტომბერს ბულვარში მოწ-ყობილი გრანდიოზული მიტინგი, რომელზეც ქუთათურებმა იმხილეს სა-შელველი მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტის ნამდვილი არსი და ხალხის შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

ქუთაისის ქუჩებს ახსოვთ ბარიკადებზე მდგომი სახელოვნი მუსიკის
შესხიშვილი და ჭაბუკი მაიაკოვსკის ნიჭის აფეთქება, ახსოვთ გერმანიის
ოდნავ მოხრილი, ტანმაღალი კაცის, თავისუფლების მოტრფიროვანებულ
გორების სტუმრობა, უკრაინელი ხალხის საამაყო შვილი ლესია უკრაინება;
ქუთაისის ქუჩებს ახსოვთ აკაკის დინგი ნაბიჯების ხმა, გალაკტიონის ლე-
ქსის უღერა, ფალიაშვილის პირველი მელოდიები... სიხარულით უშლიდ-
ნენ კალთას დიდებულ მამულიშვილებს ქუთაისის ქუჩები, მაშინ ვიწრო
და ტალახიანი, მაგრამ კეთილი, ვითარცა მასპინძლები.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მოვიდა ახალი ადამიანი, მოჰყვა.
თავისუფალი ცხოვრება, მოულელმა მარჯვენამ იწყო შენება, სახე უ-
ცალა ქუთაისმა. გაფართოვდნენ და მხრები გაშალეს ქუჩებმა, ჩიხებმა
და შესახვევებმა, სადაც ცხოვრობდნენ აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, მაიაკოვსკი,
ლესია უკრაინება, გორები, გალაკტიონი, ფალიაშვილი... სიმწეანესა და სი-
ლამაზეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რუსთაველისა და ფალიაშვილის,
კიროვისა და თბილისის, მახარაძისა და წულუკიძის ქუჩები.

დღითიდლე ლამაზება და მშვენიერდება ქუთაისი.

დროის აჩქარებულ ფერხულშია ჩაბმული ჩვენი მშობლიური ქალაქი.
გახედე ახალმშენებლობათა ხარახოების ტყეს. ცადაწვდენილ ქარხნის მი-
ლებს, საცხოვრებელ კვარტალებს, ირმის რქებით დატოტვილ, მოკირ-
წყლულ ქუჩებს, მოედნებს, გაზონებსა და სკერებს, თვალი შეავლე ქუ-
თათური მარკის პროდუქციას — ავტომანქანებს, წყალსატუმბებს, მცი-
რებადარიტიან ტრაქტორებს, კონსერვებს, აბრეშუმის, ბაბბისა და შალე-
ულის ნაწარმს, ლითოფონს, ბროლს... და თქვენს წინაშე წარმოისახება
ახალი ცხოვრებით გაბრწყინებული, განახლებული ქუთაისი, ქალაქი, რო-
მლის საავტომობილო გიგანტის მარტო ერთი საამქრო ორჯერ მეტ პრო-
დუქციას იძლევა, ვიდრე მთელი ქუთაისის მრეწველობა იძლეოდა 1913-
წელს: 140 სახის პროდუქციას მიკუთვნებული აქვს ხარისხის სახელმწი-
ფო ნიშანი.

ვის არ ხიბლავს სავარდო და სამაისო ქალაქი! განა ოდესმე დაავი-
წყდება მრვალ უცხოელ სტუმარს, თუნდაც ინგლისელ მწერალ ჭეიმს
ოლდრიჯს, აგსტრიელ პოეტ პუგო პუბერტს, მიუნხენის უნივერსიტეტის
პროფესორს ქართველოლოგ იულოს ოსფალგს, იენის უნივერსიტეტის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ პერტრუდა პეჩს,
პოლონელ მხატვარ ტერეზა იაკუბოვს, უნგრელ უურნალისტ დიერლ
ჩაბოს და სხეებს ყოველივე ის, რაც განახლებული ქუთაისის ხილვათ
განიცადეს?

ყველგან, ქალაქის ყველა კუთხეში იგრძნობა უამთასვლის სასიჭირო
ფერისცვალება. დიდი ოქტომბრის შუქით გალალებული ქუთაისის თანა-
მედროვე ცხოვრების ყველა სფეროში ახალ-ახალი წირმატებები იმდროშიც
გა მომავალ, 1979 წელს, ახალი კინოთეატრი „საქართველო“, პირველი შედეგების
სავადყოფო, 1.300-მეტრიანი ხიდი, პროეტექნიკური სასწავლებელი,
საცურაო აუზი, სკოლები და ბევრი რამ სხვა ახალი ფურცლებით ამკო-
ბენ განახლებული ქუთაისის მატიანეს, შარავანდედით იმოსება მისი ხვა-
ლინდელი დღე.



პეგა ვაჟაბიძე

როტაციონის მანქანა ბრუნავს

ჭუთაისში ჭიგნის ბეჭდვას ხან-

გრძლივი და საინტერესო ისტო-
რია აქვს. იგი სათავეს იღებს XIX
საუკუნის დასაწყისიდან, როდე-
საც იმერეთის უკანასკნელი მე-
ფის სოლომონ მეორის მზრუნვე-
ლობით აქ სტამბა დაარსდა
(1800). ჭუთაისში პირველი სტამ-
ბა გამართა და პირველი წიგნი
დაბეჭდა (1801, „დავითნი“) გიო-
რგი პაიჭაძემ, შემდევ კი ამ საქ-
მეს სათავეში ჩაუდგა ცნობილი
მესტამბე რომანოზ რაზმაძე-ზუ-
ბაშვილი.

ჭუთაისის პირველმა სტამბამ
სულ ათი წელი იარსება (1800-
1810). ამ ხნის განმავლობაში ის
ერთადერთი სტამბა იყო საქართ-
ველოში.

თავდაპირველად წიგნის ბეჭდ-
ვას სამეფო კარი მფურველობდა
და იგი სახელმწიფოებრივი მნიშ-

ვნელობის საქმეს წარმოადგენდა.
იმერეთის სამეფოს გაუქმებისა
და რუსული მმართველობის დამ-
ყარების შემდეგ, ნახევარი საუკ-
უნის მანძილზე, ჭუთაისში არა-
ფერი დაბეჭდილა. XIX საუკუნის
60-იან წლებში ჭუთაისში წიგნის
ბეჭდვა განახლდა, მაგრამ მას უკ-
ვე კერძო ან საქველმოქმედო ხა-
სიათი ჰქონდა. რუსეთის ცარიშმი
და ადგილობრივი ხელისუფლება
ნაკლებ დაინტერესებას იჩენდნენ
წიგნის, განსაკუთრებით ქართული
წიგნის, ბეჭდვისა და გავრცელე-
ბისაღმი. პირიქით, ისინი ყოვე-
ლმხრივ აფერხებდნენ სასტამბო
საქმის განვითარებას და წიგნის
ბეჭდვის გაფართოებას. პროგრე-
სული, დემოკრატიული შინაარ-
სის წიგნს მშრომელობა ფართო
მასებამდე გზას უდინდებია სასტი-
კი ცენზურა.

მიუხედავად ამისა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მაინც ახერხებდა წიგნის ბეჭდვა მოეგვა- აებდია და იგი ეროვნულ-გამათვი- სუფლებელი მოძრაობის სამსახუ- რაში ჩაეყენებია. XIX საუკუნის 60-80-იან წლებში ქუთაისში რამ- დენიმე საყურადღებო წიგნი და- იბეჭდა, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თეო- მერაზ მეორის „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბასება“ (1870). ეს იყო „აღორძინების ხა- ნის“ ქართული ლიტერატურის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის პირველი, თუმცა არასრული, პუბლიკაცია. ამავე პერიოდში დაიბეჭდა „ვიფ- ხისტორიანი“ (1883), არჩილ მე- ორის „გაბასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (1888) და სხვ.

1892 წელს კირილე ბეჟანის ძე ლორთქითანიძის ინიციატივით ქუთაისში ჩამოყალიბდა „ქართუ- ლი წიგნის გამომცემელთა ახა- ნაგობა“, რომელმაც მნიშვნელო- ვანი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში (არსებო- ბდა 1914 წლამდე). „ამხანაგობა“ 1893-1903 წლებში გამოსცა გო- რგი წერთლის თხზულებათა სამ- ტომეული, რომლითაც XIX საუ- კუნის ქართული ლიტერატურის ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი პირველი წარსდგა მკითხველის წინაშე ასეთი. შედარებით სრული სახით.

„ამხანაგობა“ გამოსცა აგრეთ- ვე პოპულარული ქართველი პო- ეტის მაინა გურიელის თხზულება- თა ერთტომეული (1897), უდრო-

ოდ გარდაცვლილი, ახალგაზირდა ნიჭიერი პოეტის გრიგოლ ეჭვიჭველი ძის ლექსის პირველი წარმატების ბარათაშვილის საყურადღებო დოკუმენტი „საქართველოს ისტორია“ (სამ წიგნად, რუსულიდან თარგმ- ნა სილოვან ხუნდაძემ), ბესარიონ ნიუარაძის (თვისუფალი სვანი) მიერ შეკრებილი „სვანური ზღაპ- რები“, მ. ლერმონტოვის „მწირი“ (გრ. აბაშიძის თარგმანი) და სხვ.

ნორჩი ქართველი მკითხველისა- თვის „ამხანაგობამ“ დაბეჭდა ედმონდ ლე-ამიჩის „დედაშვილის თვალშრელიდე“, ცახელის (პარ- მენ თვალშრელიდე), „გურგენ რა- ინდი“, დ. ყიფიანის „ზეიმა“ (ქი- ნაქინის ამბავი), მ. დმიტრიევის „პაწია და ბუნგლია“, ნ. ნაკაში- ძის „ზარაბიბილოს ხელმწიფის ქალი“ და სხვ.

1895-1897 წლებში „ამხანაგო- ბის“ გამგეობის მდივანი იყო გა- მოხენილი ქართველი რევოლუცი- ონერი მიხა ცხაქაია, რომელიც ქუთაისში ცხოვრების პერიოდში დიდ პრაქტიკულ და თეორიულ მუშაობას ეწეოდა. მან თარგმნა და 1897 წელს ქუთაისში ცალკე წიგნად გამოსცა პოლ ლაფარგის შრომა „მანქანის მნიშვნელობა“.

XIX საუკუნის 90-იან წლებში „ამხანაგობის“ პარალელურად ქუ- თაისში წიგნებს ბეჭდავლენი უუ- რნალების „მწყემსის“, „მეურ- ნის“ და „კრებულის“ რედაქტირ- ბი, ი. ხეთერელის და ვ. ბეჟანეი- შვილის წიგნის მაღაზიები, საკვი- რაო სკოლა, ჭიათურის მარგანე-

ცის მრეწველთა საბჭო და ცალკეული პირები.

„მწყემსის“ რედაქციამ გამოსცა აღ. ხეხანაშვილის ორი წიგნი „გუჯრები“ და „Есть ли грузины католики?“ „მეურნის“ რედაქციამ — პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის „ვაზი, მისი მოშენება და მოვლა“ (ორ წიგნად), ი. ხეთერელის წიგნის მაღაზიამ — „ქარი, ანუ ჩეხულ ლექსთა კრება“, დ. თომაშვილის „საყმაწვილო ლექსები“, „აკაკის თვიური კრებულის“ რედაქციამ — ს. ქვარიანის მოთხოვა „ანუელინა“ და სხვ., ძმებმა ვარლამ და ივანე ჭილაძეებმა — ცნობილი ქართველი პედაგოგის სილოვან ხუნდაძის ვრცელი ნაშრომი „ქართული ზმები“, დიმიტრი ერისთავის თხზულება „მომაკვდავნი“, გრ. დადიანის (კოლხიდელის) ლექსების კრებული და სხვ., მრეწველმა და მეცნიერმა მიტროფანე ლალიძემ — აკაკის პოემა „ნათელა“, „პატარა კრებული საუკეთესო ლექსებისა“, პროფ. ფეტერის გახმაურებული წიგნი „კოპერნიკიან დარიუნამდე“ (გადმოკეთებული პ. სურგულაძის მიერ). და სხვ.

900-იანი წლებიდან წიგნის გამოცემამ ქუთაისში შედარებით ფართო ხასიათი მიიღო. რუსეთის პირველმა რევოლუციამ „ახალი მკონცელი“ წარმოშვა — მშრომელთა ფართო მასები. ამან ახალი ამოცანები დააყენა წიგნის გამომცემელთა წინაშე. დასაბეჭდი ლიტერატურის თემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკირა

პოლიტიკურ და სოციალურ / თე-
მებზე დაწერილმა წიგნების //
1903 წელს ქუთაისშემოწმუნებული
გამოჩენილი ქართველი მუსიკის
ცონერისა და მოაზროვნის ალე-
ქსანდრე წულუკიძის შრომა „ოც-
ნება და სინამდვილე“ (კრიტიკუ-
ლი შენიშვნები ბ. არჩილ ჭორვა-
ძის „პროგრამის“ გამო). ეს იყო
მნიშვნელოვანი მოვლენა ქუთაი-
სში მარქსისტული ლიტერატუ-
რის ბეჭდვისა და გაურცელების
ისტორიაში.

1905 წელს დაიბეჭდა კირილუ-
ლორთვითანიბის მცერ ნათარგმნა
ლექსების კრებული „სანთურის“
სახელწოდებით. მასში შეტანი-
ლია ნ. ნეკრასოვის, ა. პლეშჩევის,
ნ. დობროლიუბოვის, ი. ნიკიტი-
ნის, პ. კოვალსკის, რობერტ ბერ-
ნის, რობერტ ნიკოლის, მორც
პარტმანის, პენრის პაინეს, ვიქ-
ტორ პიუგოს და იუვანალის ლე-
ქსები. „სანთურში“ მოთავსებუ-
ლი ლექსები მოწოდებად გაისმო-
და 1905-1906 წლების რევოლუ-
ციის დღეებში. ისინი ხელს უწ-
ყობდნენ რევოლუციურ-დემოკ-
რატიული იდეების დამკვიდრებას
საქართველოში.

დიდი ინტერესით მიიღო ქარ-
თველმა მკითხველმა 1906 წელს
ქუთაისში გამოცემული წიგნები:
„ბასტილის აღება“, მ. კონკოლის
„კომუნა, 1871 წ. პარიჟელ მუ-
შათა აჯანყების მოვლე ისტორია“,
ა. ბებელის „ქრისტიანობა და
სოციალიზმი“ და სხვ.

ათიან წლებში მნიშვნელოვან
საგამომცემლო საქმიანობას ეწე-

ოდა „თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზია“. „ამხანაგობის“ დამაარსებელი და მისი დედაბოძი იყო ქართული გიმნაზიის მასწავლებელი თომა აბრამის ძე მთავრიშვილი (1859-1928), რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე უანგაროდ ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდისა და ქართული წიგნის გამოცემა-გავრცელების საშვილიშვილო საქმეს.

1910-1921 წლებში „თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ“ გამოსცა ალ. ხახანაშვილის ცნობილი შრომა „ბატონიშვილისა ქართველოში რუსეთთან შეერთების“ (ისტორიული გამოკვლევა, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, 1910), გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსის კიტა აბაშიძის ფუნდამენტური გამოკვლევა „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ (ორ ტომად, 1911), დიდი ქართველი მოაზროვნის ნეკრიფოლის „მამულის სიყვარული და მსახურება“ (1914), ვასილ წერეთლის „ქართული სამეცნიერო და ხაფულოსოფოსო ტერმინოლოგია იმპანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით“ (1916), ს. გორგაძის „ქართული მართლწერა“ (1916), იაკობ ხუცესის „წამება წმიდისი შუშანიკისი“ (დასაბეჭდად მოამზადა ს. გორგაძემ. ეს იყო „შუშანიკის წამების“ პირველი მეცნიერული გამოცემა, 1917), შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, (1918), ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართ-

ლის ისტორია“ (წიგნი პირველი 1919) და სხვ.

„ამხანაგობამ“ 1917 წელს ქართველი ახალგაზრდობისათვის ურჩაშემსრული ციილური სერია შემოიღო „ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკის“ სახელშოდებით. ამ სერიით რამდენიმე საინტერესო წიგნი დაიბეჭდა.

განსაკუთრებით დიდია „თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის“ დამსახურება ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში. აღსანიშნავია ის, რომ ქუთაისში დაიბეჭდა მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელო, რომლის ავტორი იყო დიდი ქართველი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე.

ათიან წლებში ქუთაისში წიგნებს ბეჭდავდნენ აგრეთვე ურნალ-გაზრეთების გამავრცელებელი კანტორა „იმერეთი“, სახალხო უნივერსიტეტი, ქართული გიმნაზია, ძმების ოცხელების წიგნის მაღაზია, უცრინალ „კომპერაციის“ რედაქცია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება და სხვ. მათი საგამომცემლო საქმიანობის შედეგად ქართველმა მკითხველმა აჩაერთი საყურადღებო წიგნი მიიღო. მათ შორის უნდა დავასახელოთ: ალ-გარსევანიშვილის „უქრაინის მოსანი ტარას შევჩენკო“ (1912), იაკობ წერეთლის თხზულებათა მეორე ტომი (1913), გიორგი ჭალადიდელის ლექსების კრებული (ეს იყო გ. ჭალადიდელის ნაწერების

პირველი გამოცემა), ფრანგი მე-ცნიერის ემილ ფერიერის „დარ-კინიზმი“ (1912, ი. ფანცხავას-თარგმანი), პროფ. შარლ ჟიდის „პოლიტეკონომიის საფუძვლები“ (1916, 1917, 1919), პროფ. ს. ავალიანის „მიწათმფლობელობა საქართველოში“ (1920), შიო მღვიმელის „რჩეული ლექსები“ (1916), ოდესის ქართველ სტუდენტთა შრომების კრებული და სხვ.

ქუთაისის ინტელიგენციას, კერძოდ მის პედაგოგიურ საზოგადოებრიბაბას, დიდი და სასარგებლო შრომა აქვს გაწეული ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შედეგან-გამოცემის საქმეში. ქუთაისში სხვადასხვა ღროს დაბეჭდდა ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, უცხო ენების და დაწყებითი კლასების ბევრი კარგი სახელმძღვანელო, რომელგზედაც ქართველი ახალგაზრდობის არაერთი თაობა აღიზარდა.

1917-1921 წლებში ქუთაისში არსებობდა გამომცემლობები: „განათლება“, „შკოლა“, „მერანი“ და „მომავალი“, რომელთა მოღვაწეობის შედეგად ქუთაისი გადაექცა ქართული სახელმძღვანელოების შედეგან-გამოცემის ღია ცენტრად საქართველოში. მაგრამ ენაზე სახელმძღვანელოების ბეჭდვით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული სკოლისათვის მატერიალური ბაზის შექმნაში.

ინტენსიურ საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდა ქუთაისში მოლშევიკური ორგანიზაცია და რუსეთის პირველი რევოლუციის დროს რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტს ქუთაისში მოწყობილი პეტონდა არალეგალური სტამბა (1904-1907), სადაც იბეჭდებოდა და შემდეგ მთელ საქართველოში ვრცელდებოდა რევოლუციური შინაარსის ლიტერატურა. სამწუხაროდ ამ სტამბაში დაბეჭდილი წიგნები ჯერ-ჯერობით მიკლეული არაა.

ქუთაისის ბოლშევიკური ორგანიზაციის საგამომცემლო მუშაობამ ფართო ხასიათი მიიღო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში (1917-1921).

1917 წლის ნოემბერში ქუთაისის ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციამ — „სპარტაკია“ გამოსცა ი. ბ. სტალინის შრომა „დიალექტიკური მატერიალიზმი“.

1920 წლის ივნისში თბილისში ჩამოყალიბდა ბოლშევიკური გამომცემლობა „წითელი ვარსკვლავი“, რომელიც მაღე, მამია ორახელაშვილის ინიციატივით, ქუთაისში გადაიტანეს. ფაქტოურად „წითელი ვარსკვლავის“ საგამომცემლო საქმიანობა ქუთაისი გაიმართა. მოყლე ხნის მანძილზე (1920) მან რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნი გამოსცა — ვ. ი. ლენინის „გუნიმიერა და პოლიტიკა პროლეტარიატის ლიქტატურის

ხანაში“, კ. მარქსის და ფრ. ენგელსის „კომუნისტების ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.,“ პარტიის მერვე ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა, „ვინ არიან კომუნისტები“, მ. ორახელაშვილის (ნ. გემტორის) „როთ აიხსნება რესეტში სოციალისტური რევოლუციის აღვილი გამარჯვება“ და სხვ.

XIX საუკუნის ათასი წლებში „ქუთაისი ცენტრი იყო ქართული ლიტერატურული მოძრაობის, მრავალი შეგახებებისა და ახალ გზათა ძიების“ — წერს გალაკტიონი.

მარტლაც ამ პერიოდში ქუთაისი ცხოვრილი სისხლსავსე ლიტერატურული ცხოვრებით. აქ მოღვაწეობდნენ აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კირა აბაშიძე, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნოე ჩხივაძე, გაგუა ჭორჭიყია, ვარლამ ხუროები, ია ეკალაძე, შალვა დადიანი, თოოფილე ხუსკივაძე, სილოვან ხუნდაძე, არისტო ჭუმბაძე, ღუტე მეგრელი, დია ჩიანელი, სიმონ ჩიქვაძი, იაკობ ფანცხავა, რომანთ ფანცხავა, გერონტი ქიქოძე, ლიდია მეგრელიძე, გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე კაპანელი, ლადო მაჭავარიანი, ივანე გომართელი, იონა მეუნარგია და სხვ.

ქუთაისში გამოდიოდა უურნალები და აღმანახები, რომლებიც ლიტერატურისა და ხელოვნების საერთოდ.

საკითხებს აშუქებდნენ. ლიტერატურული ბრივი გაზეთები („კოლექტურული“, „მნათობი“, „დილა“, „ტრაქულურული“ და სხვ.) თავიანთ ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდნენ პოეზიას, თეატრს, მუსიკას, მწერლობას და ხელოვნებას საერთოდ.

მჩქეფარე ლიტერატურული ცხოვრება ქუთაისში იზიდავდა პოეზიითა და ხელოვნებით დაინტერესებულ ნიჭიერ ახალგაზრდობას.

ამიტომ შემთხვევითი არა ის, რომ სწორედ ქუთაისში დაიბეჭდა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პოეტის გალაკტიონის ლექსების პირველი წიგნი (1914, გამომცემელი ტუტკუ გეარამია), რომელმაც მის ავტორს საკოველთო აღიარება მოუპოვა.

ეს ფაქტი მუდამ დარჩება ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენად მსოფლიოს ამ უძველესი ქართული ქალაქის მრავალ-საუკუნვან ისტორიაში.

მაგრამ ქუთაისში არა მარტო დაიბეჭდა გალაკტიონის პირველი წიგნი, დაიწერა გალაკტიონის პირველი ლექსი. ქუთაისის უურნალ-გაზეთებში პირველად გამოქვეყნდა გალაკტიონის ბევრი უკავდავი ქმნილება. ქუთაისში დაიწყო გალაკტიონის დიდი გზა პოეზიაში.

1915 წელს გამომცემლობა „ნარგიზმა“ დაბეჭდა ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, მინიატურების დიდი ოსტატის ჭავუა ჭორჭიყიას თხზულებათა ერთტომეული.

1916 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა ქართული სიმბოლისტური სკოლა „ცისფერი ყანწების“ ლიტერატურული ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუნ ნადირაძე, ივანე ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე. ცოტა მოგვიანებით მათ შეუერთდნენ გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, რაფდენ გვეტაძე, შალვა აფხაძე, შალვა კარმელი, ნიკოლო მიწიშვილი, ალი არსენიშვილი.

„ცისფერყანწელები“ ფრანგი სიმბოლისტების პოეზიით იყვნენ გატაცებული. „მაშინ ქუთაისს ახალი პოეზიის ქალაქს უწინდებდნენ. მას ქუჩებსა და კაფეებში გაისმოდა ბოდლერის, ვერლენის, რემბრანდა და მალარმეს ლექსები“ (შ. აფხაძე).

ქუთაისში გამოსცეს „ცისფერყანწელება“ თავიანთი ჟურნალები „ცისფერი ყანწები“ (1916, რედაქტორი პ. იაშვილი) და „მშვილდონები“ (1920, რედაქტორი სანდრო ცირეკიძე), დაარსეს გამომცემლობანი „მეოცნებენიმორები“ და „კირჩხიბი“. მათ მიზნად დაისახეს შეექმნათ ქართველ სიმბოლისტთა ნაწარმოებების ბიბლიოთეკა. ამ გამომცემლობათ სული და გული იყო სანდრო ცირეკიძე (1894-1923 წწ.).

„მეოცნებენ ნიამორებმა“ ორი წიგნი გამოსცა: სტეფან მალარმეს „ლექსები და პროზა“ (1919) და კოლაუნ ნადირაძის ლექსების

პირველი კრებული „ბაღდახინი“ (1920). სარეცეფა

მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენდა სანდრო ცირეკიძის მიერ „ახალი პოეზიის ანთოლოგიის“ გამოცემა (1920, გამომცემლობა „კირჩხიბი“). ანთოლოგიაში შეტანილი იყო როგორც პოეზიის, ასევე უახლესი ქართული პროზის საუკუთესო ნიმუშები.

„კირჩხიბმა“ გამოსცა აგრეთვე ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების პირველი წიგნი „დაისები“ (1919).

სხვადასხვა დროს ქუთაისში გამოიცა ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაცი შერევალის, ილია ჭავჭავაძის და სხვ. ნაწარმოებები, ცნობილი მეცნიერების ნ. მარის, ა. ცაგარლის; შ. ნუცუბიძის, ალ. განელიძის, დიმ. უზნაძის და სხვ. შრომები, რუსული ლიტერატურის კლასიკოსების ალ. პუშკინის, გ. ლერმონტვის, ლ. ტოლსტიოს, გ. გორქის და სხვ. თხზულებათა ქართული თარგმანები.

თავისი სიტყვა თქვა ქუთაისის ინტელიგენციამ საბავშვო ლიტერატურის გამოცემის საქმეში.

ქუთაისში პერიოდულად რუსული წიგნებიც იბეჭდებოდა. თითო-ოროლა წიგნი უცხოურ ენებზეც (გერმანული, ფრანგული) დაიბეჭდა.

საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების გამარჯვების შემდეგ წიგნის გამოცემა და გავრცელება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმედ გამოცხადდა.

ჰამოყალიბდა სახელმწიფო გამოცემელობა — სახელგამი, რომელიც სათავეში ჩაუდგა წიგნის ბეჭდვის რესპუბლიკაში. მას ქუთაისში პეტრე თავისი განყოფილება, რომელიც წიგნებს სცემდა გრიფით „სახელგამი. ტფილისი-ქუთაისი“. ამ გრიფით დაიბეჭდა ქუთაისში ნ. ლორთქიფანიძის თხზულებათა პირველი ტომი (1924), ი. ბ. სტალინის „ლენინი და ლენინიზმი“ (1925), პ. ბროუნის „კლასობრივი ბრძოლა ინგლისში ომის შემდეგ“ (1927) და სხვ. რამდენიმე წიგნი გამოსცა აღვილობრივი გაზეთის რედაქციის, ქუთაისის პედაგოგურმა ანსტრუტორმა.

დიდი სამამულო ომის შემდეგ ქუთაისში წიგნების გამოცემა შეწყდა (თუმცა შეიქმნა მძღვრი პოლიგრაფიული ბაზა გალაკტიონ ტაბიძის სახელობის № 5 სტამბის სახით), რამაც გარკვეული დალი დაასცა ქალაქის კულტურულ ცხოვრებას. მომწიფდა საკითხი ქუთაისში წიგნების გამოცემის აღდგენისა. 1977 წლის ივნისიდან არსებობა დაიწყო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალმა. რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი პოეტი, წიგნის გამოცემის საქმის კარგი მცოდნე და ენთუზიასტი ზურაბ კუხიანიძე. განხორციელდა ქუთაისის ინტელიგენციის დიდი ხნის ოცნება.

ქუთაისში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ფილიალის ფასნა განაპირობა ჩვენს რესპუ-

ბლიკაში მომხდარმა იმ დღის ევრებში, რომლებიც სკპ ცენტრული კომიტეტის 1972 წლის დადგენილებას მოჰყევა თებერვლის ცნობილ დადგენილებას მოჰყევა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის თანმიმდევრულმა ზრუნვამ ქუთაისის კულტურული დონის სამამულებლად. ვანმსაზღვრელი როლი შეასრულეს აგრეთვე ქალაქის დიდმა კულტურულმა და ლიტერატურულმა ტრადიციებმა და ბოლო წლებში ქუთაისში ნიჭიერი ჩალგაზრდა შემოქმედებითი ძალების მომძლავრებამ.

ამ საქმის დაგვირგვინებისათვის დიდი შრომა გასწიეს საქართველოს გამსახურმის ხელმძღვანელობამ, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა და აღმასკომმა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექციამ, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ და მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ.

„საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის მიერ გამოცემული პირველი წიგნია „აღამიანის“ ავტორის, მამია გურიელის ლექსების კრებული. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მამია გურიელის თხზულებათა პირველი სრული კრებული ქუთაისში გამოიცა და მას შემდეგ, აგერ ორმოცი წელია, არც ერთ გამომცემლობას არ დაუსტომავს მისი წიგნი. გრძელა ამისა მკითხველმა მიიღო ფილიალის მიერ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნება.

ბი: ლილი ნუცუბიძის, დოდო ჭუმბერიძის, ავთანდილ ყურაშვილის და შოთა ნიკარაძის ლექსები, თეიმურაზ ლანჩავას ნოველები და მოთხრობები, ქუთაისელ მწერალთა მხატვრული ნარკვევების წიგნი „ვარსკვლავებით მოფენილი მიწა“, ავთანდილ ნიკოლე-იშვილის კრიტიკული წერილები (რომელსაც საქალაქო კომკავშირული პრემია მიეკუთვნა), ვ. ყავლაშვილის მონოგრაფია „ვარლამ რუხაძე“, ცნობილი კინოდრამატურგის რ. გაბრიაძის პირველი წიგნი „უცხო ჩიტი“.

მკითხველთა წინაშე პირველად წარსდგნენ რევაზ ნაჭყებია მოთხრობების წიგნით „ცეცხლის კაცუნების დღესასწაული“ და ტარიელ ხარხელაური საინტერესო ლექსების კრებულით „წყალი საკალმახე“. რევაზ ნაჭყებია ქუთაისის მკვიდრია, ხოლო ტარიელ ხალხელაური თაიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევში მეცხვარის ოჯახში გაიზარდა; სკოლის დამთავრების შემდეგ თვითონაც მეცხვარეობას მიჰყო ხელი. მერე სამხედრო სამსახური გაიარა, გზობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და ისევ მეცხვარეობა განაგრძო. იგი ამჟამად თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტია.

უდაო ინტერესს გამოიწვევს გურამ ფანჯიკიძის ახალი რომანი „აქტიური მზის წელიწადი“, რომელიც ქართველ ფიზიკოსების ცხოვრებას ეხება.

უახლოეს მომავალში მკითხველი მიღებს ირაკლი აბაშიძის

ახალი ლექსების კრებულს, რომელის წერილების წიგნის, ოტია იოსელიანის რომელი მიურავდა ვი და ცისფერი მდინარის“ მეორე წიგნს, დავით გვიცარიძის ახალ რომანს „მწვანე ქალაქი“, რევაზ მიშველაძის ახალ ნაწარმოებებს.

მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდება ტარიელ ჭანტურიასა და ემზარ კვიტაშვილის მიერ შედგენილ კრებულს „ვით მარგალიტი ობოლი“, რომელშიც შევა ქართველ პოეტთა საუკეთესო თაოთო ლექსი. მსგავსი კრებული დღემდე არ გვქონია.

გარდა ამისა ფილიალი გამოსცემს: ნარკვევს ცნობილ ავტომშენებელ სოციალისტური შრომის გმირ ბ. ვაშაკიძეზე, ს. ფხავაძის, გ. ძოწენიძის, ს. ჭეიშვილის მოთხრობებს, გ. სამხარაძის, დ. ახმაძის, დ. ხუროძის, ე. ნიკარაძის და სხვათა ლექსებს.

ლროდადრო მკითხველი მიღებს გარდაცვლილ მწერალთა — ს. ცირეკიძის, ს. ისიანის, ა. სინაურის, ა. გურჯიძის, შ. ტოვონიძის და სხვათა პოეტურ კრებულებს.

1979 წლის საგამომცემლო გეგმაშია ცნობილი ფრანგი პოეტის სტეფანე მალარმეს ლექსების წიგნი. სამოცი წლის შემდეგ მეორედ მალარმე ისევ ქუთაისში დაიბეჭდება. განზრახულია სერგი ესენინის ლექსებისა და პოემების რჩეულის გამოცემა.

როტაციონის მანქანა ბრუნავს. ქუთაისში წიგნების გამოცემა გრძელდება.

ჯეირან ფაჩუაშვილი

თანამედროვე ცხოვრების მხარდამხარ

„ქუთაისს მხოლოდ გაზაფხული თუ შეეღრება მშვენიერებით, რომლის ქუჩებში ნაირფერი ყვავილებით აფეთქებულა სიხალისე, სილალე, სიკეთე და სიამაყე.

ამ ქალაქში ბაგრატისა და დავითის დანატოვარს მოგონებით სცემენ თაყვანს, სწამო, რომ ისინი ფამთა სიავის მომსწრენი და მოწამენი არიან, იგონებენ ღირსეულ წინაპრებს, ნიშნად პატივისცემისა მშვენიერ საგალობელს უმღერიან, შემდეგ კი არგავონილი იუმორს გაღმოაფრქვევენ. გაგახალისებენ, აღგაფრთოვანებენ, გაიხარებენ და გაგახარებენ, ღლევანდელ ქუთაისს გაგაცნობენ თავისი სიახლით, შენებით, რაც ეამაყებათ, ხოტბას შეასხამენ ავტომანქანა „კოლხიდას“ თუ თეატრებს, სამხატვრო გალერეას თუ პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსებს. ისინი არ მაღავენ განცდებს, უმღერიან სიყვარულს,

შრომას, ვაჟკაცობას, იციან ჭეშმარიტი ცხოვრების აზრი.

ჩემი დიდი სურვილი: ამ მშვენიერ განახლების ქალაქს არ მოაკლდეს ჩვეული ხალისი.

მახარებს ის, რომ მეც მერგო წილად ამ ქალაქისადმი ჩემი სიყვარული და განცდა გამომეხატა... ვდეგამ ტეგლს, რომელიც სამამულო ომში დაღუპულ გმირებს უკვდავყოფს, ვიმედოვნებ რომ ეს ძეგლი ბაგრატისა და გელათის ახლადშობილი ძმა იქნება. გილოცავთ გაზაფხულს, გილოცავთ მხატვრის კვირეულს ყველა ქუთაისელს, რადგან თქვენ ხომ ყველანი სულით მხატვრები ხართ”...

ასეთი სურვილებით მოგვმართა მხატვარმა, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატმა მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილმა მხატვრის კვირეულთან დაკავშირებულ შეხვედრაზე, რომელიც ლ. მესხიშვილის სახელობის

სახელმწიფო თეატრში მოეწყო
მიმღინარე წლის 18 აპრილს.

საქართველოს მხატვართა კავ-
შირის ქუთაისის ორგანიზაცია თა-
ვისი არსებობის 18 წელიწადს
ითვლის. მექანიკ აქ გაერთიანე-
ბულია საკავშირო მხატვართა კა-
ვშირის 28 წევრი. მასთან გვყავს
სამედიდო რეზერვი — 35-მდე ახა-
ლგაზრდა.

ქუთაისელი მხატვრებისათვის
არ არსებობს უფრო მთავარი და
განმსაზღვრელი ამოცანა, ვიდრე
შემოქმედებითი საქმიანობის, სა-
ზოგადოებრივი და პოლიტიკური
აქტივობის მკვეთრი ამაღლება.
არსებულ შესაძლებლობათა მაქ-
სიმაღლურად გამოყენება.

მხატვართა ნამუშევრების სა-
ზოგადოებრივ სამსჯავროზე გა-
მოტანის, აზრთა ცხოველი გაცვ-
ლა-გამოცვლის, მხატვრისა და
სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა
ურთიერთდაახლოების კერად იქ-
ცა ქუთაისის ქართული სახითი
ხელოვნების გალერეა, რომელიც
გაიხსნა 1975 წელს. არ შეიძლება ჩვენმა მხატვრებმა, ამ დარგის
თითოეულმა მოყვარულმა არ და-
აფასოს ამ საქმეში ქალაქის პარ-
ტიული და საბჭოთა ორგანოების,
ცალკეულ საწარმოთა კოლექტი-
ვების წვლილი. ამის მეოხებით
გახდა შესაძლებელი მაღალ დო-
ნეზე ჩაგვეტარებია პირველი მხა-
ტვრის კვირეული. კვირეულის
დღეებში მოეწყო მთელი რიგი
საინტერესო ღონისძიებები: გა-
მოცენები ავტოქარხნელთა კულ-
ტურის სახლში, პედაგოგიურ და

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.
ნორჩ მხატვართა კონკურსი აფი-
ლტზე ცარცით ხატვაშეკურსები
აღინიშნოს ის გულით მდგრად-
დაჭრა, რითაც დიღმა ხელოვან-
მა ლადო გუდიაშვილმა გაახარა
ნორჩი მხატვრები; კონკურსში
გამარჯვებულთ გადაეცათ ზიგე-
ლები, რომლის ესკიზი მან საე-
ციალურად ამ ღონისძიებისათვის
შექმნა. ბევრმა ჩვენმა ხელოვანმა
თავის სახელოსნოში პირველად
მიიღო მნახველები, რომლებიც
ადგილზე გაეცვნენ მხატვრის შე-
მოქმედებას.

სურათების გალერეის გახსნამ,
ტრადიციულმა მხატვრის კვირე-
ულებმა შესაძლებლობა მოგვცა,
ფართოდ გაგვეშალა მუშაობა:
შარშანწინ ს. ორგონიკიძის სახე-
ლობის საავტომობილო ქარხნის,
შარშან აბრეშუმის საწარმოო გა-
ერთიანების დირექციისა და მხა-
ტვართა კავშირის ურთიერთ ხელ-
შეკრულების საფუძველზე გამო-
ცხადდა გამოფენა-კონკურსები:
„ავტოქარხანა ახალ ხუთწლედ-
ში“, „აბრეშუმის საწარმოო გაე-
რთიანება მეათე ხუთწლედში“.
საწარმოებში მისული მხატვრები
უფრო დაუახლოვდნენ მშრომე-
ლებს, გაეცვნენ მათ საქმიანობას.
ამ ურთიერთობამ კარგი შედეგი
გამოიღო. კონკურსში აქტიურად
ჩაებნენ, როგორც ძველი თაობის,
ასევე ახალგაზრდების სექციაში
გაერთიანებული მხატვრები. პრე-
მირებული იქნა მხატვარ გ. გაგო-
შიძის „ინდუსტრიული პეიზაჟი“,
ვ. კაპანაძის „შენდება ახალი სა-

„მქრო“ (ეს ნამუშევრები შემდეგ მოხდა რესპუბლიკურ გამოფენაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის „მე-60 წლისთვის“), გ. დოლენჯაშვილის გრაფიკული ნამუშევარი „საწნეს სამქროში“, ა. აბესაძის „დილა მუშათა უბანში“, გ. სირბილაძის „ქართული აბრეშუმი“, ჭ. ჭეიშვილის „ფერები გოგონა“, ბ. ნებიერიძის გრაფიკული პორტრეტების სერია.

ნათლად იგრძნობა შემოქმედებითი იმპავლობა, ეწყობა საშემოდგომო და საგაზიფხულო თემატური გამოფენები. აღსანიშნავია პოლო პეტროდში გამოფენაზე ექსპონირებული ნამუშევრები: გ. ნიკოლაძის „ლ. ი. ბრექნევის პორტრეტი“, ა. კიკვაძის „პომკავშირის პრემიის ლაურეატის, ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის გ. ქავთარაძის პორტრეტი“, ვ. ჯაყელის „გაზიფხული“, ა. აბესაძის „შემოდგომა“, გ. დოლენჯაშვილის გრაფიკული სერია, ჭ. ჭეიშვილის „ქალიშვილის პორტრეტი“, თ. თალუმაძის „პეიზაჟი“, ო. ქანდარიძის გრაფიკული ნამუშევრები „1918 წელი“, „ნიკორწმინდა“, ვ. კაპანძის „გაზიფხული ქუთაისში“, გ. გაგოშიძის პეიზაჟი „რაჭა“ და სხვ.

სასარგებლო შედეგი გამოილო შხატვრებისა და ქალაქის მოწინავე მდგრადთა შეხვედრებმა ხე-

ლოვნების დარგის მუშავთა თანა შესაყრელ „ოქროს ჩარტაზში“. აქ გამართულმა ცხოველშესაჭყალი ბასმა ბევრ სასიცეთო საქმეს მისცად დასაბამი. განმტკიცდა კავშირი მხატვრებსა და მწერლებს შორის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით ახლი წიგნები გააფორმეს ჩვენმა გრაფიკოსებმა.

მ. გურიელის ლექსების წიგნი, ი. ნაჭყების „ცეცხლის კაცუნების ღლესასწაული“ და ლექსთა კრებული „ვით მარგალიტი ობოლი“ გააფორმა ო. ქანდარიძი; დ. ჭუმბურიძის, ა. ყურაველის კრებულები და გ. ფანჯიკიძის ახალი რომანი „აქტიური მზის წელიწადი“ — გ. დოლენჯაშვილმა; ო. ლანჩხავას მოთხოვნებისა და ნოველების წიგნი — ა. აბესაძემ; შ. ნიუარაძის ლექსთა კრებული — რ. გუმბერიძემ; ლ. მესხის „ლანდი გორგლელილ მინასთან“ — ა. ჩოგოვაძემ; ვლ. ყავლაშვილის მონოგრაფია „ვარლამ რუხაძე“ — ს. ქობალიძე; ა. ნიკოლეიშვილის კრიტიკული წერილების კრებული „გამოძახილი“ და ლ. ნუცუბიძის „ჩემი აკაცია“ — ვაჟა ქუთათელაძემ; ტ. ხარხელაურის „წყალი-საკალმახე“ — ზ. მგელაშვილმა.

სასურველი იქნება გამოფენები (მათ შორის პერსონალური), შეხვედრები, აზრთა ურთიერთგზიარება მოვაწყოთ ჩვენი ქალაქის ფარგლებს გარეთაც, ისე როგორც აჭარის ლიტერატურის დღეები ქუთაისში და ქუთაისისა

— ბათუმში. ეს დასაბამს მისცემს შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცებას.

ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციის სამედიცინო ცვლა ორის ახალგაზრდა მხატვართა სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ო. ქანდარია. სექციაში გაერთიანებული მხატვრები აქტიურად მონაწილეობენ, როგორც საქალაქო, ასევე რესპუბლიკურ და საქაფშირო გამოფენებში, ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სულ ახლახან ჩვენი მხატვრები სურათების გალერეაში შეეგებენ ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავის იუბილეს. მოეწყო გამოფენა-კონკურსი. კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ და მხატვართა კავშირმა პრემიებით აღნიშნეს მ. გიორგაძის, გ. დოლენგაშვილის, ა. აბესაძის, თ. ამბროლაძის, გ. ფრანგიშვილის, ჭ. დანელიას ნამუშევრები, რომლებშიც იგრძნობა თანამედროვე ცხოვრების სუნთქვა, ახალგაზრდული მაჯისცემა, ეროვნული კოლორიტი, თემისადმი პრინციპული მიღვომა, ფაქტიზი

გემოვნება, თემის ორგანიზაციის გააზრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ შექმნა კარგი ნიადაგი. დიდი დახმარება გაგვიწია კომკავშირმა. შემოქმედებით მიღლინებაში წავიდა ოთხი მხატვარი, კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა ნაბერეჟნიე ჩელნიში გაგზავნა. გ. დოლენგაშვილი, ხოლო სვანე-თში — თ. ამბროლაძე.

თერჯოლის რაიონის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეგობრული დახმარება გაუწიეს მხატვართა ჯგუფს, რომელიც სოფლის ცხოვრების ასხვის მიზნით ჩავიდა იქ.

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირმა დაგვაფასა — მ. წლის ბოლოს ქუთაისელი მხატვრები წარსდგებიან დედაქალაქის საზოგადოების წინაშე თავიანთი შემოქმედებით, უკანასკნელ ორ-სამწელიწადში შექმნილი საუკეთესო ნამუშევრებით.

ჩვენი მიზანი ერთია — ვიყოთ თანამედროვე ცხოვრების შუაგულში, შემდგომ ავამალლოთ მხატვრული ოსტატობა და გავიდეთ ფართო შემოქმედებით ასპარეზზე.

მიხეილ აღავიძე

ერთი წარწერის შესახებ

ენათმეცნიერ თურქოლოგის — აკადემიკოს სერგი ჭიქიას 1975 წელს მე მივსწერე ასეთი შინაარსის ბაზარი:

ბაგრატის ტაძრის ეზოს გაწმენდის დროს, 1939 წელს, აღმოჩნდა და ახლაც აქ ინახება წარწერიანი ლოდი. 1957 წელს იგი დაათვალიერა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ. მან თქვა: არაბული დამწერლობით შესრულებული თურქული ტექსტია. მარტო „ალა“ ამოვაკითხეო.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა, დოცენტმა მიხეილ ნიკოლეიშვილმა მაცნობა: სერგი ჭიქია 1972 წელს გელათში გამართულ სამეცნიერო სესიაში მონაწილეობდა. შემდეგ უქიმერიონზე ივებით და წარწერიანი ქვაც ვაჩვენეო.

გთხოვთ მომაწოდოთ თქვენ მიერ გაშიფრული ტექსტის თარგმანი, თქვენი დასკვნა ამ წარწე-

რის შესახებ. დღემდე თუ გამოაქვეყნეთ — სად და როდის, როგორ გაჩნდა ეს ლოდი ბაგრატის ტაძარში.

სერგი ჭიქიამ წერილობით მიპასუხა: ბაგრატის ტაძრის ეზოში აღმოჩენილი წარწერა მე ამოვიკითხე. ქუთაისშიც ვიყავი, რათა ადგილზე მენახა ეს ქვა. წარწერა თურქულ ენაზეა. მისი ძირითადი შინაარსი ის არის, რომ ქუთაისის ციხეში თურქთა გარნიზონის ყოფნის დროს (XVIII საუკუნეში) ვინმე ჰასან კიკიანს ქუთაისის ციხის კარამდე წყალი გამოუყვანია, რისთვისაც შექებული და დალოცვილია იგი.

ჩემი სტატია ამ საკითხზე იბეჭდება ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძლვნილ საიუბილეო კრებულში, რასაც სცემს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი. სტატიაში არის მოქლე ცნობები წარწერის მოპოვებისა და სხვათა შესახებ.

აღნიშნული კრებული 1976
წელს უკვე გამოვიდა. 380-389
გვერდებზე მოთავსებულია სერ-
გი ჯიქიას გამოკვლევა „მეორა-
მეტე საუკუნის თურქული წარ-
წერა ქუთაისიდან“. აქვეა წარწე-
რიანი ლოდის ფოტოპირი, აღდ-
გნილი ტექსტი და მისი ქართუ-
ლი თარგმანი.

ოსმალეთის დასავლეთ საქართ-
ველოსთან დამოკიდებულების,
კერძოდ, იმერეთში მისი პოლი-
ტიკური გეგმების გარკვევის ხელს
შეუწყობს უცხოურ და ქართულ
წყაროთა მონაცემების შესწავლა.
ამგვარი მასალიდან სერგი ჯიქიამ
გაგვაცნო პირველი თურქული ეპ-
იგრაფიული ძეგლი იმერეთიდან.
წარწერიანი ქვა კარგად არის
შენახული. წარწერა ძლიერ მკა-
ფიოა, ასოები — რელიეფური.
შესრულებულია ნასხის ხელით.

ქვაზე ტექსტის სიგრძე 60,5 სმ
და სიცანე 39,5 სმ. წარწერა ორ
სვეტად იყოფა. პირველი სვეტის
პირველი სტრიქნი გრძელდება
მეორე სვეტის პირველ სტრიქ-
ნამდე და ასე შემდგომ. სულ ორ-
ივე სვეტზე რვა სტრიქნია.

თურქული ტექსტის ქართული
თარგმანი ასეთია:

1. ეინც საქველმოქმედო საქ-
მეთათვის გულმოფგინედ ილვწის,
საბოლოოდ გაიხარებს.

2. ჩადგან სახელი ჰასან საუკე-
თესო თვისებებზე მიუთითებს

3. ჩან (ჰასანშა) არა ორგულო-
ბით, არამედ მოწყურებულთა სა-
სიკეთოდ

4. წყალი გამოიყვანა ცაბის და
ჩამდე, წყალი მაცოცხლებელი.

5. მე შევსთხოვ გამჩენების გამო-
მილოს მისგან (ეს) ქველმოქმე-
დება.

6. არათერი მოკლებოდებს მას,
თავისი კეთილი საქმეებით (მოთ-
მინებით) მოეპოვოს სიმტკიცე-
(სიცოცხლისა).

7. ქველმოქმედი არის კიკიანი
ჰასან აღა.

8.... (წარწერის) თარიღია —
1152 წელი (1739-1740).

სერგი ჯიქია მოვითხრობს:

წარწერა დათარიღებულია
1739-1740 წლით. ერთადერთ და
მთავარ მოქმედ პირიად დასახელე-
ბულია ვინმე ჰასან-აღა კიკიანი,
რომელსაც დიდი საქველმოქმედო
საქმე გაუკეთებია და ქუთაისის
ციხეში ოსმალთა გარნიზონისათ-
ვის წყალი გამოუყვანია.

კიკიანი ქართული გვარია. ეს
ჰასან აღა, უნდა ვითიქროთ, თუ-
რქებს გადაუბირებით და ისლა-
მის რწყლი მიუღია. დასავლეთ
საქართველოს საბუთებში იგი სი-
კმიათდ ხშირად ჩანს და ჩანს ხწო-
რებ როგორც საზოგადოებაში
გვლენიანი და მაღალი თანამდე-
ბობის პირი (მატერიალურად შეძ-
ლებულიც). ქუთაისის მუზეუმის
ერთი დოკუმენტის მიხედვით
ცხადია, რომ კიკიანის ქრისტია-
ნული სახელი იყო „სიმონი“. ჰა-
სანი კი თურქებს შეურქმევიათ.

სერგი ჯიქია სიმონ კიკიანის
შთამომაცემობაზე არსებულ ცნო-
ბებსაც იხილავს: წერილობითა
საბუთებით მტკიცდება, რომ ქუ-

თაისის ციხის აღების (1770) შემდეგ გენერალმა ტოტლებენმა რუსეთის მეფე ეკატერინე მეორეს გაუგზავნა ტყვედ აყვანილი შვილიშვილი ჰასან კიკიანისა. ეკატერინე მეორემ იგი აჩუქა თავის შვილს პავლეს, რომელსაც ეს ყმაწვილი ძალზე მოეწონა, აღზარდადა და მონათლა კიდეც — სახელად „ივანე“ დაარქვა, მამის სახელად „პავლე“ შეუტრია.

ქუთათელ ტყვეს მისცეს გვარსახელი „კუტაისოვი“. ივანე პავლეს ძე კუტაისოვი გრაფი გახდა, მისი შვილი აღექმანდრე კი — რუსეთის ომის გენერალი.

ამრიგად, სერგი ჯიქიამ დაადგინა, რომ გვარსახელი „კუტაისოვი“ ქუთათელ ქართველ „კიკოანს“ გულისხმობს.

მის შემდეგ „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ (გამოცემა II, ტ. 24, მოსკოვი, 1953, გვ. 142) სათანადო ადგილი ორივე „კუტაისოვზე“ (სადაც იკითხება — ერთენებით თურქი) უნდა გასწორდეს და შეიცხოს ასე: ეროვნებით (წარმოშობით) ქართველი, ვარად კიკიანი.

მეფე სოლომონ მეორის მიერ 1808 წელს გაცემული მოწმობის მიხედვით, დასტურდება, რომ იმ ერეთში კიკიანებს აზნაურის წოდება ჰქონიათ.

ქუთათერი წარწერის შემსრულებელი უცნობია. უთუოდ ტექსტი შეთხა და ქვაზე გამოკვეთა თურქმა მეციხოვნემ.

მოვიდოვე ახალი ცნობაც სვანური წარმოშობის გვარსახელ

„კიკიანზე“: კიკიანები ამჟამადაც სახლობენ დაბა ჩხოროწყუში. ქვედა ჩხოროწყუს ერთ ეუბის საკიკიანო ეწოდება. პილათისა

სამახსოვროა გვარსახელ კუტაისოვის ოსებობაც. უდმურტეთის ას რესპუბლიკის ცენტრში — ქალაქ იუევსკში — ამ გვარს ატარებს რამდენიმე მოქალაქე. 1978 წლის 7 ნოემბერს გაგრაში პირადად გავიცანი პანსიონატ „სუსლის“ რუსი დამსვენებელი — უფროსი საქონელმცოდნე — ვერა ანდრეის ასული კუტაისოვა (მისამართი: ქ. იუევსკი. ნაგვაციანის ქუჩა. სახლი 6. ბინა 45) მისი გაღმოცემით, წინაპრები აქ გორკის ოლქიდან გაღმოსულან. მამამისი ანდრე პეტრეს ძე 1900 წელს დაიბადა და გარდაცვლილია. გვარსახელ კუტაისოვის წარმომავლობაზე სხვა რამ მან არ იცის. გენერალი კუტაისოვი კი გაუგონია და ენციკლოპედიის ცნობითაც დაინტერესდა.

სერგი ჯიქიას მეცნიერული ნაშრომისათვის აქ აუცილებელ დამატებად წარმოვადგენ ახალ მასალას წარწერიანი ლოდის მოპოვების შესახებ. აგრეთვე კრიტიკულად განვიხილავ ე. წ. „გვირაბის წყალზე“ გამოთქმულ ვარაუდის და სათანადოდ დავაფასებ ჩატარებულ და ჩასატარებელ კვლევა-ძეებას უქიმერიონზე წყალგავანილობის საკითხის შესასწავლად.

სერგი ჯიქია ჩამოთვლის რამდენიმე მკვლევარს, რომლებმაც მას მიაწოდეს ფოტოპირები

სხვადასხვა დროს. ჩანს, დაინტერესებულიან აღმოჩენით, უცნობი წარწერის ამოხსნით. მაგრამ არავის უკითხავს აღმომჩენი, არ უფიქრია გაეგო, ვინ იპოვა და შეინახა წარწერიანი ლოდი ტაძრის სამრეკლოში.

ბაგრატის ტაძრის ეზოში თავმყრილი ჩუქურთმოვანი ქვები ჰეტრე ჭაბუკიანის მზრუნველობას მიეწერება. წარწერიანი ლოდი მანვე აღმოაჩინა და დაიცვა.

არაბული დამწერლობის ნიმუში ჰეტრემ იცნო. ეს ფაქტი აღნიშნა 1963 წელს გორგი ლეონიძესთან მის ცნობილ საუბარში (იხ. გაზ. „ქუთაისი“, 1964, 27 დეკემბერი, № 255).

წარწერიანი ლოდი ნაპოვნია ბაგრატის ტაძრის აღმოსავლეთის კედელთან (გარეთ) ნაყარ მიწაში (ეზოს გაწმენდისას.) აღბათ, წარწერიანი ქვა ჩაშენებული იყო ტაძრის კედელში და დამტაცებელს ვერ გაუბედავს მისი წალება საშენ მასალად.

ეკლარის რბილი კირქვა აქ პირველად გვხვდება მშენებლობაში. ქალაქის ციხე-გალავანი და ბაგრატის ტაძარი აგებულია თეთრა-მიწის მაგარი კირქვით.

1938 წელს ბაგრატის ტაძრის აგეგმვაზე ერთი თვე მუშაობდნენ ხელოვნებათმცოდნენი: გორგი ჩუბინაშვილი, სევეროვი, ლევან რჩეულიშვილი... ლ. რჩეულიშვილმა 1939 წელს წარწერიანი ქვის ფოტოპირი თბილისში წაუღო ივანე ჯავახიშვილს. მას იგი გადაუცია სერგი ჯიქიასათვის.

ქუთაისში, მდინარე რიონის შერჩვენა მხარეს, მაღლობზე „არს მეტად მაგარი ციხე ჟამუშებიშვილი“ — წერს მეექვსე საუკუნის, პიზანტიული ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. „უქიმერიონი“, ივ. ჯავახიშვილის ამოხსნით, უღრის მეგრულ „ოხვამერს“ (სალოცავს). ამ ადგილს შეეხება აკაკი წერეთლის ნათქვამი: „შენი ციხეგალავანი, ბევრჯერ სისხლით განაბანი“. მერვე საუკუნეში ძველი ციხე-ქალაქის ნაგრევებზე აშენდა ახალი ქალაქი და მას მეორე ქვთკირის გალავანი შემოავლეს. ჩვენამდე მოღწეული ზღუდეები (კედლები) საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ ქალაქის მოსახლეობისა და ნაგებობათა განლაგება.

ამ საკითხს ნათლად აშენებს ისტორიკოს ნოე ბალანჩივაძის სტატია — აქროპოლისი და „დიდი ქუთაისი“ (გაზ. „ქუთაისი“, 1976, 5 მაისი, № 86).

უქიმერიონის ციხე-სიმაგრეს ჰქონია ბურჯები. ერთ-ერთი ბურჯი ბაგრატის ტაძრის აღმოსავლეთითაა. ამჟამად აქ მოძოვება სამლოცველო შენობის ნაშთი.

ამ ბურჯს თავდაპირველად ემსახურებოდა საიდუმლო „გვირაბის წყალი“.

უქიმერიონის ციხე-კედლებში მე-18 საუკუნეში ოსმალთა გარნიზონი იდგა.

ს. კაჯაბაძე შენიშვნას: ოსმალთა გარნიზონში ბევრნი იყვნენ ახალციხის საცხოვრისან ჩამოყვანილი მაპმადიანი მესხები. მათ


შორის თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ რენეგატი იმერლებიც. ერთი ასეთი გვარის „კიკიანის“ დადასტურება ახლა შესაძლებელია დოკუმენტურად (საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 121).

აკაკი შანიძის ვარაუდით სიმონ კიკიანს გამოუყვანია ქუთაისში „გვირაბის წყალი“ წოდებული წყარო, — ვკითხულობთ სერგი ჭიქიას ნაშრომში (გვ. 384).

ეს მოსაზრება მცდარია: 1) „გვირაბის წყალი“ გამოდის ქვე-და ცარცის კლდეში და გამოყვანილი არაა, 2) „გვირაბი“ თავი-დანვე აუშენებიათ. ციხე-სიმაგრის ამ საიდუმლო გასასვლელის აგების პერიოდად ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს ჩვენი წელთაღრიცხ-ვის VI-VII საუკუნეებს (იბ. კურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1976, № 4, გვ. 21).

უკიმერიონზე მეორე წყალსა-დენის არსებობას 1934 წლიდან ჩაღდამით სწავლობს საქართვე-ლოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ნ. სუხიაშვილი. მან დასტა-ბა საინტერესო ნაკვლევი ფო-ტოილუსტრაციებითურთ — „ქუ-თაისის ციხე-სიმაგრის წყალმოძა-რავება“ (კურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1976, № 4, აპრილი, გვ. 17-21).

ნ. სუხიაშვილი ფიქრობს, რომ ამ წყალსადენის გაყვანის დროის საკითხს შემდგომი კვლევა-ძიება გადაწყვეტს.

პეტრე ჭაბუკიანის აზრით, ფე-თრამიწის მთის გულში // იყოს ბუნებრივი აუზი, სკოდაზეც მოედინება წყაროები ხელისუფალიშვილისეულ მამულში (ახლან-დელ წყაროს ქუჩაზე, სადაც ო-ბიძები სახლობენ), თეთრამიწის კალთაზე „ღარულა“ (აქ ახლა მე-ლქანები და იმედაძები ცხოვ-რობენ). გვირაბის წყლის სათავეც თეთრამიწაშია.

ქალაქი და ციხე-სიმაგრე ძი-რითადად მარაგდებოდა ვეირბ-ბის წყლით, რაც მოშლილა და შემდეგ, მე-18 საუკუნეში სიმონ კიკიანს თეთრამიწიდან წყალი გა-მოუყვანია მეციხოვნეთავის და ციხის მახლობელი მოსახლეობის-თვისაც: ხელთუფლიშვილისეულ მამულში არსებული ჭიდან ერთი ტოტი თიხის მილსადენი მიღიოდა ციხემდე (ივანე რუხაძის ეზოზე), მეორე კი — ახლანდელი ცაცხ-ვების ქუჩის მიმართულებით. მო-ხუცა გაღმოცემით, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში უქი-მერიონზე შედარებით წვრილი თიხის მიღებით წყალი გამოუყანია მღვდელ ჩარკვიანს.

აზნაურ ხელთუფლიშვილს რე-გოლუციამდე ეკუთვნოდა სათა-ფლია და თეთრამიწა. ახლანდელი წყაროს ქუჩის ორი მესამედი ხე-ლთუფლიშვილისეული ტერიტო-რია იყო. ამ ადგილსამყოფელს „წყაროს ქუჩა“ ეწოდა პეტრე ჭაბუკიანის მოთხოვნით.

თურქული წარწერის ფასდაუ-დებელი ღირებულება ისაა, რომ ეს ეპიგრაფიკული ძეგლი უკიმე-

რიონზე მეორე წყალსადენის მშენებლობის პერიოდს ათარიღებს.

წარწერიანი ლოდი 1939 წელს აღმოჩნდა და მზის სინათლე იხილა, მაგრამ 1976 წლამდე ვერ ამ-ეტყველდა. აღმომჩენის არდავიწყებაც საზრუნავი შეიქმნა. აღმომჩენისა და წარწერიანი ლოდი ბარატის ტაძრის ეზოში იყო და შემდეგ მის სამრეკლოში აიტანესო. აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა და მე ამ სამრეკლოში ვნახეთ ეს ქვა 1972 წელს.

უქიმერიონის საიდუმლო გამუღინდა. ისმინეთ ეკლარის ქვის ღალადი!

ეს რეცენზია გასაცნობად გაუგზვნე აკადემიკოს სერგი ჭიჭიას, რომელმაც წერილობით მიჰასუხა შემდეგი:


ულრმესი მადლობა ყურადღებისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ თქვენ ასე დროულად გამოეხმაურეთ ჩემს ნაშრომს. თქვენი განხილვა და დამატება-შენიშვნები სასარგებლო — მისაღები და გასათვალისწინებელი.

მე ძალიან ვწუხვარ, რომ ბატონი პეტრე ჭაბუკიანი ჩემს გამოკვლევაში არ არის მოხსენებული. საქმაოდ დიდი ხანია მე ამ წარწერის გამოქვეყნება მინდოდა. გაჭიანურდა კარგი ფოტოს დამზადება. რამდენჯერმე გამომიგზავნეს, მეც თრჩერ ვიყავი ქუთაისში და ბოლოს ძლივს მოხერხდა რიგიანი სურათის გაკეთება. ამ პერიოდში ამ საკითხზე მე ბევრთან მქონდა საუბარი და არავის ჩემ-

თვის ერთი სიტყვითაც გატანა პეტრე არ უხსენებია. არ ვიციდო, რომ ბატონმა პეტრემ უშემსახულები ეს წარწერიანი ქვა. ყველა იძალა მბობდა, რომ ეს წარწერიანი ლოდი ბარატის ტაძრის ეზოში იყო და შემდეგ მის სამრეკლოში აიტანესო. აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა და მე ამ სამრეკლოში ვნახეთ ეს ქვა 1972 წელს.

როდესაც ამ თურქული წარწერის შესახებ ვესაუბრებოდი აკადემიკოს აკაკი შანიძეს, მან მითხვა, რომ ეს „გვირაბის წყაროდ“ წოდებული წყალი იქნებოდაო. მეც ეს ნათქვამი დავიმოწმე, რადგან ქუთაისის განლაგებულობის დეტალებს არ ვიცნობ (ქუთაისში მე არ მიცხოვრია). თქვენი შენიშვნით ეს ვარაუდი არ გამართლდა. ინუინერ ნ. სუხიაშვილის სტატიას ქუთაისის ციხესიმაგრის წყალმომარაგების შესახებ, რაც 1976 წელს დაისტამდა. მე ვერ გამოვიყენებდი (ჩემი გამოკვლევა რეალურიას გადავეცი 1975 წლის დასაწყისში). მიუხედავად ამისა, იგივე შენიშვნა თქვენ მიინც შეგეძლოთ გამოგეთქვათ, რადგან უქიმერიონის მიდამოებში წყალსადენის საკითხზე ცნობები ადრეც გექნებოდათ. მომავალში, ალბათ, ამ წყალგაყვანილობაზე ბევრი რამ გაირკვევა. ჩემი უშუალო მიზანი იყო წარწერის ამოკითხვა, თარგმნა და ფილოლოგური ასენები. ვფრქრობ, რომ

წარწერის შინაარსი შეძლებისდა-
გვარად გასაგებად წარმოვადგინე.
თქვენ მიერ მოპოვებული ახალი
ცნობები გვარსახელ „კიკიანისა“
და მისი შემცველელი „კუტაისო-
ვის“ გვერცელებაზე მეტყველებ-
ენ.

აკადემიკოს სერგი ჭიქიას და 
რილიც მნიშვნელოვანია წარწერა-/
რიონის ისტორიისათვის. 
აღმოჩენილი (კერვერობით ერთ-
აღერთი) თურქული ეპიგრაფიუ-
ლი ლოდი ამჟამადაც დაცულია
ბაგრატის ტაძრის სამჩეკლოში.



სიმონ აჩვერაძე

ნაბიჯი ჭინ...

ამ ბოლო დროს ერთობ გაგვახარა ჩვენმა ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ. რამდენი ახალი სახელი, ნიჭიერი შემოქმედი გამოჩნდა დიდ სარბიელზე! როგორც იტყვიან, მათ მხატვრულ ნიჭის ერთბაშად „მიეცა გზა ფართო“, მრავალმხრივი გასაქანი, იმის რეალური შესაძლებლობა, რომ მკითხველამდე თავისუფლად მიიტანონ მხატვრულად ხორცშესხმული თავიანთი ჩანაფიქრი, განცდილი და ნააზრევი...

პოეტთა და პროზაიკოსთა ამ სამერმისო ცვლას შეადგენს ქუთაისში მცხოვრებ ახალგაზრდა მწერალთა მცირე რაზმიც. მათ შორის უნდა ვიგულვოთ დოდო ჭუმბურიძე, თეიმურაზ

ლანჩავა, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ავთანდილ ყურაშვილი, ზალ ებანოძე... შედარებით უფრო ახალგაზრდა პროზაიკოსი რევაზ ნაჭყებია.

ყოველი დასაწყისი რომ ძნელია, ეს კარგად არის ცნობილი, ასევე ძნელია პირველი ნაბიჯიც, რამეთუ მწერლობაში კარგი დასაწყისი თავისთავად წინგადა-დგმული ნაბიჯია. და რაოდენ სასიხარულოა რევაზ ნაჭყებიას მოთხრობების სადებუტო წიგნის გამოსვლა, რომელიც შემოქმედებითად თამამ, უკვე წინ გადადგმულ ნაბიჯად აღიქმება მკითხველის მიერ.

„ცეცხლის კაცუნების დღე-სასწაული“ — ასეა სახელდებული წიგნი, რომელიც იხსნება მოთხრობით „ჩემოდნიანი ბიჭი“. მოთხრობა დინამიკურია და ინტერესით იყითხება. მასში არაფერი არ ხდება უცნაური, არაჩვეულებრივი: 12 წლის სო-

* ევაზ ჩაშეცმია — „ცეცხლის კაცუნების დღე-სასწაული“, გამოიცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისის ფილიალი, რედაქტორი დ. კვიცარიძე, 1978 წელი.

ფლელი ბიჭი პირველად მიემ-
გზავრება ქალაქში ნათესავ-
თან. თან მიაქვს დედის დარი-
გება, ფურცელზე დახახული
„მოგზაურობის“ გეგმა, მაგრამ
ერთდღება დახედოს, ან ვიმეტს
პკითხოს. ეზოებში დადის და
ეძებს ადრესატს.. გზადაგზა
ხვდება ხალხს, გოგო-ბიჭებს,
ესმის მათი უცნაური, სოფ-
ლისთვის უჩვეულო, საუბარი:
ბოლოს მიაგნებს ნათესავის
სახლს, ხელს აჭერს ზარის ღი-
ლაკს და.. — „მაინძელო! — მო-
ედო ეზოს დაბორხებული ხმა და
ბიჭი მხრებში გაიშალა, თავი
ასწია..“ ასეთია მისი მოქმედე-
ბის სქემატური ქარგა. მთავარი
აქ ის არის, რომ მწერალი სადად
და დამაჯერებლად გაღმოგვცემს
ბავშვის სულიერ მღელვარებას,
შინაგან შებოჭილობას, დაფა-
რულ სიამაყეს, ერთი სიტყვით,
იჩენს ბავშვის ფსიქოლოგიის
კარგ ცოდნას. ეს ღირსება, რო-
გორც შუქი, თან ახლავს სხვა
მოთხრობებსაც: „მარკო ზა“,
„ცეცხლის კაცუნების დღესას-
წაული“, „დაქალები“, რომლ-
ებშიც ავტორი სწორედ ფსიქო-
ლოგიის ცოდნით ხატავს თანა-
მედროვე ადამიანებს.

„მარკოზას“ ზოგიერთი პერ-
სონაცი საკმაოდ კოლორიტულია.
თავად მარკოზა, როგორც წამყ-
ვანი პერსონა, მხიარული და ხა-
ლისიანი კაცია. მომადლებული
აქვს იუმორის ნიჭი, ეს მსუბუქი
იუმორი, როგორც წესი, გას-
დევს სხვა პერსონაცთა მოქმე-

დებას, მაგრამ როდის ნაძალაძე-
ვი, ხელოვნური, გარედან მოს-/
გებული. პირიქით, ბუღაჭრებულება
ზის ენობრივ ქსოვილში მუსიკურა
გვაბა თხრობის მდინარებას, რაც
ესოდენ საგულისხმოა, გამომ-
დინარეობს პერსონაცთა ურთი-
ერთობის ლოგიკიდან.

ზემოთხსენებულ მოთხრობა-
ში (ასევე სხვა მოთხრობებშიც)
ავტორი კარგად იმარჯვებს დე-
ტალს. საერთო კონტექსტში ეს
მცირედი დეტალიც მრავლის-
მოქმედია, მიგვანიშნებს პერსო-
ნაცის ხასიათის თავისებურებისაც.

მარკოზა და ვატა მეგობრები
არია. ვატა მძღოლია და ერთ-
ხანს უმუშევარი დადის. იგი უ-
რთულად ატარებს პროტესტის
გრძელებას. ორი წელია, რაც არ
მცირდება. არც ძველ მანქანაზე
ამუშავებენ, არც ახალს აძლევენ,
თითქოს არაფერია ახალი. მხილე-
ბა იმისა, რაც ჯერ კიდევ ხორც-
მეტივით შემორჩენია ცხოვრე-
ბას. შეიცვალა ვითარება: ვატა
მანქანას ღვდებულობს და მისთვის
ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში
დგება. აქ მწერალი დეკლარაცი-
ულად, მყვირალა ფრაზებით არ-
გვაუწყებს ვითარების განახლე-
ბას და ესაა ერთი მთავარი ღი-
რსებაც.

როგორც ითქვა, მწერალი ხა-
ტავს ხასიათს, რამდენიმე შტრი-
ხით, დეტალით ავლენს ადამია-
ნის შინასამყაროს არსებას,
თხრობა შეზავებულია იუმო-
რით.

„რამდენი ხაზია ფარდაზე“ —

ამ მოთხრობით ავტორის სათქმელი არცთუ აქტუალურია. მაგრამ ისევ ყურადსალებია: მახვილი ფსიქოლოგიური ხედვა, მწერლური თვალი, გმირის ხასიათის ხეცულებში რომ ახედებს მკითხველს. მიქელას მონოლოგი შუქსა ჰქონის ამ კეშმარიტებას.

ცხოვრება თავისებური რინგია, ინტერესთა ჭიდილია. ჯიბრი და ქიშპობა დასაბამიდან მოჰყვება ადამიანთა მოდგმას. ბაჭყალი და კიკო („რინგი“) გლეხვაცის ტიპიური სახეებია. ახლო მეზობლების ურთიერთობას მსჭვალავს ჯიბრის გრძნობა, რაც მათ ცხოვრებას რინგის არენად აქცევს: ორთა ბრძოლის ამ შეზღუდულ ასპარეზზე რელიეფურად ცნაურდება იმერული ხასიათის, ერთი შეხედვით, თვალში საცემი ნიშანთვისებანი. მხატვრულად მოტივირებულია მათ შორის კონფლიქტური სიტუაციის შემზღება და ლოგიკური აუცილებლობის შედეგი.

იდეური გააზრებით, ასევე მხატვრულადაც გამოიჩევა „გაწყვეტილი თოკი“ და „ცეცხლის კაცუნების დღესასწაული“.

ოჯახურ-ყოფითი გარემო, შინაგამისა და უთანხმოებანი, იდილიური, სოფლური მყუდროებისაგან განრიდება მიმწერისას, რაც ბერიკაცს ცხოვრების აზრს აკარგვინებს, — ყოველივე ეს გააზრებულია ცხოვრებისეული რეალობის პოზიციებიდან. მახვილი თვალითაა დანახული ყოველი დეტალი გმირთა სუ-

ლიერი მოქმედებისა, კაცუჭარისა კაცუნების ურთიერთდამოგილებულება, ადამიანური ტრადიციული სუსტეც და უძლურებაც. ვრცელი მოთხრობის „ცეცხლის კაცუნების დღესასწაული“ ეპიზოდები ორგანულად ერწყმის ერთიან სიუჟეტურ ქარგას, ზოგიერთი ცალკე ნოველასავით წამოაჩენს სათქმელის არსებით მხარეს. დიდი სითბოთია დახატული მუნჯი ბიჭი, რომლის ფართოდ გახელილი თვალები უფრო მეტს ამბობს, ვიდრე ზოგი კაცურის გალესილი ენა. როდესაც ბიძამ ბიჭის თვალებს შეხედა, დააკვირდა და ამოიკითხა ისეთი წუხილი, მგრძნობიარობა სხვისი წუხილის მიმართ, რომ კაცუნა თანდათან, დროის მცირე მონაკვეთში გაკაცდა: — „ანგელინა — უხმოდ გაპყვირა სახლისკენ მიმავალ გზას ვალოდიამ, — ბოვშე არაფერი გვეიგონ, თვარა!“...

ბერიკაცის მარტოსულობის აღსასრული ახლოსაა. იგი ცდილობს გაექცეს განმხოლებულ არსებობას, გრძნობს, რომ დროა, დაეცნას ლანდებს და განდევნოს სიცივე სახლიდან და თავისი არსებიდან, კვლავ ეახლოს მეზობლებს, დაესესხოს მათ სითბოს და ლიმილს. პირველსავე მეზობელს, რომელსაც იგი შინ უწვევა, ეუბნება: „მომენატრეთ, მეზობლებო, ძან მომენატრეთ ყველა, თქვენი ჭირიმე... საიდან დაგინახეთ, რომ იცოდეთ“. ეს

უყო მისი ოლსარება, სიცოცხლის
უკანასკნელი „აკორდი“.

ერთი წაკითხვითაც კი გახსომ-
დება ზოგიერთი პერსონაჟი, რო-
გორც ხორცშესხმული ადამია-
ნური რეალობა, როგორც კონკ-
რეტული პიროვნული ფენომენი.
თვითეულის პიროვნულ მე-ში,
როგორც შუქი ბროლის წახნაგ-
ში, გამოკრთის ზოგადადამიან-
ური სევდა და ტკივილი, ძალმო-
სილებაც და უძლურებაც. პუმა-
ნური საწყისი როდი გამორიც-
ხავს ყოველგვარი ანტიპოდუ-
რის წინააღმდეგ ბრძოლას. პი-
რიქით, ნამდვილი პუმანიშმი ან-
ტიპუმანიშმის მხილებაა. და ამ
მხილების პათოსით გამსჭვალუ-
ლია თორქის ყველა მოთხრობა.
ავტორი გმობს წარსულის გად-
მონაშთებს, ხატავს დეკლასიურ
ელემენტებსაც („რიკრიკა“), თუ-
მცა ეს არის რეპროდუქცირებუ-
ლი ალქმა ემპირიული ფაქტისა
და არა უშუალოდ განცდილი
რამ. იქნებ ამიტომაც ვისმეს
ასოციაციურად შეიძლება იგი
მოვცლინოს ლიტერატურული

რემინისცენციის შორეულ ანა-
რეკლად. 
კრებულის ყველა მოთხოვნაშეული
როდი გამოიჩინა თანაბალი შენა-
ტვრული სიძლიერით. გზადაგზა
გამოითქვა ორიოდე შენიშვნა
შუქ-ჩრდილებზე. მწერლის ენო-
ბრივი ქსოვილი მოქნილი და
ლაპიდარულია, რამდენადმე კუ-
თხურობის იქრიც დაპკრავს, მა-
გრამ ეს მცირედი გამონაკლისია.
ამასთან დავძენთ, როგორც კე-
თილ სურვილ-მოთხოვნას მწე-
რლისადმი: სათქმელის აქტუა-
ლობა და თემატური არეალის
გაფართოება კვლავ დგას მის
წინაშე. როგორც უპირველესი
შემოქმედებითი ამოცანა. ლო-
გიკურად ამას თან ერთვის უან-
რული სფეროს განვრცობის აუ-
ცილებლობაც, რათა უფრო ფარ-
თოდ და ტევად პლანში წარმო-
ჩინოს ცხოვრებისეული რეალო-
ბა. რევაზ ნაჭყებიას ამის უთუო
შესაძლებლობა აქვს. იგი დაკვი-
რვებული, მახვილი მწერლური
ხედვის მქონე ახალგხაზრდა
ტროზაიკოსია.

ბეჭედ ნამიზების გამოცემი

ჯიხვის რეაგით აზანილი მოვარე

პოეტურ სახეს, ჩვენი წერილის სათაური რომ შეიცავს, შეხვდებით შოთა ნიუარაძის ლექსების ახალ კრებულში, რომელმაც შე-

საძლოა, არა თუ ერთგვარი. არა-მედ მთლიანი წარმოდგენაც კი შეუქმნას მყითხველს პოეტის შემოქმედებაზე.

შებინდებისას სპეტაკი შხარა ყაბალახივით თეთრ ღრუბლებს იხვევს.
ნაშუალამევს ნავახში მთვარე მწვერვალზე რქებით ამოქვთ ჯიხვებს.
(„ჯიხვები“)

ეს არის „პოეტური გამოხატვის ხელოვნება სიტყვის საშუალებით“ (მ. გორგი); ესაა შოთა ნიუარაძის მიერ მიგნებული სახე და პოეტურადაც ბრწყინვალედ გააზრებული, მაგრამ მეტაფორა — „სპეტაკი შხარა ყაბალახივით თეთრ ღრუბლებს იხვევს“ — ძველია.

შოთა ნიუარაძის ამ წიგნში კარგად ჩანს ქუთაისი — „ქართუ-

ლი სიტყვის დედაქალაქი“, ჩანს თავისი ქართულდამლიანი ავტომანქანით, თეთრი ქვებითა და ბაგრატის ტაძრით:

მაღალ მთიდან გადმომდგარი
ტაძარი და
რა ტაძარი!
თეთრი ქვები,
თეთრი ქვები,
შზის სხიცებით გაფერილი,
თეთრი მტრედი,
თეთრი მტრედი,
ბალდაღისენ გაფრენილი.
(„ბარათი მეგობარს“)

...ჩანს მწვანეყვავილა, რომელსაც ქალაქის სხვა უბნებთან შე-

შოთა ნიუარაძე — „ლექსები“, გამომცემობა „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისის ფილიალი, რედაქტორი ზ. კუხანიძე, 1978 წელი.

დარებით ყველაზე ადრე შეანათებს თეთრი აპრილი; ქუთაისი ჩანს მისი საყვარელი ოთარ სულაბერიძით: „დღეს შენი ბაგე ისევ თბილია, მზის დოკეგრძელობით რომ არ იღლება, და შენი გული გაკვეთილია და წვერ-წვეთობით სხვებში იღვრება; რომ ხვალ კაცობად ამოიკვირტოს და გაამართლოს შენი მეობა“.

ეს ის ოთარ სულაბერიძეა, რომელიც:

მომისოვის ჩქეფლა როგორც მაჭარი,
და ამჟეყნილა ისე წავიდა,
წვეთიც არ დარჩა გაუხარვავი.

როგორც ხედავთ, შოთა ნიუარაძის ლექსები ტრადიციული ქართული ლექსთაწყობითაა დაწერილი, სილაბურია, რამდენადაც მათ უმრავლესობას ახასიათებს ტაეპებში მარცვალთა ერთნაირი რაოდენობა, მაგრამ პოეტისათვის ქართული კლასიკური ლექსის ერთგულება ნორმა როდია („მე-არანის სიკედილი“). ამასთან, ნახსენები ლექსი ყურადღებას იპყრობს დახვეწილი პოეტური გამოწებით, თავიდან ბოლომდე იქითხება ერთი ამოსუნთქვით, გააჩნია თავისი ინტონაცია: ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ლექსისათვის სრულებით არ არის აუცილებელი თანაბარზომიერი სამეტყველო ერთეულების მოწესრიგებული გამეორება. „მეარანის სიკედილი“ საესეა საყურადღებო პოეტური მეტაფორებით: არანს „ცრემლებივით მოცვიოდა უზა-

ლთუნები“; „მეზობლებში, ფრთული ნასესხები, ჩამოარიგა აზრით და ლენები“; „მუხები გაყვითლილება ლებულ ფოთლებს ისროდნენ, როგორც ასმანეთიანებს“; „გამთენისას, როგორც ბორბალი, შუკაში მოუხვევდა წყნარი ჩობანით“; „როცა წვალებით ჭიშკარს დალლიდა, წამოფრინდებოდნენ მტრედები არღნიდან“...

ლექსის მოცულობის გამო, სამწუხაროდ, არ არის საშუალება მთლიანად წავაკითხოთ მკთხველს იგი ამ წერილში, მოვიტანთ მხოლოდ მის ფინალს და, ვფიქრობთ, ამ სტრიქონებშიც ჩანს ყოველივე ის, რაც ზემოთ ვთქვთ:

მაჟაცივით შეეგება სასაფლაო,
აცახუხებული ერთიანად.
და მუხები გაყვითლებულ ფოთლებს
ესროდნენ,
როგორც ასმანეთიანებს.
იქვე არღანი იდგა უვნებლივ
და ცრემლებივით
მოცვიოდა უზალთუნები.

შოთა ნიუარაძის ლექსი „სინდისის კაცი“ დაწერილია იმ არა-სასიამოვნო ამბების გამო, ჩვენს რესპუბლიკაში რომ ხდებოდა ერთ დროს. პოეტი მართლაც პოეტურად, ლაკონურად, ყოველგვარი ბაქიბუქის გარეშე, სულ ერთ, ჩვენს მიერ ხაზგასმულ სტრიქონში („იმ კაცს სინდისი არასოდეს გაუყიდნია, არავინ იყო თუმცა მყიდვები“) გვიჩვენებს აღამიანთა უმრავლესობის არაჯანსაღ დამოკიდებულებას პატიოსნებისადმი



იმ წლებში. ამასთან, ლექსში
ჩანს კაცი, დაკოურილ ხელებში
ოფლანი ნიავი რომ გაუჩიბოდა
შაშინაც, ნიაღაგ შრომით რომ
იყო გაფერილი მისი სახნისი და
აპეურები და მიუხედავად პატი-
ოსანი მშრომელი კაცის იმეამინ-
დელი გულგატეხილობისა, კორ-
ტოხზე შემომლგარ მის ქვევრები-
ან ეზოში მდგარ ოდა-სახლშიც
ოწრიტებოდა ულვაშებზე საჭიხვე
ყანწი, ნამუსინი კაცის საღლეგრ-
ძელოდ და საღიდებლად.

შოთა ნიუარაძის ამ ახალ წიგნ-

ში მრავლადაა ისეთი ლექსში,
მკითხველთა მოწონებას კრიტიკული
იმსახურებენ და მათი მარტივების
ან გაცნობის შემდეგ მკითხველი
იგრძნობს, რომ იგი შეხვდება კი-
დევ ერთ მაღლიან ქართველ პო-
ეტს, რომლის ბორანიც ჯერ შუა
წყალშია და...

ეხეთქებიან ბორანს ზვირთები,
ღამე გაჭიდა,
ცა შვიდფერი...
მე ვაინც მჯერა,
გაიამინდებს —
უნდა გავიღე ნაპირზე,
ნაპირზე უნდა გავიღე!..

დავით ბერებეგი

საინიაჲო ნოველის წიგნი

თავისი ნოველების ახლადგამოცემულ წიგნს ახალგაზრდა მწერალმა თეიმურაზ ლანჩხავამ „დაუძინებლად ნანახი სიზმრები“ უწოდა. თითქოს უცნაური სახელწოდებაა, მაგრამ კარგად თუ დაუკვირდება კაცი, აუცილებლად იგრძნობს სათაურის მარილს, გემოსა და სურნელს. ცხოვრებისეული ამბების გაბედულად დახატვა, სიმართლის ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ შეფირვით თქმა, ყოველდღიური ყოფის წვდომის განსაკუთრებული და გამორჩეული უნარი მწერალს საქმეში ჩახედულ და საინტერესო პიროვნებად წარმოგვიდგენს.

წიგნში შეტანილია 28 ნოველა და 8 ნახევარზღაპარი. ეს ნახევარზღაპარიც საგანგებოდ შერჩეული ტერმინია. ამ ზღაპრებში ნა-

ხევარი მაინც მართალია და ეს სიმართლე ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ მანინჯ მხარეს გმობს და დასცინის. ნოველებსა და ნახევარზღაპრებში თეიმურაზ ლანჩხავა თხრობის თავისუფალ და ლალ მანერასაა დაუფლებული. ამიტომაც, დაიწყებ თუ არა კითხვას, დამთავრებამდე ხელიდან აღარ გაუშვებ წიგნს. ნოველათა უმრავლესობა ადამიანურ სიყვარულს, სიკეთეს, ურთიერთნდობას, პატივისცემასა და მეგობრობას ეხება. ნოველების გმირები ზომაზე მეტად მართალი და ოლალი ხალხია. მათ არც სიყვარულის დაფარვა შეუძლიათ, არც შეუფერებელი, საհოთირო საქმის კეთება. ისინი სიმართლით ცდილობენ. ფონს გასვლას და ხშირად გადიან კიდეც. აღწევენ დასახულ მიზანს და მერე მოპოვებული ბეჭდინერებით ტკბებიან. ნოველებში ავტორი იუმორსაც იყენებს გმირის ხასიათის, მდგომარეობის და ყოფის

თეიმურაზ ლანჩხავა — „დაუძინებლად ნანახი სიზმრები“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისის ფილიალი. რედაქტორი ზ. კუხიანიძე, 1978 წ.

გადმოსაცემად. ამ იუმორში თავისებური სიყვარული და გულითადობაა წარმოდგენილი. ეს იუმორი არც ერთ შემთხვევაში შეურაცხყოფას არ აყენებს ნოველის გმირს, პირიქით, უფრო საინტერესოდ და მიმზიდველად ხატავს მას და გვეხმარება ღრმად ჩავიხედოთ მისი სულის ხვეულებში, კარგად გავერკვეთ რა ახარებს და რა აწუხებს.

გენადი მესხორაძის ცქრიალა, ძეგლუცმა გოგონამ მოხიბლა ახალგაზრდა ბიჭი სამსონა კალაძე, საქმე იქამდე მივიდა, რომ ბიჭმა პოეტობაც კი დაიწყო. მერე გერმანულად ლექსის მთქმელ გოგონას ცეკვით გაეჭიბრა და გენადის ყურადღებაც დაიმსახურა. ბოლოს საქმე ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. გოგონა და ბიჭი შეულლდნენ. მაგრამ გენადი მესხორაძის რჩევას და თხოვნას „ნუ ჩაიდგამ ჩემი შეილის საცოდაობაში ფეხს, ან ლექსების წერას ან მაგას დაანებეთავი, თუ ღმერთი გწამს, დამიჯერე არ ინანებო“. ყური არ უგდო. მაგრამ მერე და მერე სიტყვასთან ნაბრძოლი, ღამენათევი კაცი ფიქრობდა: „მართალი ბრძანდება გენადი ბატონი, სულ არაა ჩემი ღამეების თევა და. ტვინის ჰყლეტა საჭირო, ბედნიერება ახლა ჩემთვის ლოგინში შეგორება და საამო ძილია, მაგრამ ხვალ დილით თავზე წამომდგარი ცოლი დამიჯერებს ვითომ ამას?“

ნოველას შესაფერისი სათაური იქვს „ბედნიერება“, მაგრამ ამ

ბედნიერებას მაინც ჩრდილობის პოეტად ქცეული კაცის ცვლილება, რომლის დაძლევულობა და უნარი მას მაინც ჰქონის გააჩნია.

შშობლიური სოფლის მოტივების, მამაპაპისეული სამკვიდრებელი მიწა-წყლის განწირვის გულსატკენი სურათებია დახატული ნოველებში „დაუანგული თოხები“ და „უცნობი“. ერთ დროს პრიალა, ოღმისივთ გაუერილი თოხი დაიყანგა უხმარობისაგან. ეს ტრაგედია თელორე ბაბუამაც იგრძნო და მკვდარიც კი ამხედრდა ამ უჩვეულო და მოულოდნელი ამბის საწინააღმდეგოდ.

„უცნობში“ მამის მიერ გაყიდული მამულის და სოფლის სიყვარული არ ასვენებს შვილს, იგი სოფელში ჩადის, მაგრამ თითქოს უცნობია. შეუძლია დაიძახოს, გაეცნოს ხალხს, გაუშინაურდეს, მაგრამ მამისაგან მცდარად გადადგმული ნაბიჯის გამოსწორება არ ხერხდება, უცხოსავით დადის სოფელში. მერე კი გულდაწყვეტილი და სევდიანი უკან ბრუნდება.

ავტორი ცდილობს გააღვივოს იდამიანში სოფლისადმი სიყვარული, ფეხი შეუწყოს თანამედროვებას, დაგმოს მაინც დამინც ქალაქში უსაქმოდ ხეტიალი, იმ დროს როდესაც მამაპაპისეულ სოფელში უამრავი საქმე ელოდება ახალგაზრდას, რომელსაც იქ შეუძლია თავი გამოიჩინოს და ხალხისათვის საჭირო და აუცილებელი საქმე აკეთოს. მაგრამ ყვე-

ლაფერი ეს ის უბრალოდ, ისე მარტივად, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე თქმული, როგორც იმას საერთოდ ახერხებს თეიმურაზ ლანჩავა.

ავტორის აზრით, თავის საქმიანობასაც კრიტიკული თვალით უნდა შეხედოს კაცმა, და თუ რამე სამარტვინოდ და შეუფერებლად მიაჩნია, ზურგი უნდა აქციოს მას.

ნოველაში „ცეცხლი“ თავისი საქმიანობის წინააღმდეგ ამხედრებული კაცია გამოყვანილი. პატარაობისას მამა ურჩევდა დაეწყო ეს ხელობა, მუშაობისას შეყოვნებულ შეილს შესახებდა: „გაუსვი მარდად სალაშინიო“ — „ბაბუაშენი ოლიფანტე კუბოს გაკეთებდა. ამაში ჩამაწყინაო, ინაზრებდი“, მაგრამ ამროსიმ ვერაფრით ვერ შეიყვარა ეს საქმე, საკუთარ თავს ებრძოდა და ხშირად მწარე საყვედურით ამბობდა: „რატომ მაინც მაინც მე უნდა ვიყო ის ვიღაცა, პარიქმანერობა მესწავლა, ვინმეს გარღვევლი ფეხსაცმელი დამეკერა, რამა ეს ხელობა ავირჩიო“.

დაჩაგრულად გრძნობდა თავს ამროსი, კიდევ უფრო დადარდიანდა, როდესაც ატირებულმა შვილმა ბაჩომ ერთი ამხანაგონის ნათქვამი მოუტანა: „შენ რომ ახალი პიჭავი გაცვია, მაგი ბებიაჩემის კუბოში აღებული ფულით გიყიდესო, არ მომკვდარიყო ბებიაჩემი, ვნახავდით, რასაც ჩაგაცმევდნენ“. ჯავრზე გამოთვრა ამროსი, მერე სასაფლაოზე წავიდა, ბაბუასა და მამის საფლავის

შვებს დიდხანს ურტყა მუშტეხზე, შემდეგ ძილი მოერია და რომ ააფლავის ქვას შორის ჩაიმიტყვა გიგლიორითვა ხეს, სახლში მოიყვანეს.

„მეესწრები მაგენთან წასვლასო“ კაპასობდა ცოლი. ძალად მეკუბოვის მოთმინების ფიალა აივსო, შუალამისას წამოდგა, სახელოსნოს დახედა, ერთხელ კიდევ შეიძულა იგი. ვერ შეეგუა სიცოცხლის მოყვარული კეთილი კაცი თავის ხელობას, სახლში აირბინა, ნავთი და ასათი წამოილო და ცეცხლს მისცა სახელოსნო. მერე კი ცისკენ ხელებაშვერილი მაღლობას უთვლიდა ოსთაგამრიგეს ამის შთაგონებისათვის.

კარგად გადმოსცემს თ. ლანჩავა ომისღროინდელ გასაჭირს, რომელიც თითქმის ყველას და ყველაფერს შეეხო, მაგრამ ძნელია დავეთანხმოთ ავტორს ფრონტზე მებრძოლი ლეიტენანტის ცოლის ზნეობის შერჩევაში. ლეიტენანტის ცოლი თოთქოს უკაცობისა და გაჭირვების გამო ერთ დასანახავად ართვალ, მაიმახს დაუახლოვდა... მკითხველს საწინააღმდეგო განწყობილება უჩნდება უდავოდ. ჯერ ერთი, ზურგში მყოფი ლეიტენანტის ცოლი და მისი შვილი ისე მაინც იქნებოდნენ უზრუნველყოფილი, რომ ლუქმაპურისათვის მაიმახს არ დაკავშირებოდნენ. მეორე, მართალია, ვაკეაცები ფრონტზე იბრძოდნენ, მაგრამ ზურგშიც იყო ხალხი. რაღა ეს საფრთხობელა გამოძებნა ამ მშენებირი გარეგნობის მქონე ქალმა. ნოველაში

დახატულ ვითარებას უფრო მეტი მოტივაცია და დამაჯერებლობა ჭირდება. არ კმარა სათაური ნოველის „ომი იყო“ — ომი კი იყო, მაგრამ ძლიერი ნებისყოფის ხალხის შერყევა და ზნეობის შელიტვა ამ ომმაც ვერ შეძლო.

შესანიშნავადაა გადმოცემული მეზობელთა შორის კეთილი დამოკიდებულება ნოველაში „ზამთარში მარტო კაცის წასაკითხი მოთხოვობა“. მეზობლები თითქოს წინასწარი განზრაპვის გარეშე ერთად იყრიან თავს, სუფრას შლიან, სუფრაზე ყველაფერია და მარტოხელა კაცს ცოლის შერთვას უჩინევენ. მეზობელთა შორის სიყვარული და გულთბილობა კარგადაა გადმოცემული. ოღონდ სათაური ასე აქობებდა: „ზამთარში მარტოხელა კაცის წასაკითხი მოთხოვობა“.

ასევე კარგად იკითხება ნოველები: „ორლობეში“, „იყო“, „ერმილე“, „შემობრუნება“, „სიჩუმე“, „დათა“, „სიყვარული“, „ბენო“, „თვალსუქობანა“, „პრემიერა“, „მოთმინება“, „მებორნე“ და სხვ.

არ შეიძლება არ ვუსაყვედურო ამ კარგი ნოველების ავტორს: ხშირად ფიქრობს და წერს სიკვდილზე, იძქვეყნიურობაზე, ადამიანის წარმავლობაზე.

თეიმურაზ ლანჩავას ნახევარ-

ზღაპრებიც თავისი შინაგანი და მიმზიდველობით ნოველების უფრნეზე დგას: ყოველ ზრდის მიზანი გვისი საგანგებო მნიშვნელობა აქვს. ყოველ მათგანში სიკეთე, სიმართლე და სინდისია შექებული. ნახევარზღაბარი „პრატა“-ს ე მთავრდება: „ჭირი იქა, საღაც სიმართლე უსამართლობას ნახას.“

ლხინი აქა, საღაც სინდისი იმე-ოვებს.

ქატო მუქთახორებს, ფქვალი კი თქვენი ფეშაში იყოს, ჩემთ მე-გობრებო!“.

ავტორი მეოცნებე ყმაწვილების ტრფიალია. ამიტომაცა რომ იგი ასე ამთავრებს თავის ნოველას „მეოცნებე“: „ნუ შეშინდებით ამ რკინისა და ატომის საუკუნეში მეოცნებე ყმაწვილებო, იცეირეთ ცისაკენ, საღაცაა თქვენი ანგელოსებიც გამოჩნდებიან“.

ნახევარზღაბრებში ავტორის მოსაზრებანი უფრო შეფარულადაა გამოთქმული. მაგრამ ამით ეს ნახევარზღაბრები უფრო მიმზიდველი და საინტერესონი არიან.

თეიმურაზ ლანჩავას წიგნზე რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ და ჩვენი მოსაზრებები მოგაწოდოთ, მაინც წიგნის წაკითხვა სჯობს, ეს უფრო მეტ სიმოვნებას მიანიჭებს მკითხველს.

სეიმო ჭიდვისი

გ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ი

ლიტერატურის სარბიელზე ახალი კრიტიკოსის გამოჩენა მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან კრიტიკული ჰკრეტის, განსჯისა და დაფასების ნამდვილი ნიჭი და უნარი ისეთივე იშვიათია, როგორც ჰკეშმარიტი მწერლური მაღლი. სწორედ ამიტომ ლიტერატურული საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა ავთანდილ ნიკოლეიშვილის კრიტიკული წერილების კრებულს, რომელსაც იკრიორმა „გამოძახილი“ უწოდა.

ა. ნიკოლეიშვილის კრიტიკულმა წერილებმა, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ რომ გამოჩნდა ქართულ პერიოდიკაში, იმთავითე მიიპყრეს მკითხველის და სპეციალისტების ყურადღება გულწრფელობით, უპრეტენზიო ტო-

ნით, მასალის ღრმა ცოდნითა და ობიექტურობით, და, რაც ყველაზე მთავარია, მწერლობის მგზებარე სიყვარულითა და პატრიოტული აღტყინებით. ახლა ამ წერილების ერთი ნაწილი კრებულად იქცა და სრული სახით წარმოგვიდგა ორიგინალური და დამოუკიდებელი, თავისთვალი ნიჭის მქონე ახალგაზრდა კრიტიკოსი, რომელიც წერილიდან წერილამდე იზრდება, მწიფდება, ფრთხებს შლის, თანამედროვე კრიტიკული აზროვნების შესაშურ სიმაღლეებს, მწერლობის უღრმესსა და უშორეს სივრცეებს სწოდება.

წიგნი იხსნება ოთარ ჭილაძის რომანის — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, — განხილვით. ავტორი ყოველგვარი „შემზადების“ გარეშე იწყებს: „რომანის დასაწყისიდანვე იქმნება აზრობრივი სიღრმე და თვალისწინ იშლება მრავალმხრივი სათქმელის ვრცე-

ავთანდილ ნიკოლეიშვილი — „გამოძახილი“, გამოშცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისის ფილიალი, 1978 წელი.

ლი პანორამა:...“ ეს აზრი შეიძლება უცვლელად მივუსადავოთ ა. ნიკოლეიშვილის ამ კარგ წივნასაც: კრებულის დასაწყისიდანვე იქმნება აზრობრივი სიღრმე და თვალწინ იშლება მრავალმხრივი სათქმელის ვრცელი პანორამა. ეს პანორამა თანამედროვე ქართული მწერლობაა, მიმდინარე ლიტერატურული პროცესებია თავისი მრავალმხრივი პრობლემატიკით, შემოქმედების პრინციპებზე მეცნიერული, ობიექტური მსჯელობაა.

„გამოძახილი“ უტყუარი ექმდა გამოძახილია ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი დღისა. მასში საუბარია ოთარ ჭილაძის, მურმან ლებანიძის, რევაზ ინანიშვილის, შოთა ნიშნიანიძის, გურაშ ლოჩანაშვილის, ტარიელ ჭავტურიას, დავით კვიცარიძის, ვაჩტანვ ჯავახაძის, დოდო ჭუმბურიძის, ზაალ ებანიძის, თეიმურაზ ლანჩავას და გურამ პეტრიაშვილის წიგნებზე. როგორც ვხედავთ, უკვე სახელმოხვეჭილი და საქვეუნოდ აღიარებული ასტატების გვერდით განხილულია ფართო მკითხველისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ივტორებიც. კრიტიკოსისათვის ამოსავალია საინტერესო ლიტერატურული ფაქტები და არა ის, ტიტულოვანია ამ ფაქტის შემოქმედი თუ უჩინორეკრუტი. ივტორი ერთი კრიტერიუმით, ერთნაირი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეკიდება ყოველ მწერალს; მოსწონს — იწონებს, დასაწუნს უწუნებს, არ

ერიდება არც ხოტბას. არც ნაკლის გამომზეურებას, მაგრამ რომ ივე შემთხვევაში ფრთხოებისა, ტაქტსა და ზომიერებას იჩენს, იგრძნობა, რომ მისი ალერსც და წკიპურტიც კეთილგანწყობილებითა და სიყვარულითა რაკარნახევი.

ყოველი კრიტიკოსის იდეურესთეტიკური პოზიცია გარკვეულად მულავნდება მასალის შერჩევაში, შესაფასებელი მოვლენის (ფაქტის, მწერლის) არჩევანში, პუბლიცისტურ ტონში. ა. ნიკოლეიშვილის „გამოძახილი“ ამ მხრივაც საყურადღებო წიგნია — გასში აშერად ჩანს ახალგაზრდა კრიტიკოსის ჰუმანისტური განწყობილებანი, ეროვნული და პატრიოტული მისწრაფებანი, იდეური სიმწიფე, ადამიანისა და სიცოცხლის სიყვარული. ის კრიტიკისა და მკითხველის ყურადღებას აჩერებს სწორედ იმ მწერლებზე, რომლებიც გამოიჩინებან ჰუმანიზმით, სიცოცხლის სიყვარულით, ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების ელვარებით... რომელთა წიგნები ამკვიდრებენ სათნოებასა და კაცთა შორის კუყვარულს, ხსნიან წუთისოფლის რთულ ხლართებს, გვამხნევებენ, გვაკეთილშობილებენ და გვამაღლებენ. ამაზე მეტყველებენ თვით წერილთა სათაურებიც: „მითი და სიმბოლიკა“ (ო. ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიღიოდა“), „ლირიკული სინათლის არე“ (მ. ლებანიძის პოეზია), „მზით აგსებული სიცოცხლის ექო“ (რ. ინანიშვილის

პროზა), „მოთვინიერებული ცე-
ცხლი“ (შ. ნიშნიანიძის „მწვანე
წელიწადი“), „ნათელი შუქი“
(ტ. ჭავჭავაძის „წყარი მზის წე-
ლიწადი“) და ა. შ.

ამ წიგნის აზრობრივი სიღრმე
და მეცნიერული ღონე უკეთესობა —
მისი ავტორი შორს დგას ღოგ-
მატურ-მეტაფიზიკური და იმპრე-
სიონისტული კრიტიკის ანტიმარ-
ქსისტული პოზიციებიდან. მისთ-
ვის უცხოა მაცდუნებელი პრი-
ციპები „მე მომწონს“, „მე არ მე-
სმის“, „მე არ მომწონს“ და მის-
თანანი, არ იტაცებს ბატონქაცუ-
რი და ქედმაღლური პოზა უზანა-
ები მოსამართლისა და შეუმცდა-
რი ერუდიტისა. წერს სადად, გ-
საგბად, ფუყე თეატრალობის გა-
რეშე. წერს ფართო მკითხველისა-
თვის ნათელი, ხატოვანი და ლა-
კუნური სტილით. ამ წიგნის წი-
კითხვისას არ დაგჭირდებათ უც-
ხო სიტყვათა ლექსიკონი, იგი
ჰქონდა მარიტად ქართულად დაწერი-
ლი წიგნია.

ა. ნიკოლეიშვილის „გამოძიხვა-
ლი“ თამამად არკვევს და ამტკრ-
ცებს ჩვენი ღროის ლიტერატუ-
რულ - ესთეტიკურ იდეალებსა
და პრიციპებს, ამასთანავე რას
მაღალი საგანმანათლებლო ფუნ-
ქციაც აქვს. ახალგაზრდა კრიტი-
კოსი მარტო მხატვრული ტრადი-
ციული ანალიზით როდი კმაყო-
ფილდება. ის მკითხველის წინაშე
დიდი ძაბვით ანათებს ამ ფაქტე-
ბის შინაარსს, სტრუქტურას, მი-
ზანდასახულობას, იმ იდეურ და
მხატვრულ სივრცეებს, რომელთა

წვდომა ჭირს მეცნიერული გან-
მანათლებლური კრიტიკის დაუნ-
მარებლად. მას მკითხველის მიზანია
ყვეს მწერლის ნააზრევის უღრმეს
შრეებში და გამოცდილ ლოცმა-
ნიერი მიუძღვის იმ ვიწრო ბილი-
კებზე, რომლითაც გავდივართ
ცნობიერების ფართო ვნანე. ამ
ლაბირინთებში უხითაოდ გასვ-
ლა ბევრ მომწიფებულ მკითხვე-
ლსაც უჭირს. ფაქტია, რომ თა-
ნამედროვე ქართულ მწერლობას
საქმიან რაოდენობის მკითხველი
ჰყავს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ
ეს მასა ერთგვაროვანი არაა. მკი-
თხველთა ერთ, საკმაოდ დიდ, ნა-
წილს ჭერ კიდევ უჭირს მხარი
გაუსწოროს თანამედროვე ქარ-
თული მწერლობის ნაბიჯებს, მი-
სწვდეს მაღალი ლიტერატურული
იდეების ნამდვილ არსს, ახსნას
მითი და სიმბოლიკა, ამოიკითხოს
როგორი ქვეტექსტები. ამის დას-
ტურად თუნდაც ო. ჭილაძის შე-
მოქმედება გამოდგება. დასამა-
ლავი როდია, რომ მკითხველი მა-
სა იოლად ვერ მიწვდა ო. ჭილა-
ძის რომანების აზრობრივ სიღრ-
მეებს, განსაცვიფრებელ მაღლსა
და მარილს. როგორც ა. ნიკოლე-
იშვილი შენიშვანს, „ო. ჭილაძის
სტილის სპეციფიკა უაღრესად
თავისებურია, მოულოდნელ აზ-
რობრივ სიღრმეებზე დაფუძნე-
ბული. ამ რომანს გასართობად,
ღროის მოსაკლავად და თავის შე-
საქცევად ვერ წაიკითხავ, ამდენად
იგი ვერასოდეს ვერ გახდება პო-
პულარული ყველასათვის“. ამ
გარემოებით ძალმიცემული ბევ-

რი ინტელიგენტი გამომწვევად აცხადებს — ვერც მე გავიგე და ვერ წავიკითხე ო. ჭილაძე, მწერალი ჩევნოვის უნდა წერდეს. ამ სახოთირო აზრის მიმდევრებს უნდა შევახსენოთ, რომ მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის სასწაულებრივი აღმაფრენის საუკუნეში დანაშაულია უარის თქმა პოეტური ინტეგრალებზე, ინტელექტუალურ ფილმებსა და სპექტაკლებზე, გონით განათებულ ეპოსზე ქილიკი... დღეს აღარავის ეკადრება მოძველებულ ფორმებსა და იდეებზე გაყინვა — არც მწერალსა და არც მკითხველს. უნდა იზრდებოდეს არა მარტო მწერალი, არამედ მკითხველიც და ეს უპირველესად კრიტიკის საქმეა. როგორც გ. პლეხანოვი ამბობდა, ერთია ნაწარმოებში მკითხველის მიერ მარტო, დამოუკიდებლად წაკითხული, და მეორე — იგივე ნაწარმოები — კრიტიკის განხილვის შემდეგ წაკითხული. რაც უნდა დაკვირვებული და გემოვნებაგანვითარებული მკითხველი იყოს, ლრმა და საფუძვლიანი კრიტიკის შემდეგ მრავალ ახალ შტრიხს შეამჩნევს ნაწარმოების იდეურსა და მხატვრულ შინაარსში.

ა. ნიკოლაიშვილის „გამოძახილი“ სწორედ ის წიგნია, რომელიც მკითხველს დაეხმარება ჩაწვდეს თანამედროვე ქართული მწერლობის ბევრ რთულ მოვლე-

ნას, ეზიაროს მის სიმაღლეებს. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მკითხველს დიდად გაუკუთხამდებოდა დატებეს ო. ჭილაძის ბრწყინვალერომანით, გ. დოჩანაშვილის ორიგინალური მოთხოვნებით, რევაზინანიშვილის პოეტური პროზით, შ. ნიშნიანიძის, მ. ლებანიძის, ტ. ჭანტურისა და სხვათა შემოქმედებითი წვითა და აღმაფრენით. ეს დიდი და საპატიო მისიაა.

როგორც დიდი ილია გვასწავლის, „კრიტიკა არც ქებაა და არც ძაგება, ვინმეს არც განქიქება და არც განდიდება არ ეხელეშიფების. იგი არის განხილვაც, განჩხრევაც, გარკვევაც, გარჩევაც და ლაფასებაც ერთად“. სწორედ ამ პრინციპულობით ქმნის თავის კრიტიკულ წერილებს ა. ნიკოლეიშვილი, ამიტომ „გამოძახილი“ მრავალმხრივ საყურადღებო წიგნია, მას ბევრი ლირსები აქვს, რომელთა ჩამოთვლა არ კმარა, მცირე მოცულობის წერილში კი დეტალური ანალიზი ვერ ჩერევა... სადაო? რა თქმა უნდა გვაქვს, მაგრამ განა ნამდვილი შემოქმედება არსებობს აზრთა სხვადასხვაობის გარეშე? სტერეოტიპულ ფრაზები? გაპარულია წიგნში, მაგრამ ეს არ არის კრიტიკოსის სილარიბის, არამედ აჩქარების პრალია. და საერთოდ ჩემი შენიშვნები იმდენად უმნიშვნელოა წიგნის საერთო დონესთან შეფარდებით, რომ მათი საჯაროდ გამხელა არც ლირს.



ნოტის ჩა

რ უ გ მ ზ ი ლ

სეაგო გაღმაცემის

მაცხოვე ცარი თუ და გა

ი უ ა თ რ ა ს პ ა

წელყავმა ისე დამრია ხელი, რამდენიმე დღეს ლოგინს საპყარივით მიმაჯაჭვა. მერედა იცით, რას ნიშნავს მარტოხელა კაცისათვის ავალმყოფობა? წამოწევი ლოგინზე, უყვრიალე თვალები ჭერსა და კედლებს, იქცლიტე ტვინი ათანაირი ფიქრით. შეზობელსაც მაშინ დავიწყდები, თორებმ ექიმის მოსაყვანად მაინც გაგზავნილი.

ეფლექტი და მე თვითონ დავურეკე უბნის ექიმს.

— მაგან შეგაშინა?.. წელყავის რა მცოდნია, შე კაცო! ჯერ ზურგი ვინმეს მაგრად დაბაზელინე, მერე ლოგინში თბილად ჩაღულუნდი, ოფლი მოიდნე და მორჩები, — უდარდელად მიპასუხა და ყურმილი ისე დადო, ჩემს პასუხს არც კი დაუცადა.

კიდევ დავურეკე და თანაც ვუთხარი, რომ არც ლოგინში კოტრიალმა მიშველა, არც დაზელვამ და არც იფლში დალპობამ...

— რადგან უსაშველოა, გამოგიყლი, — ცივად მომიგდო პასუხი.

რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ სადაა კაცი პატრონი.

ისევ წავეპოტინე ტელეფონს და ექიმს თავი შევახსენე.

— კაცო, ხომ ვიყავი შენთან, მეტი რალა გინდა? — აქეთ შემომედა-

ვი.

— არა, ბატონო, ჩემთან არავინ მოსულა.

— აბა, ვისთან ვიყავი?

— მაგი თვითონ უნდა იცოდე.

- ჰოდა, მე გეუბნები, რომ შენთან ვიყავი.
 — არა, არ ყოფილხარ ჩემთან, დამიჯერე.
 — ბიჭო, შენ მასწავლი, სად და ვისთან დავდივარ? 
 ამას შენ! — ხმას აუწია ექიმმა.
 — მე თქვენ გეკითხებით, ბოლოსდაბოლოს მოხვალთ თუ არა?
 ვეღარ დავფარე ალელვება.
 — შენ ჩემო ძმაო, მთხოვ თუ მემუქრები?
 — მუქარის აღარ დაგაჯერებ!..
 — მაშინებ თუ რავა შენი საქმე?!
 — ამას ასე არ დავტოვებ, ზევით წავალ...
 — მიბრძანდი ბატონო, ია და ვარდი გფენია. მარა ეს კი იცოდვ
 სუსტნერვებიანი არ გეგონო.
 — მაგასაც ვნახავთ!
 — კარგად დაიმახსოვრე, ჭერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ეკლესიაში ხა-
 ტები რომ ჩამოვყარე და ძალებს კუდზე გამოვაბი. ვინ გვონივარ მე?
 მამაზეციერმაც ვერაფერი დამაკლო...
 — მეტს რალის გიზამდა, გადაურევიხარ...
 — რაო? რა თქვი?
 — კიდევ გიმეორებ, ზევით არ წამიყვანო, თორემ კარგად არ წაგივა
 საქმე. — მუქარის ღოზა უფრო გავზარდე.
 — აյი სიარული არ შემიძლიაო.
 — ტელეფონით დავტეკავ და ყურით მიგათრევენ.
 — შე კაი დედმამიშვილო, მე მეგონა, გინახულე, თორემ მოსვლას
 რავა დაგამადლი. — როგორც იქნა მოლბა.
 ამის შემდეგ კიდევ ერთ დღეს ვიცადე და როცა გადავწყვიტე, მუ-
 ქარა სისრულეში მომეყვანა, კარზე ზარის ხმა გავიგონე.
 საწოლიდან ძლიერ ავითრიე წელი და კარებთან მიკანკალდი.
 გვაღე თუ არა კარი, სამოც წელს გადაცილებული ფერწასული ექი-
 მი მხრებზე ჩამომეკიდა და ორივენი კინაღამ იატაკზე გავიშხლართეთ.
 როგორც იქნა, დივანამდე მივათრიე. საცოდავი ისე ქშინავდა, საბერ-
 ველი გეგონებოდათ. კარგა ხანს ხმა ვერ ამოილო, როცა ცოტა მოსული-
 ერდა, ძლიერ ამოიქნავლა:
 — წყალი!
 რის ვაივაგლახით წყალი მიუტანე და მეც მის გვერდით მივესვენე.
 რამდენიმე ყლუპი მოსვა და გაირინდა. შემდეგ თვალები გაახილა,
 ჩემსკენ მობრუნდა და დაუინებით მომაშტერდა. კარგა ხანს მიცირა.
 თავიდან ფეხებამდე ბარე ხუთჯერ ამათვალ-ჩამათვალიერა.
 — ეს რომელი სართულია? — მითხრა მისიკვდილებული ხმით.
 — მეცხრე, ექიმო.

— გულზე ხელი დაიდევი და მითხარი, ყოველდღე ფეხით ამთაღიხარ
ამ დასაწვავ კიბეებზე?

— აბა, რა ვქნა, ბატონო, ლიფტი არ მუშაობს. ისე, შესახულია გააკეთეს.



— ბარაქალა შენს ჯანმრთელობას!

— არა, გულს არ ვუჩივი, ეს დაწყევლილი წელკავი გადამეციდა,
თორემ ფეხით იალბუზზე ავალ.

— სადაც გინდა, იქ ადი ბიძია, მაგრამ მეორედ არ დამიძახო. იქ კი-
დევ რომ მომიწიოს ამოსვლა, ალბათ ფეხებს გაუფშეკ და მერე შენ არჩენ
ჩემს ცოლ-შვილს?

— რა ვქნა, ექიმო, ჩემი ბრალი არ არის, რომ შემძლებოდა, თვითონ
გეახლებოდით.

— ჰო, კარგი, კარგი! შენ კი გაუძლებდი, ბიჭო, კიბოს, ივზნეს, ჭლექს...
რა არის წელკავი, ერთი ახტი-დახტი, შეიკუნტრუშე და გაგივლის.

— მასე იოლი რომ იყოს, ბატონო, რავა შეგაწუხებდით...

— მაგი მაკლია, შენ მასწავლო, რა არი წელკავი. მთავარია, სულით
არ დაეცე, რამ წაგახდინა ამხელა ვაჟკაცი? — დამტუქსა და მერე მაგი-
დის მიუჯდა, ქალალზე რაღაც მიკყაპნ-მოკყაპნა და წამოდგა.

— ა, ბიძია, დალი ეს წამლები და გაგივლის, — მითხრა და კარებს
მიაშურა.

— კიდევ გიმეომრებ, მთავარია არ შეშინდე, ავაღმყოფობას გაძლება
უნდა. — ერთხელ კიდევ მანუგეშა.

— გმაღლობთ, ექიმო, აი ოქვენი გასამრჯელოც! — ვუთხარი და ათ-
მანეთიანი გაუცწოდე.

— რატომ წუხდები, ჩვენ ისედაც გვევალება. — თქვა და ფეხი აით-
რია. მერე ფულს ისე საწყლად დააშტერდა, მისი ცოდვით წაგრძელებოდი,
ჭიბეში ძალით რომ არ ჩამეტენა.

ექიმი უკან შემობრუნდა, მაგიდაზე ბოლჩა დადო, ნელა გახსნა, ფო-
ნენდოსკოპი ამოილო და ყურებზე მოიმარჯვა.

— რაღვან მოსული ვარ, მოდი ერთი კარგად გაგსინჯო... შენისთანა
ბიჭს წელკავს როგორ დავაჩაგვრინებ! — მითხრა და დივანზე წამომაწვინა-



პოლიტიკა

საქართველოს სსრ პიმნი, № 2,
ართოდაცვა რევაზ — ლექსები, № 1
ამონდაძე თემურ — ლექსები, № 6
ახობაძე ლომენტი — ტელეფონების
წარმოილი ნომრები (ლექსი), № 6.
ბერძოძე რუთა — ლექსები, № 6.
გვლაძე თოარ — *** ჩემი სამშობლო
უფალავი ჭირის მნახველი (ლექსი), № 5.

ესენინი ხერგე — ლექსები, თარგმნა
გ. სალუქეაძემ, № 5.

ებანოძე ზაალ — *** ქვეყნის გაჩე-
ნიდნ მარჩენალ... (ლექსი), № 6.

ვარაზაშვილი ნონა — ლექსები, № 2.
ვარზანიძე მამია — ლექსები, № 3.
ზოძე შოთა — ლექსები, № 4.
თედორაძე დავით — ლექსები, № 2.
თევზაძე ბადრი — ლექსები, № 2.
კლდიაშვილი გენო — ლექსები, № 6.
მალაზონია ნესტორ — ლექსები, № 4.
მოქია თემურ — *** ფრთებს გაშ-
ლის ლალად, აფრინდება ჩემი თოლია
(ლექსი), № 5.

მახარაძე მაია — *** მომენტრები
და ჩემი ფიქრი (ლექსი), № 5.

ნუცებიძე ლილი — ლექსები, № 6.
ნიუჟარაძე შოთა — ილენს სამშობლო
(ლექსი), № 6.

სამხარაძე გორგი — ბათუმში (ლექ-
სი), № 6.

ფირცხალაიშვილი ზურაბ — ლექსები,
№ 2.

ქომოლაძე ზინა — ლექსები, № 2.
ჭათაშაძე ჭემალ — ლექსები, № 3.

ქებურია ბელა — *** პაუ, მარ ცერზე
შემღვარა უავი (ლექსი), № 5.

ლლონტი ვახტანგ — ლექსები, № 2,
ხევბი იდგნენ ვით დამცველები (ლექ-
სი), № 5.

ურაშვილი ავთანდილ — ლექსები,
№ 6.

შალაშვილი ცირა — *** ფრთების
ადგილი ამექავა (ლექსი), № 6.

ჩარქელიანი ტარიელ — ჭოროხი
(ლექსი), № 6.

ჩიტიძე გოჩა — სანამ? (ლექსი), № 6.

ჭუმბურიძე დადო — *** უნდა მე-
ზიდა ქალბა ტვირთად, № 6.

ხაგიშვილი უუუნა — ლექსები, № 2,
ლექსები, № 5.

ხაბაზი ამირან — ლექსები, № 2. აქა-
რული დიალოგი (ლექსი), № 5.

ხურძე დავით — ლექსები, № 6.

ხახაგა ზურაბ — გახსოვს? (ლექსი),
№ 6.

ჯაეული ჭემალ — ლექსები, № 1.

პროზა

ახვლედიანი ვახტანგ — ხომ გამოე-
დი კაცი (ნახევრად ზღაპარი), № 1.

აბაშიძე მერაბ — იხტიობილნენ ჩემი
ვებები (მოთხოვბა), № 2.

გორგოლაძე მიხეილ — წარსულის
ფურცლები (მოთხოვბა), № 2.

კვასხევაძე შალვა — განძი (მოთხოვბა),
№ 5.

კუნიანიძე ზურაბ — სამი მგზავრი
(მოთხოვბა), № 6.

ლანჩავა თემურაზ — სიცვარული
(მოთხოვბა), № 6.

მოდებაძე ნოდარი — დაკარგული კა-
ცი (მოთხრობა), № 3.

ხელფეხინი ომერ — ეჭვიანობა (მოთ-
ხრობა), თურქულიდან თარგმნა ო. გო-
გუაძემ, № 4.

ხოდებია ჭემალ — ჩვენა ვართ და...
(მოთხრობა), № 5.

მესხი ლეილა — წინათგრძნობა (მო-
თხრობა), № 6.

ცანავა ჟალვა — ახალი ავტომობილის
საჭესთან (მოთხრობა), № 6.

ნარკევი, რეპორტაჲი

მეფისა შვეილი გივი — სხვაცა გბაძავ-
დეს, ჩეტა! (ნარკევი), № 6.

ხოდებია ჭემალ — ოსტატი (ნარკე-
ვი), № 1.

ზამბანიძე ანზორი — ქუთათერი მა-
სპინძლობა (ჩემორტავი), № 3.

შონია აკაკი — სერვეთის სანოელი
(ნარკევი), № 4.

არიტიკა და კუგლიცისტიკა

აბაშიძე ხოხო — „თითო წუთი, გით
თითო კვავილი“, № 2. „ადამიანს გაუ-
მარჯოს, მოღი!“, № 5.

ქურაძე შოთა — დოკუმენტური პრო-
ზის ბრწყინვალე ნიმუშები, № 3.

ნიუარაძე შოთა — ილია ჭავჭავაძე და
ავრა, № 3.

ბიბილეიშვილი იური — ახალგაზრ-
დობის მოძღვარი, № 3.

ზობძე შოთა — ლექსი მეწყერი, № 5.

მოგონებაჲი, ჩანაწერები

კეცხველი ნიკო — ბათუმის წარსუ-
ლიდან, № 1.

ოქროპირიძე შოთა — მეგობრობის
ვიზიტით იტალის ქალაქ ბარიში, № 1.

ხალვაში ურილონ — მეგობრობა გზად
და ხიდად, № 3, შეგობრობის გეოგრა-
ფია, № 4.

ძლევამოსილი, № 1, იდილე შარადი
№ 2, დროთა კავშირი, № 3. ლენქურუშული
კომქავშირი 60 შლისა, № 5. პიმლიკის

ალავძე მიხეილ — ერთი წარწერის
შესახებ, № 6.

ბექირიშვილი იოსებ — მეხილეობა
აჭარაში, № 5.

ელიაშვილი ნაზი — მონუმენტური
ფერწერის ისტატი, № 2.

ჭაჭრიძე პეტრე — როტაციონის მან-
ქანა ბრუნავს, № 6.

გუგუნავა ნანი — განუხრელი აღმა-
ვლობის გზით, № 4.

კვიცარიძე დავით — ჩვენი სალამი
მზიურ აქარას! № 6.

მიელაძე ნაზი — მწერლის ენის ზო-
გი სტილური ნიშანი, № 1.

მეფისაშვილი გივი — ლილი ცხოვ-
რების სათავე, № 4.

ნაცელშვილი პავლე — ერთი მხატვ-
რული სახე წიგნია და ფილმი, № 4.

რუხაძე ნუგზარ — აღმავლი გზით,
მომავალზე ფიქრით, № 6.

სურმანიძე რამაზ — ღიღი რუსი მწე-
რლის მისამართით, № 1.

ფაჩუაშვილი ჭეირან — თანამედრო-
ვი ცხოვრების მხარდამხარ, № 6.

ფარტენაძე მიხეილ — ვაჟის სახე ხა-
ლცურ საგმირო-საქორწინო სიუკეტებში,
№ 2.

შარაშიძე ვლადიმერ — ბათუმის კო-
მიტეტი მხარს უშერდა ლენინს, № 4.

ხალვაში ფრიდონ — ყოველოვის ჩვე-
ნთან იქნება, № 2. მეგობრის ხსოვნას,
№ 5.

ესთეტიკური აზრის პლასტიკები

შილერი ფრიდონის — ესთეტიკურ
ზენთა მორალური სარგებლობისათვის.
თარგმნა ა. რუგოშველმა.

150 ლევ ტოლსტოი 150

სურამანიძე რამაზ — ლევ ტოლსტოის
შუქი ბათუმში, № 5.

შონია აკაკი — თვალშეუდგამი მწვე-
რგალი, № 5.

70გვეგის მიმოხილვა

არველაძე სიმონ — ნაბიჭი წინ, № 6.
ბრევაძე დავით — საინტერესო ნოვე-
ლების წიგნი, № 6.

თანდილავა ზურაბ — ახალი ნაშრომი
ლაზეთზე, № 2.

კახიძე ნოდარ — სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოს ისტორიული წარსული-
დან, № 4.

მხარგრძელი სტეფანე — გუნდა-
ლია დალია, № 5.

ნამიქერძევილი ბერან — ჭირული მუ-
ბით არასილი მოვარე, № 5. ჭირული მო-
ვარარაზე ა. — შამაცთა შრომის ჩა-
დიდებელი, № 1.

ჭირშვილი სერგო — გამოძახილი, № 6.

ხახუტაიშვილი დავით — საყუოად-
ლებო წიგნი ჩვენი ქვეყნის ჭაღაშ წარ-
სულზე, № 5.

სატირა და იუმორი

მაღლაფერიძე სერგო — მეცხრე სარ-
თულზე, № 6.

ჭუმა თელია — პაემანი ცაში, № 2.



რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 3-33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდალ 29.11.78, საბეჭდი თაბაზი 6, საგამომცემლო 5,
შეკვეთის № 4899, ემ 00845, ქალალის ზომა 60×901/16, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აქარის პოლიგრაფიული
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20

615871



САЛ 40 853.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ

ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 78118